

675-3  
1979 / 2

ISSN—0132—6022



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

61

ფილოსოფიის,  
ფსიქოლოგიის,  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

1 · 1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,  
ეკონომიკისა და სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,  
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

49397  
16367



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1979

უზრნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,  
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-95-46 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-79; შეკვ. № 4859; ანაწილის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 14,8; უე 06729; ტირაჟი 550;  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფილოსოფია

ი. კალანდია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ფილოსოფია . . . . .	5
ბ. ბომბაძე, უ. ქუაინის შეხედულებები ანალიზური და სინთეზური მსჯელობის შესახებ	28
ბ. რამიშვილი, ენის არსებობის ფორმა	43
ა. ბურჯალაიანი, დიალექტიკის საკითხები შელინგის ადრეულ ფილოსოფიურ შეხედულებებში . . . . .	48

ფსიქოლოგია

ზ. ჯაფარიძე, ფიქსირებული განწყობის ტიპების პერცეპტული მოქმედების თავისებურებისათვის	63
მ. ზარანდია, პროფესიული ორიენტაციის ზოგიერთი ფსიქოლოგიური საკითხი . . . . .	76

ეკონომიკა

ს. შიქელიძე, ზაპესი და საბჭოთა საქართველოს ელექტრიფიკაციის დასაწყისი . . . . .	85
ბ. არმაშაძე, ძირითადი წარმოებრივი ფონდები და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლები საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში . . . . .	96
რ. ჯაშახიშვილი, საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების აღწარმოების თავისებურებათა შესახებ . . . . .	108
ვ. ბანაშვილი, ბითუმად ვაქრობის ეფექტურობის განსაზღვრის საკითხისათვის . . . . .	119
რ. ხარბიანი, კ. მარქსის მიერ კაპიტალიზმის ძირითადი კანონის აღმოჩენის საკითხის შესახებ . . . . .	131
დ. ძნელაძე, ვ. ზაფონსკი, პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების ურთიერთგანპირობებულობა ეკონომიური სტამულირების სისტემაში	143
ვ. სვანიძე ი. ტამბოვსკი, ალუმიის ინდუსტრიალიზაციისა და მოსახლეობის დასაქმების პრობლემები . . . . .	158
დ. ანანიშვილი, გარემოს გაკუჭყიანებით გამოწვეული ეკონომიური ზარალის შეფასების საკითხები . . . . .	170

სამართალი

<u>ა. შინაბაძე</u> , სსრ კავშირის ზალხთა სუვერენიტეტის კონსტიტუციური განმტკიცება	178
ი. დოლიძე, „დაჩხუბილნი“ თუ „დაჩხიბულნი“ . . . . .	185

ქრონიკა და ინფორმაცია

ა. ნიკოლაიშვილი, დემოგრაფიული ექსპედიციები . . . . .	187
------------------------------------------------------	-----

## СО Д Е Р Ж А Н И Е

### ФИЛОСОФИЯ

И. Д. КАЛАНДИЯ, Научно-технический прогресс и философия . . . . .	5
Г. И. ГОГУАДЗЕ, Взгляды У. Куайна об аналитических и систематических суждениях . . . . .	28
Г. В. РАМИШВИЛИ, К вопросу о форме существования языка . . . . .	43
А. А. БУРДЖАЛИАНИ, Вопросы диалектики в ранних философских воззрениях Ф. В., И. Шеллинга . . . . .	48

### ПСИХОЛОГИЯ

З. С. ДЖАПАРИДЗЕ, Об особенностях перцептивной деятельности типов фиксированной установки . . . . .	63
М. И. ЗАРАНДИЯ, Некоторые вопросы профессиональной ориентации . . . . .	76

### ЭКОНОМИКА


С. И. МЕЛИКОВ, ЗАГЭС—начало электрификации Советской Грузии . . . . .	85
Н. Г. АРЕВАДЗЕ, Основные производственные фонды и показатели научно-технического прогресса в химической промышленности Грузинской ССР . . . . .	96
Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ, Об особенностях воспроизводства основных фондов общественного питания . . . . .	108
Ц. В. БЕНАШВИЛИ, К вопросу определения эффективности оптовой торговли . . . . .	119
Р. П. ХАРБЕДИЯ, К вопросу открытия К. Марксом основного закона капитализма . . . . .	131
Д. П. ДЗНЕЛАДЗЕ, В. Г. ЗАДОНСКИЙ, Взаимообусловленность роста эффективности производства и качества продукции с системой экономического стимулирования . . . . .	143
В. И. СВАНИДЗЕ, Ю. А. ТАМБОВСКИЙ, Проблемы индустриализации и занятости населения Алжира . . . . .	158
Д. П. АНАНИАШВИЛИ, Вопросы оценки экономического ущерба от загрязнения окружающей среды . . . . .	170

### ПРАВО

А. И. МЕНАБДЕ, Конституционное укрепление суверенитета народов СССР . . . . .	178
И. С. ДОЛИДЗЕ, О 251-й статье судебного Вахтаंगा VI . . . . .	185

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

А. НИКОЛАИШВИЛИ, Демографические экспедиции . . . . .	187
-------------------------------------------------------	-----



## ფილოზოფია

ირაკლი კალანდია

### მეცნიერულ-ბეჭდვითი პროგრესი და ფილოსოფია

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტემპები სულ უფრო ცხადყოფენ იმ გარემოებას, რომ მატერიალური პრობლემები ასე თუ ისე გადაწყვეტადია. მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამხლები ზოგიერთი მოვლენა (ეკოლოგიური კრიზისი, მომხმარებლური ტენდენციის მოქარბება ადამიანებში და სხვა) მეტად მწვავედ აყენებს დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემას. შესაბამისად იზრდება ფილოსოფიის როლი. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს ფილოსოფია ადამიანთა ურთიერთობებზე, საერთოდ ადამიანის ცხოვრებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში. ეს მხოლოდ იმის საფუძველზე იქნება შესაძლებელი, თუ დადგინდება ფილოსოფიური შემეცნების სპეციფიკა, გარკვევა ფილოსოფიის საგნის რაობა. ფილოსოფიური შემეცნების სპეციფიკის გარკვევა სპეციალური კვლევის საგანია. ამჟამად ეს საკითხი ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ იმდენად, რომ ნათელი გაგზადოთ, თუ რა გზით დაროგორ მოქმედებს ფილოსოფია ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე, კულტურაზე. ამიტომ მოკლედ შევხებით საკითხს ფილოსოფიური შემეცნების სპეციფიკის, ფილოსოფიის საგნის თაობაზე.

ცნობილია, რომ სინამდვილეს, ერთი მხრივ, კერძო მეცნიერებანი შეისწავლიან; ეს მეცნიერებანი სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს შეიმეცნებენ. ასევე ცნობილია ისიც, რომ ჩვენი ცოდნა არ ამოიწურება კერძომეცნიერული შემეცნებით, — არსებობს აგრეთვე ცოდნის სპეციფიკური დარგი ფილოსოფიური შემეცნების სახით. ფილოსოფიური ცოდნა — ესაა სამყაროს უზოგადესი კანონების ცოდნა. ფილოსოფია იმეცნებს სინამდვილეს როგორც მთელს. ეს არის მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურება კერძო მეცნიერებათაგან, რომელნიც სინამდვილის ცალკეულ „ნაწილებს“ შეიმეცნებენ. მაგრამ სინამდვილე როგორც მთელი, აუცილებლობით მოიცავს შემეცნებელ სუბიექტს, ადამიანს. ამიტომ ფილოსოფიას საქმე აქვს არა მარტო გარე სამყაროსთან, (როგორც ამას ადგილი აქვს კონკრეტულ მეცნიერებათა შემთხვევაში), არამედ იმასთანაც, ვინც კითხვას სვამს ამ სამყაროს რაობის შესახებ, ე. ი. ადამიანთან. „ადამიანი როგორც სუბიექტი შეყვანილი უნდა იქნას შიგნით. არსებულის შემადგენლად და, შესაბამისად, უნდა განისაზღვროს ფილოსოფიური კატეგორიების არე... ადამიანური ყოფიერების წარმოშობასთან ერთად ძირეულად იცვლება მთელი ონტოლოგიური პლანი, ხდება ყოფიერების კატეგორიებისა და გარკვეულობების სახის შეცვლა“<sup>1</sup>. ეს დებულება ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სანამ არ არის გამოვლენილი სუბიექტის ყოფიერების სახე, სანამ არ არის გამოკვლეული სამყაროსთან სუბიექტის დამოკიდებულების საკითხი, ფი-

<sup>1</sup> С. Л. Рубинштейн. Проблемы общей психологии. М., 1973.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ლოსოფიური კვლევა არ არის დასრულებული. სხვანიარად რომ ვთქვათ, ფილოსოფიური კვლევა მხოლოდ მაშინ იქნება სრული, როცა პასუხი გაცემულია არა მარტო გარესამყაროს რაობის შესახებ კითხვებზე, არამედ ამავე დროს კითხვებზე: რა ადგილი უჭირავს ადამიანს სამყაროში, რა როლი და მნიშვნელობა ენიჭება მას ისტორიაში, როგორია ადამიანის დანაშნულება და სხვა. ერთი სიტყვით, კერძო მეცნიერებათაგან განსხვავებით, ფილოსოფია აყენებს და თავისებურად წყვეტს საკითხს სუბიექტისა და ობიექტის, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე.

მაშასადამე, ფილოსოფიის საგანი მოიცავს საკითხს გარემომცველ სამყაროში ადამიანის ადგილის, როლის შესახებ და ამ საკითხის გადაწყვეტაში ყოველთვის ასახულია ადამიანისა და სამყაროს ის მიმართება, რომელსაც ადგილი აქვს მოცემულ ეპოქაში. ამასთან სხვადასხვა ეპოქაში ადამიანის მიმართება გარე სამყაროსთან და მისი ადგილი და როლი სამყაროში გაგებული იყო სხვადასხვაგვარად. ამიტომ, ბუნებრივია, ფილოსოფიური თვალსაზრისებიც შესაბამისად სხვადასხვაგვარად ასახვდნენ ვითარებას. ეპოქების მიხედვით ერთ ფილოსოფიურ მოძღვრებას ცვლიდა მეორე, ამ უკანასკნელს შემდეგი ეპოქის შესაბამისად — სხვა ფილოსოფიური თეორია და ა. შ. აღნიშნული ვითარება ეპოქათა ზასიათის ცვლილებებით არის გამოწვეული და არა იმით, რომ ფილოსოფიური ცოდნა არის ნაკლოვანი, — როგორც ამას ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები და პირველ რიგში, პოზიტივისტები თვლიან. სწორედ ამ მიმდინარეობის მიერ იქნა წამოყენებული ე. წ. „ფიზიკალიზმის“ თეორია რაც „სციენტისმის“ ნაირსახეობას წარმოადგენს და რომელიც მოითხოვს, რომ ფილოსოფია აიგოს ზუსტ მეცნიერებათა მსგავსად. „სციენტისმის“ თაობაზე დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი დავსვათ ასეთი კითხვა: შესაძლებელია თუ არა ფილოსოფია ისწრაფოდეს ისეთი სიზუსტისა და უქველობისაკენ, როგორც ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაშია შესაძლებელი და რას ნიშნავს საერთოდ ფილოსოფიის მეცნიერულობა? ამის გასარკვევად კვლავ უნდა გავიხსენოთ ფილოსოფიური შემეცნების სპეციფიკა.

ფილოსოფიის აქვს კვლევის განსაკუთრებული ობიექტი. თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენელთა ხედვა მიმართულია „გარეთ“, გარეგანისკენ, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტებისაკენ, ფილოსოფოსი არა მარტო გარეგანისკენ მიმართავს თავის ყურადღებას, არამედ აურეთვე ადამიანისკენ, იმისაკენ, ვინც გარეგანს იმეცნებს. მაშასადამე, ფილოსოფია მიმართულია როგორც გარეგანი ობიექტებისაკენ, ასევე ამ ობიექტების შემეცნებელი სუბიექტისაკენ. თანაც ისე, რომ ფილოსოფიისათვის გარეგანი ობიექტები და ადამიანი, როგორც შემეცნების ობიექტები, არ არიან ერთი რიგისანი. ასე რომ იყოს, მაშინ ფილოსოფია იქნებოდა იმავე ტიპის მეცნიერება, როგორიც არის ნებისმიერი კერძო, ზუსტი მეცნიერება. ამიტომაც, ფილოსოფიური ცოდნის სპეციფიკურობის გამო, სიზუსტისა და უქველობის ცნებებს ფილოსოფიაში სხვა მნიშვნელობა უნდა გააჩნდეთ, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ფილოსოფია პირველ რიგში მსოფლმხედველობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფია ასახავს ადამიანის ადგილს სამყაროში ამა თუ იმ ეპოქაში. ფილოსოფიის ამოცანაა ეპოქის ანალიზი; ეპოქის ანალიზი გულისხმობს პასუხის გაცემას იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოიჭრებიან ადამიანის წინაშე განვითარების ამა თუ იმ დონეზე. ფილოსოფიის, როგორც მსოფლმხედველობის მეცნიერულობა, განსხვავებით კერძო მეცნიერებებისა-

ვან, სწორედ იმაში გამოიხატება, თუ რამდენად სწორად არის გაგებული ეპოქის ძირითადი მოთხოვნები, ის საჭირობოროტო პრობლემები, რომელთაც ადამიანებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ფილოსოფიური შემეცნების ამ თავისებურებას თუ მივაქცევთ ყურადღებას მაშინ ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ფილოსოფიას შეუძლია ადამიანურ ცხოვრებაზე უშუალო ზეგავლენის მოხდენა. ადგენს რა ადამიანის ადგილს სამყაროში, ისტორიაში, ფილოსოფია ამავე დროს იძლევა იმის ორიენტირებას, საითკენ უნდა ესწრაფოდეს ადამიანი. ფილოსოფია არასდროს არ რჩება გულგრილი ცხოვრების ამა თუ იმ წესის მიმართ, ყოველთვის სთავაზობს ადამიანებს თვალსაზრისებს შექმნილი სატუაციის ანალიზისა და შემდგომი პერსპექტივების თაობაზე. ამით არის სწორედ განსაზღვრული ის გარემოება, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყოველი ფილოსოფიური სისტემა შეიცავს ეთიკურ თეორიას, — მისივე ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური წინამძღვრების აუცილებელი შედეგის სახით.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიის გავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ ეთიკური თეორიების მიერ გამოწვეული გავლენით.

ფილოსოფიური ცოდნის სპეციფიკურობა, ფილოსოფიის თავისებურება საერთოდ, ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ფილოსოფია როგორც თანამედროვე, ასევე მომავალი საზოგადოების ადამიანთა ცხოვრებაზე სულ უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს. თუ ფილოსოფიის ყურადღების ცენტრში დგას საზოგადოება, თანდათან სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ფილოსოფიას საზოგადოების მხრივაც. ეს ეპოქის ხასიათით არის გამოწვეული და შეიძლება ითქვას, რომ სასარგებლოა როგორც საზოგადოების, ასევე ფილოსოფიის შემდგომი განვითარებისათვის.

სწორედ ეპოქის ხასიათით არის გამოწვეული ის ვითარება, რომ მთელი რიგი მოვლენებისადმი ფილოსოფიური მიდგომა აუცილებელ საქმედ იქცა. პირველ რიგში ეს ეხება ტექნიკური დისციპლინებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენელთა მოღვაწეობას. თანამედროვე პირობებში, აღნიშნული დარგის მრავალი მკვლევარი მწვავედ გრძნობს მისი მოღვაწეობის ფილოსოფიური გააზრების საჭიროება-აუცილებლობას.

ეს გამოწვეულია იმით, რომ ტექნიკურ პროგრესს, მრავალ სიკეთესთან ერთად, თან ახლავს ისეთი მოვლენები, რომელნიც ზნეობრივ პრობლემათა შემდგომ გამწვავებას იწვევენ. არასოდეს კაცობრიობას არ ჰქონია მასობრივი მოსპობის იმდენი საშუალებანი, როგორც ამჟამად. ამ პრობლემამ არ შეიძლება არ დააფიქროს ის მკვლევარიც კი, ვინც ყოველდღიურად იღვწის სწორედ აღნიშნული მიმართულებით ახალ-ახალი გამოგონებისათვის.

ყოველივე ეს ნათელს ხდის იმასაც, რომ მხოლოდ ტექნიკური პროგრესი ვერ უზრუნველყოფს ზნეობრივ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას. უფრო მეტიც, ტექნიკური პროგრესი, ერთი შეხედვით, ინდიფერენტულიც კი არის ზნეობრივი პროგრესისადმი. იგი იძლევა საშუალებებს როგორც ზნეობრივი, ასევე არაზნეობრივი მოქმედებისათვის. სწორედ ამიტომ დგება მწვავედ ზნეობრივი პრობლემების რაც შეიძლება ჩქარა გადაწყვეტის საკითხი.

მაგრამ ვისი საქმეა ეს? ვის ევალება ამ პრობლემის ანალიზი და გადაწყვეტა? მართალია, საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენლის ყურადღება მიმართულია გარეგან ობიექტებზე, მაგრამ რამდენადაც ეპოქა ღლის



წესრიგში აყენებს ამა თუ იმ ტექნიკურ გამოგონებათა, მიღწევათა მისად, ბუნებისმეცნიერების ამა თუ იმ წარმომადგენელთა მოღვაწეობის მორალური შეფასების საკითხს, ამდენად აღნიშნული დარგის სპეციალისტთა ყურადღება მიმართული ხდება არა მხოლოდ გარეგან ობიექტებზე, არამედ საკუთარი საქმიანობის საზრისზე, მისი მოღვაწეობის როლსა და მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის.

მაგრამ სვამს რა ამ კითხვებს, ბუნებისმეტყველი ტოვებს ბუნებისმეცნიერების სფეროს და იჭრება ისეთ სფეროში, რომელშიც მას არაფერი ესაქმება არა მარტო იმიტომ, რომ იქ მისი ადგილი უბრალოდ არ არის, არამედ იმიტომაც, რომ მას არ გააჩნია საშუალებანი, მეთოდი, მსგავსი პრობლემების გადასაწყვეტად. ქიმიკოსი ან ფიზიკოსი რომელმაც აღმოაჩინა რაიმე ნაწილაკი ან ნივთიერება, რომელსაც ასეთი და ასეთი (მომწამელები ან დამანგრეველი) თვისებები გააჩნია, დანტერესებულა ამ ნაწილაკის ან ნივთიერების რაც შეიძლება მეტი თვისებები დაადგინოს და არ სვამს საკითხს იმის თაობაზე, თუ რა სიკეთის ან ბოროტების მოტანა შეუძლია აღმოჩენილ ნაწილაკს თუ ნივთიერებას ადამიანებისათვის. ისევ ვიმეორებთ, რომ ეს მას არ ეხება, მისი საქმე არაა და თუნდაც დასვას ეს პრობლემა, ეერ გადაწყვეტს მას.

აღნიშნული პრობლემა ფილოსოფიის კომპეტენციაში შემოდის; განსხვავებით კერძო მეცნიერებებისაგან, ფილოსოფიას აინტერესებს არა მხოლოდ გარეგანი საგნები ისე, როგორც ისინი არიან თავისთავად, არამედ ამავე დროს ცდილობს მოუხახოს საზრისი და გამართლება ადამიანურ მოღვაწეობას, საერთოდ ადამიანის არსებობას.

როგორც ზემოთ აღნიშნა, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მწვავედ დააყენა საკითხი საზოგადოების და საერთოდ კაცობრიობის წინაშე მკვლევართა მორალური პასუხისმგებლობის თაობაზე. მეცნიერი ცხოვრობს რა საზოგადოებაში, მისი მოღვაწეობა თითქმის ყოველთვის მიმართულია გარკვეული სოციალური „შეკეთების“ შესრულებისაკენ. მისი მოღვაწეობის შედეგები უნდა ემსახურებოდნენ და ზელს უწყობდნენ სოციალურ პროგრესს. აქედან გამომდინარეობს სწორედ მეცნიერის, მკვლევარის მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. მაგრამ მორალური პასუხისმგებლობა, სოციალური პირობების შესაბამისად, შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას გაგებული.

მეცნიერებს სხვადასხვა პოზიცია აქვთ აღნიშნული საკითხის გამო. ასე, მაგ., ზურაბაშვილი სამყაროს მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც თავიანთი ბედი სამხედრო მრეწველობის ინტერესებს დაუკავშირეს და თავიანთი მოღვაწეობა ამ უკანასკნელს დაუქვემდებარეს, მეცნიერის მორალურ პასუხისმგებლობას ფსევდოპრობლემად მიიჩნევს, რამდენადაც მათი აზრით, მეცნიერებასა და ზნეობას შორის არავითარი კავშირი არ არის. ამ თეალსაზრისის გამოხატავს ამერიკელი ატომური ბომბის შემქმნელის ე. ტელლერის შემდეგი სიტყვები: „მეცნიერი პასუხს არ აგებს ბუნების კანონებისათვის. მისი ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გაარკვიოს, თუ როგორ ფუნქციონირებენ აღნიშნული კანონები. საკითხი კი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა წყალბადის ბომბის შექმნა და მით უმეტეს, მისი გამოყენება, მეცნიერს არ ეხება“<sup>2</sup>.

<sup>2</sup> НТР и социально-этические проблемы, М., 1977, стр. 53.

ზოგიერთი მეცნიერი, მართალია, აღიარებს ზნეობრივ პასუხისმგებლობას ადამიანების წინაშე, მაგრამ ამავე დროს ვერ ხედავს კვლევის შედეგების გამოყენებისადმი კონტროლის რეალურ საშუალებას და მიდის პესიმიზტურ დასკვნამდე. მ. ბორნი წერდა: „მე მეგონა, რომ კერძო მეცნიერული მეთოდი უპირატესობის მქონეა სხვა, სამყაროს სურათის შემქმნელი მეთოდების წინაშე. ახლა კი ჩემი ადრინდელი რწმენა იმის თაობაზე, რომ მეცნიერება უპირატესობის მქონეა ადამიანური მოღვაწეობის სხვა ფორმებთან შედარებით, მიმჩნია თავის მოტყუებლად“<sup>3</sup>.

იგივე მ. ბორნი სხვა შემთხვევაში ექვს გამოთქვას ბუნებისმეტყველის ზნეობრივი და პოლიტიკური კომპეტენციის თაობაზე: „ისინი შესანიშნავად გრძნობენ თავიანთი აზროვნების წესის უპირატესობას, მაგრამ ცუდად ხედავენ ამ წესის პრინციპულ შეზღუდულობას. ამიტომ მათი პოლიტიკური და ეთიკური მსჯელობანი ზოგჯერ პრიმიტიული და სახიფათოა“<sup>4</sup>.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მკვლევარმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი კვლევისაგან, რამაც შეიძლება ადამიანებს უბედურება მოუტანოს. ამერიკელი ბიოლოგის, ნობელის პრემიის ლაურეატის ა. სენტ-დიერის მიხედვით, „თვითონ მეცნიერება, რომლის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა, წარმოადგენს ერთობ მალალ მორალურ პრინციპს“<sup>5</sup>.

შემდგომი მეცნიერული კვლევის შეწყვეტის მოთხოვნას აყენებს ინგლისელი ფიზიოლოგი პ. პარპერი, რომელიც თვლის, რომ „არ შეიძლება კვლევის გაგრძელება მანამ, სანამ არ დაგვიდგენია სწორი გზა გვაქვს არჩეული თუ არა... საჭიროა მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა მოცულობის შემცირება, მეცნიერული აქტივობის შეკეცვა. პ. პარპერი ითვალისწინებს შემდეგ შეპასუხებას: „როგორ შეიძლება მეცნიერული მუშაობის შეკეცვა და მით უმეტეს, შეწყვეტა, როცა მთელი თანამედროვე ეკონომიკა მეცნიერების პროგრესთანაა დაკავშირებული“, — და გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ მამინ საჭიროა ეკონომიკის შეცვლა, ახალი ტიპის ეკონომიკის შექმნა. აქ კვლავ თავს იჩენს სიძნელე: ახალი ეკონომიკის შესაქმნელად ახალი ტიპის საზოგადოების შექმნა საჭირო, ზოლო ახალი საზოგადოების აშენება შეუძლებელია ახალი იდეოლოგიის გარეშე და პ. პარპერი მოითხოვს ახალი იდეოლოგიის შექმნას, საზოგადოების შეიარაღებას ახალი იდეოლოგიით. ისი აზრით, ეს მიგვიყვანს დიად ძვრებთან“<sup>6</sup>.

სხვა საკითხია, რომ პ. პარპერი ანგარიშს არ უწევს ახალი საზოგადოებისა და ახალი იდეოლოგიის არსებობის ფაქტს, ახალი საზოგადოებისა, სადაც უმადლეს მიზნად დასახულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენება ადამიანთა კეთილდღეობის ასამაღლებლად.

მაგრამ ნ. პ. პარპერის თვალსაზრისი: საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი ერთხელ კიდევ მიუთითებს პრობლემის სიძნელეზე, იმაზე, რომ მეცნიერულ გამოკვლევათა რეგულირება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა.

ზოგიერთი დასავლეთელი მეცნიერი თვლის, რომ მეცნიერული კვლევის რეგულირება, როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო მასშტა-

<sup>3</sup> М. Борн. Физика в жизни моего поколения, М., 1963, стр. 7.

<sup>4</sup> М. Борн. Размышления, «Литературная газета», 11 марта, 1970.

<sup>5</sup> «Литературная газета», 8 февраля, 1972 г.

<sup>6</sup> «Литературная газета», 21 октября, 1970 г.



ბით შესაძლებელია სამართლის საფუძველზე, ე. ი. მეცნიერული კვლევის საფუძველზე, რეგულირების როლში მათი აზრით უნდა გამოვიყენოთ სამართალი. ასე, მაგალითად, ამერიკელი ფიზიოლოგის, ნობელის პრემიის ლაურეატის მ. დელბრიუკის აზრით „უქანასკნელ ათწლეულებში გაწვევებული პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება „კარგი კანონმდებლობით“<sup>7</sup>.

ინგლისელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფ. ნოელ-ბეიკერი მიიჩნევს, რომ „თუ კაცობრიობისათვის საზიანო გამოკვლევები და მათი განხორციელებანი აკრძალვებოდა საერთაშორისო განიარაღების შეთანხმების საფუძველზე, მეცნიერება და მეცნიერები ბედნიერი იქნებოდნენ. მეცნიერებს უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებდა თავიანთი სამუშაო, — ეცოდინებოდათ რა წინაწარ, რომ იღწვიან ცივილიზაციისა და საზოგადოების სრულყოფისა და ნამდვილი განვითარებისათვის. ამ აკრძალვის კონტროლი თავისუფლად შეეძლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რადგან ამაში არ არის არავითარი ტექნიკური სირთულე. მეცნიერება, რომელიც ემსახურება ომს—ჩვენი დროის დიდი სირცხვილია“<sup>8</sup>.

უქანასკნელი წლების საერთაშორისო ცხოვრების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსგავსი შეთანხმებანი უდიდეს წინააღმდეგობებს აწყდებიან, როცა ეს შეთანხმებანი არ შეესაბამებან მონაპოვობისა და აგრესიულად განწყობილი იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი რეგულირების ტენდენცია, რომელსაც ბადებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ტემპები, გარკვეულ შედეგებს იძლევა. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ისედაც გავგიჟრძელდა საუბარი.

ამრიგად, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის პირობებში ვულუბრყვილო ოპტიმიზმი და რწმენა იმის თაობაზე, რომ მეცნიერება თავისი განვითარების გზაზე თვითონ გადაწყვეტს კაცობრიობის წინაშე ამ მხრივ წამოჭრილ პრობლემებს, შეიცვალა იმის გაცნობიერებით, რომ მეცნიერების სოციალური როლის კრიტიკიუმი თვით მეცნიერებაში კი არ არის, მის გარეთაა და რომ მეცნიერება, მეცნიერების პროგრესი თვითმიზანი კი არ არის, არამედ დაქვემდებარებულია იმ მიზნებისა და ამოცანებისადმი, რასაც საზოგადოება ისახავს განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. მაშასადამე, ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის. მაგრამ მეორე მხრივ, საჭიროა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გარკვეული შეზღუდვა, უფრო სწორად, აღნიშნული პროგრესისადმი კონტროლი.

ამიტომ მეცნიერების შესაძლებლობათა ყოველი კრიტიკული ანალიზი ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერების შემდგომი განვითარების გარკვეული შეზღუდვის საჭიროების გამოვლენას და არა უარის თქმას მეცნიერებაზე, როგორც ისეთ რაიმეზე, რაც თითქოს მტრული და საზიანოა ნამდვილი ადამიანური კულტურის მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერების როგორც სინამდვილის ათვისების სპეციფიკური ფორმის, საფუძველების ფილოსოფიური ანალიზი მეტად აქტუალური ხდება.

<sup>7</sup> «Литературная газета», 9 февраля 1972 г.

<sup>8</sup> «Литературная газета», 8 декабря 1971 г.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გასარკვევია სინამდვილისადმი მეცნიერულ-თეორიული დამოკიდებულების როლი ადამიანის მსოფლმხედველობრივ ორიენტაციაში. ამ მხრივ თვით ფილოსოფიამ, როგორც მსოფლმხედველობამ, შეიძლება დასვას საკითხი შემდეგნაირად: სინამდვილისადმი მეცნიერულ-თეორიული მიდგომა, როგორც საშუალება, არის თუ არა საკმარისი ფილოსოფიური პრობლემების გადასაწყვეტად, თუ ამ მიზნით საჭირო იქნება მიემართოთ სინამდვილის ათვისების სხვა ფორმებსა და ზერხებს? ფილოსოფიას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დისციპლინას, კვლევის მისივე ობიექტი გააჩნია. ფილოსოფიაც თავის სფეროში ისევე წყვეტს გარკვეულ პრობლემებს, როგორც სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შემსწავლელი კერძო მეცნიერებანი. შეიძლება დაისვას ასეთი საკითხი: თავისი პრობლემების გადაწყვეტისას ფილოსოფოსმა მკაცრად უნდა დაიცვას მეცნიერულობის ზოგადი პრინციპები თუ მას შეუძლია, და უფრო მეტიც, ვალდებულია გასცდეს მეცნიერული აზროვნების საზღვრებს? დაბოლოს: ყოველი კერძო მეცნიერება, სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შემეცნებისას. მკაცრად იცავს სინამდვილისადმი ობიექტური დამოკიდებულების პრინციპს; და ეს პრინციპი, მოთხოვნა განუყოფელია ნებისმიერი კერძო მეცნიერებისათვის. რამდენად თავსებადია ასეთი მოთხოვნა ღირებულებით ორიენტაციასთან?

აღნიშნული კითხვები საზრისიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიჩნეულია, რომ არსებობს გარკვეული განსხვავება ფილოსოფიურ და კერძომეცნიერულ შემეცნებას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც მაშინ, როცა ჩათვლილი იქნება, რომ ფილოსოფია არ არის მეცნიერება, და არც მაშინ, როცა ფილოსოფია ისეთივე ტიპის მეცნიერებად იქნება აღიარებული, როგორცაა ნებისმიერი კერძო მეცნიერება, — არავითარი პრობლემა არ იქნება გადასაწყვეტი. პრობლემას წარმოიშობს სწორედ ის, რომ ფილოსოფია, ერთი მხრივ, როგორც ადამიანის მიერ სამყაროს ათვისების გარკვეული ფორმა, მეცნიერებას უნდა მივაკუთვნოთ; მაგრამ მეორე მხრივ, ფილოსოფია განსხვავდება წმინდა თეორიული დამოკიდებულებისაგან — იგი წარმოადგენს მსოფლმხედველობას, „რამდენადაც ის სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავს, რის გამოც იგი თითქოს უნდა მივაკუთვნოთ ადამიანის მიერ სამყაროს ღირებულებით-პრაქტიკულ ათვისებას. მაგრამ ფილოსოფია არ არის თეორიული და მსოფლმხედველობრივი მხარეების მექანიკური ჯამი. ფილოსოფია მეცნიერული მსოფლმხედველობაა და მსოფლმხედველობრივი მეცნიერება“<sup>9</sup>.

ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი. ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა როლი და მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ადამიანის მსოფლმხედველობრივ ორიენტაციაში სინამდვილისადმი მეცნიერულ-თეორიულ დამოკიდებულებას. ამ საკითხის გადაწყვეტა ორგვარი შეიძლება იყოს (ამ შემთხვევაში იგულისხმება საკითხის უეიდურესი, ცალმხრივი გადაწყვეტა, რომელთაც უპირისპირდება სწორი, მარქსისტული გადაწყვეტა): ან კონკრეტულმეცნიერული ცოდნა მთელი თავისი შედეგების ერთობლიობით და სინამდვილის ათვისების ზერხებით, წარმოადგენს უმაღლეს კულტურულ ღირებულებას და ადამიანის მსოფლმხედველობრივი ორიენტაციისათვის

<sup>9</sup> ო. ჭიოგვი, კულტურის სტრუქტურა, კრებულში: კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977, გვ. 97.



საქართველოს  
ქვეყნული ბიბლიოთეკა

საქმარის პირობას; ან პირიქით, კონკრეტულ-მეცნიერული ცოდნა, მისი შედეგები, არა თუ საქმარის პირობაა ადამიანის მსოფლმხედველობრივი ორიენტაციისათვის, არამედ მტრული და საზიანოა ადამიანისათვის, ამიტომ ადამიანური მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის საფუძვლები უნდა ვეძებოთ ადამიანური მოღვაწეობის არამეცნიერულ ფორმებში.

პირველი თვალსაზრისი „სციენტისმის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მეორე კი — „ანტისციენტისმის“. ორივე თვალსაზრისი უკიდურესია, მაგრამ ამათანავე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს უსაფუძვლო ტენდენციას, არამედ გარკვეული გამოხატულებაა თანამედროვე დასავლეთის სოციალურ-კულტურული სიტუაციისა: ესაა თანამედროვე პირობებში ახალგაზრდა კულტურის წიაღში კონკრეტულ-მეცნიერული და ფილოსოფიურ-სპექულატური აზროვნების წესების მკვეთრი დაპირისპირების ფაქტი. ცხადია, აღნიშნული თვალსაზრისების წარმოშობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მსოფლმხედველობრივი დასკვნები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ კონკრეტულ-მეცნიერული ცოდნიდან, შესაძრევად განსხვავდებათ ტრადიციული სპექულატურ-ფილოსოფიური ცოდნიდან გამომდინარე დასკვნებისაგან. აღნიშნული განსხვავება სულ უფრო შესაძრევი ხდება XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე და სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს ჩამოყალიბებას გარკვეული კონცეფცია „სციენტისმის“ სახით, რაც ხელს უწყობს საბირისპირო თვალსაზრისის — „ანტისციენტისმის“ წარმოშობას (რა თქმა უნდა, როდესაც ვამბობთ, „სციენტისმი“ XIX—XX საუკუნის მოვლენაო, იგულისხმება, რომ ამ პერიოდში ყალიბდება იგი როგორც გამოკვეთილი პოზიცია. ისე კი „სციენტისმის“ სათავეები ფ. ბეკონის მოძღვრებაშია). რას ნიშნავს „სციენტისმი“ ფილოსოფიაში, ფილოსოფიის მიმართ? ეს ნიშნავს შემდეგს: რამდენადაც კერძო, ზუსტმა მეცნიერებებმა არსებულ წარმატებებს მიაღწიეს, გამოდის, რომ ამ მეცნიერებათა მეთოდები ყოფილან ყველაზე საიმედონი. ამიტომ ფილოსოფიაც უნდა აიგოს კონკრეტულ მეცნიერებათა ანალოგიურად, შემეცნებაში დამყაროს აზროვნების ისეთ წესს, როგორათაც ხელმძღვანელობენ ზუსტი მეცნიერებანი. ნათქვამი მოითხოვს დაზუსტებას. რაზეა აქ საუბარი? მოითხოვება, რომ ფილოსოფიამ უნდა დაიცვას მეცნიერულობის გარეგნული ნიშნები, გამოიყენოს მათემატიკური აპარატი და უზრუნველყოს ვერიფიკაციის მოთხოვნა წამოყენებული ჰიპოთეზებისა და მტკიცებების მიმართ, ე. ი. სამყაროს, გარეგანი ობიექტების შემეცნებისას მიბაძოს კერძო მეცნიერებებს? რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ეს. იმ დიდმა წარმატებებმა, რასაც მეცნიერებამ და ტექნიკამ მიაღწიეს, წარმოშვა უკიდურესი ოპტიმიზმი ტექნიკურ მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ, წარმოიშვა ტექნიკური აზროვნების წესის უნივერსალიზაციისა და აბსოლუტიზაციის ტენდენცია. იფიქრეს, ადამიანისა და ადამიანური მოვლენების კვლევაში ასევე საგრძნობი წარმატებები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მოპოვებადი, თუ ამ სფეროშიც გამოყენებული იქნება აზროვნების იგივე წესი: „ამგვარად აზროვნების ტექნიკური წესი შეიჭრა ადამიანის კვლევის სფეროში. და „სციენტისტური ანთროპოლოგია“ არის სწორედ კონცეფცია ადამიანის, მისი ყოველივე სტრუქტურის თაობაზე, შემუშავებული ტექნიკურ-მეცნიერული აზროვნების წესის მიხედვით“<sup>10</sup>. მაგრამ როგორც ცნობილია, აზროვნების წესი საკვლევი ობიექტის

<sup>10</sup> ზ. კაკაბაძე, კულტურის ზოგიერთი საკითხი, იხ. კრებული: კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1975, გვ. 41.

ხასიათით არის განსაზღვრული და თუ საკვლევი ობიექტის ხასიათი არ შეე-  
სატყვისება მის მიმართ გამოყენებულ აზროვნების წესს, მაშინ ამგვარ აზროვნებას  
აუცილებლად მიეყვარათ საკვლევი საგნის სურათის დამახინჯებამდე.  
ადამიანი რომ მხოლოდ ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ ორგანიზმს წარმოად-  
გენდეს და სხვას არაფერს, მაშინ სრულიად შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის,  
როგორც საკვლევი ობიექტის მიმართ ტექნიკურ-მეცნიერული აზროვნების  
წესის გამოყენება. მაგრამ კერძო, ზუსტ მეცნიერებათა რომელი მეთოდები  
და ხერხები თაა შესაძლებელი მორალური ნორმების, ესთეტიკური კრი-  
ტიკურობების, სოციალური დაინტერესებულობის და საერთოდ ადამიანის ღირ-  
ებულებებით ორიენტაციის კვლევა?

აზროვნების ტექნიკური წესით შესაძლებელია მართო ისეთი ობიექტების  
კვლევა, რომლებიც მხოლოდ მექანიკურ-მიზეზობრივ დეტერმინაციას ექ-  
ვემდებარებიან. სხვანაირად, ეს ისეთი ტიპის ობიექტებია, რომელთა ასეთი და  
ისეთი მდგომარეობა, თუ საქციელი ზორციელდება სხვაგვარად მოქცევის შე-  
საძლებლობების გამორიცხვის პირობებში. ადამიანის საქციელი კი „არ დაი-  
ჯანება მექანიკურ-მიზეზობრივი ტიპის საქციელზე და ამიტომაც ტექნიკურ-  
მეცნიერული წესით რომ ვიპოვებთ ადამიანს, ... მხედველობიდან ვუშვებთ ადა-  
მიანის პრინციპულ თავისებურებას — მის თავისუფლებას, ანუ ფაქტიურად არ-  
სებულ გარემოებათაგან შეფარდებითი დამოუკიდებლობის უნარს. და, სხვათა  
შორის, სწორედ ამ თავისებურებასა და ამ სპეციფიკურ უნარს — თავისუფლე-  
ბას გულისხმობს ზნეობრივი ცნობიერება და ზნეობრივი საქციელი თავის აუ-  
ცილებელ პირობად“<sup>11</sup>.

ჩვენი საუბარი ეხება „სციენტოზმს“ ფილოსოფიაში, „სციენტისტურ“ პო-  
ზიციას კულტურაში. კულტურის ისტორიაში კი ფილოსოფია გვევლინება  
არა უბრალოდ როგორც მეცნიერება, რომელიც გარესამყაროს შემეცნებითაა  
დასაქმებული და განსხვავდება კერძო მეცნიერებისგან ზოგადობის ხარისხით  
(ვინაიდან ფილოსოფია სამყაროს განვითარების უზოგადეს კანონზომიერებას  
შეისწავლის), არამედ იგი (ფილოსოფია) ასრულებდა და ალბათ ყოველთვის  
შეასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას — მსოფლმხედველობრივ ფუნქციას.  
ესაა ფუნქცია, რომელსაც ვერ შეასრულებს არა თუ ცალკეული კერძო მეცნიე-  
რება, არამედ ვერც კონკრეტულ-მეცნიერული ცოდნის ერთობლიობა.  
„მსოფლმხედველობა“ ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ არა როგორც სამყაროზე  
შეხედულებების რაღაც ჯამი, არამედ როგორც შეხედულებათა სისტემა, რო-  
მელიც გულისხმობს რა გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებას ადამიანსა და  
სამყაროს შორის, განსაზღვრავს ადამიანის ადგილს და როლს სამყაროში და  
ამით აშკარად თუ არააშკარად იძლევა ამოსავალ ორიენტირთა გარკვეულ ერ-  
თობლიობას, რომლითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები ცხოვრებაში. ეს ორი-  
ენტირები და მათი რეალიზაციის ხერხები განსაზღვრულია საზოგადოების გან-  
ვითარების დონით და განვითარების ამა თუ იმ საფეხუზე ადამიანთა წინაშე  
მდგომი ამოცანებისა და მიზნების ხასიათით. კონკრეტულ-მეცნიერული აზ-  
როვნებისაგან ფილოსოფიური აზროვნება სწორედ იმით განსხვავდება, რომ ამ  
უკანასკნელს აქვს პრეტენზია ისეთი დებულებების წამოყენებისა, რომელნიც  
გამოდებებიან როგორც ნორმების სინამდვილისადმი ნებისმიერი შემეცნებითი,

<sup>11</sup> ზ. კაკაბაძე, კულტურის ზოგიერთი საკითხი, იხ. კრებულში: კულტურა და სოცია-  
ლიზმი, თბ., 1975, გვ. 42.



ათვისებითი მიდგომის დროს. ფილოსოფიის მიერ ასეთი „ნორმების წამოყენების პრეტენზია გულისხმობს არა იმას, რომ ფილოსოფიის მიერ წამოყენებული ამ დებულებებით ამოიწურება სინამდვილის შესახებ ცოდნის მთელი მრავალფეროვნება და სიმდიდრე, არამედ იმას, რომ აღნიშნული დებულებები შეიხეზიან სამყაროსა და ადამიანის დამოკიდებულებას, სამყაროში ადამიანის ადგილისა და როლის, სამყაროს განვითარების მიმართულებისა და ადამიანის „სოცოცხლის აზრის“ საკითხთა გარკვევას, ე. ი. ფილოსოფიის პრეტენზია აქვს გარეგანი სამყაროს შესახებ ცოდნის არა ექსტენსიურ, არამედ ინტენსიურ სისრულეზე.

მაშასადამე, ფილოსოფია ერთი მხრივ, წარმოადგენს ცნობიერების განსაკუთრებულ ფორმას, ამასთანავე იმდენად განსაკუთრებულს და სპეციფიკურს თავისი ფუნქციებით და მეთოდებით, რომ როგორც ცნობილია, ენგელსი განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს მას საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმათა სისტემაში. ეს გარემოება კი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ფილოსოფიის სრული „სციენტოფიკაცია“ შეუძლებელია. მაგრამ მეორე მხრივ ფილოსოფიისათვის, ისევე როგორც ყოველი მეცნიერულ-თეორიული შემეცნებისათვის, დამახასიათებელია საკუთარი ამოცანებისა და მეთოდების მიმართ კრიტიკულ-რეფლექსური დამოკიდებულება.

მარქსისტული ფილოსოფია არის მსოფლმხედველობა, მაგრამ არა უბრალოდ მსოფლმხედველობა, არამედ მეცნიერული მსოფლმხედველობა. ამის თაობაზე აკად. პ. გ. კობინი აღნიშნავს: „მარქსისტული ფილოსოფია წარმოადგენს მეცნიერულ მსოფლმხედველობას და ამ მხრივ არ უნდა გვეშინოდეს საყვედურებისა იმის თაობაზე, თითქოს მარქსისტულ ფილოსოფიაში ადგილპქონდეს სციენტისტურ ტენდენციებს, რასაც ზოგჯერ ჩვენნი მისამართით ამბობენ ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები“<sup>12</sup>.

ცხადია, იმის შიშით, რომ „სციენტისმში“ ბრალი არ დავდონ, ფილოსოფიური პრობლემების მიმართ მეცნიერულ-თეორიული კრიტიკიუმების მოხსენა, იქნებოდა ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის სპეციფიკური ფორმის დანგრევა (არავინ დასწამებს „სციენტისმს“, მაგ., სოკრატეს და პლატონს, რომლებიც დასაბუთებაში სიმკაცრეს მოითხოვდნენ).

„სციენტისტური“ იდეების წამოყენება დაკავშირებულია ფილოსოფიური აზრის განვითარების გარკვეულ ეტაპთან. ესაა პერიოდი, როცა საკმაოდ განვითარებული და ფილოსოფიისაგან გამოყოფილი კონკრეტული მეცნიერება აცხადებს პრეტენზიას ზოგადმსოფლმხედველობრივ როლზე, სამყაროსა და ადამიანის შესახებ ერთიანი სურათის შექმნის თაობაზე. საქმე ის არის, რომ ცდამდე დამყარებული ბუნებისმეცნიერების წარმოშობა და განვითარება ქმნის სრულიად ახალ სიტუაციას როგორც შემეცნებაში, ასევე სამყაროში ადამიანის ორიენტაციის პრინციპებში. ლოგიკურ, სპეკულატურ-ფილოსოფიურ აზროვნებას დაუპირისპირდა ცდისეული მეცნიერების მკაცრად ერთმნიშვნელოვან დასკვნები, შედეგები. ამ პირობებში ბუნებრივია, დაიწყეთ ფილოსოფიის ფუნქციის და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების გადასინჯვა. ანალიზი. ამან კი გამოიწვია შემდეგი ვითარება: ახალი დროის ფილოსოფია იწყებს ორიენტირებას საბუნებისმეტყველო ცოდნიდან გამომდინარე მსოფლმხედველობრივ დასკვნებზე; ბუნებისმეტყველების მონაცემები საფუძვლად ედება ფილოსო

<sup>12</sup> П. В. Копини. «Вопросы философии», 1969, № 4, стр. 129.

ფიურ ონტოლოგიურ სისტემებს, თანდათან ყალიბდება ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სოციალური პროგრესის მთავარ პირობად ცხადდება მეცნიერული შემეცნების უანეითარება. ასევე ეყრება საფუძველი კონკრეტულ-მეცნიერული აზროვნების ნორმების ეტალონად გამოცხადების ტენდენციას (ეს ნორმები თვით ფილოსოფიისათვის სავალდებულოდ ცხადდება).

ფ. ბეკონი არის პირველი ფილოსოფოსი, ვის მოძღვრებაშიც თანმიმდევრულად აისახა აღნიშნული ტენდენცია. ბეკონის მიხედვით, ჩვენს ცნობიერებას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებებისა, მცდარი იდეები და ცრურწმენანი, საჭიროა ცნობიერება განთავისუფლდეს ამ ნაკლოვანებებისაგან, რომელთაც ბეკონი „იდიოლებს“ უწოდებს. აკრიტიკებს რა არისტოტელეს ლოგიკას, ბეკონი თვლის, რომ ნამდვილ ლოგიკას საქმე უნდა ჰქონდეს ცხოვრებასთან და არა ცნებულთან ცნების გამოყვანასთან, როგორც ეს არისტოტელეს ლოგიკაშია. მისი აზრით, სილოგისმის მეთოდი უძლეურია ახალი ცოდნის მისაღებად. უცხადებს რა ბრძოლას ფილოსოფიაში გაბატონებულ ცრურწმენებს, „იდიოლებს“, ანთ ბეკონი ბრძოლას უცხადებს აგრეთვე ფილოსოფიურ სპეკულაციებს და ცდილობს ფილოსოფიისათვის შექმნას ისეთი მეთოდი, რომელიც ცდას და ექსპერიმენტს დაეყრდნობა. ეს მეთოდი იქნება კერძო მეცნიერებათა მეთოდის ანალოგიური და ბეკონის აზრით, უზრუნველყოფს როგორც ცოდნის სიზუსტეს ასევე, ახალი აღმოჩენების გარანტიას. სხვა საკითხია, რომ ბეკონის მეთოდი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორც ავტორს სურდა: იგი ვერ გამოდგა ახალი ცოდნის მისაღებად, მაგრამ ბეკონისეული კერძომეცნიერულ აზროვნებაზე თანმიმდევრული ორიენტაციის ხაზი თავის გაგრძელებას პოულობს ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებებში, რომლებიც ბეკონის მსგავსად ცდილობენ კავშირის გაწყვეტას წარსულის ფილოსოფიურ-სპეკულატურ ტრადიციებთან. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მეცნიერებაზე ორიენტაცია აუცილებლობით არ გამოიხატავს სპეკულატურ-მეტაფიზიკურ პრობლემატიკას. რომ ამ მხრივ საქმე არც ისე მარტივადია, ამას მოწმობს დეკარტეს მოძღვრების ანალიზი. დეკარტე შეეცადა კერძო მეცნიერული მეთოდის (მათემატიკური მეთოდის) პრინციპები თანმიმდევრულად გაეტარებინა თავის მეტაფიზიკაში. ასევე საინტერესოა ამ მხრივ ბ. სპინოზას ფილოსოფია. იგი შეეცადა წმინდა მათემატიკური (გეომეტრიული) ხერხებით დაესაბუთებინა ფილოსოფიური პრობლემები. ამასთანავე, მეცნიერების სპინოზასეული გაგებისათვის დამახასიათებელია ღრმა ჰუმანიტარული პათოსი. მეცნიერებას იგი განიზილავს არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც ადამიანის სრულყოფის საშუალებას: „მე მინდა ყველა მეცნიერება წარმართო ერთი მიზნისაკენ, სახელდობრ იქეთვე, რომ მივალწიოთ უმაღლეს ადამიანურ სრულყოფილებას... ამიტომ ყოველივე, რაც მეცნიერებაში ისეთია, რაც ამ მიზანს არ ემსახურება, უნდა ჩამოვაშოროთ მას, როგორც უსარგებლო“<sup>13</sup>.

ფილოსოფიურ-სპეკულატური მიმართულებისა და კერძო მეცნიერულ მეთოდზე ორიენტაციის ტენდენციის თავისებური ერთიანობა გვაქვს ლაიბნიცის ფილოსოფიაში.

ერთი სიტყვით, ახალ დროში ეყრება საფუძველი კერძო მეცნიერულ მეთოდზე ორიენტაციასა და შესაბამისად სციენტისტურ ტენდენციას; მაგრამ როგორც აღნიშნული პერიოდის ფილოსოფიური აზრის ანალიზი გვიჩვენებს, აქ

<sup>13</sup> Б. Спиноза. Избр. пр., М., 1957, стр. 324.

ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს სციენტისმისა და ანტისციენტისმის რადიკალურ დაპირისპირებას. თუმცა ამ დაპირისპირებას ამ პერიოდში ეყრება საფუძველი.

რა თქმა უნდა, კონკრეტულ-მეცნიერული და სპეკულატიურ-ფილოსოფიური აზროვნების წესების სინთეზის ცდა. არ შეიძლებოდა ყოფილიყო შინაგანი წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი. სწორედ ამ სიტუაციის ანალიზი ხდება ი. კანტის ფილოსოფიაში. კანტმა მიზნად დაისახა მეცნიერულ-თეორიული აზროვნების ბუნებისა და აზროვნების ამ წესის ტრადიციული ფილოსოფიური პრობლემატიკისადმი გამოყენებადობის საკითხის განხილვა. ჩვენს მიზანს არ შეადგენს კანტის მოძღვრების დაწვრილებითი განხილვა ამ მხრივ. მხოლოდ აღნიშნავთ შემდეგს: დაუპირისპირა რა დოგმატიზმს კრიტიციზმი, მკაცრად გამოჯნა რა ერთმანეთისაგან ცოდნისა და რწმენის სფეროები, კანტმა ამით ასევე მკაცრად დაადგინა მეცნიერული შემეცნების პრინციპების გამოყენების საზღვრები. თეორიული ცოდნა, განხორციელებული კონკრეტულ მეცნიერებაში (პირველ რიგში, კანტისდროინდელ ბუნისმეცნიერებაში), კანტის მიერ განიხილება როგორც ერთ-ერთი შესაძლებელი ტიპი ადამიანის სინამდვილესთან დამოკიდებულებისა. ი. კანტი ფილოსოფიის ისტორიაში პირველია, ვინც მკაფიოდ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის სინამდვილესთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების მარეგულირებელი ნორმებიც ასევე განსხვავებულნი არიან და ამით საფუძველი ჩაუყარა შემდგომი დროის ფილოსოფიაში საკითხის დაყენებას იმის თაობაზე, თუ ადამიანის სინამდვილესთან დამოკიდებულების ფორმებიდან რომელია უმაღლესი ფორმა. კანტის ფილოსოფიაშივე იყო იმის საფუძველი, რომ აღნიშნული საკითხი სხვადასხვაგვარად დასმულიყო და გადაწყვეტილიყო. გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში მაგ., ფიხტემ, როგორც ცნობილია, უპირატესობა პრაქტიკულ გონებას მიანიჭა, შელინგმა — ესთეტიკურს, ხოლო ჰეგელმა კი ლოგიკურ-თეორიულს.

ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო, კანტის ფილოსოფია, არ შეიძლება შეფასდეს როგორც მთლიანად „სციენტისტური“ და ასევე ვერ შეფასდება ის როგორც ანტისციენტისტური, ვინაიდან კანტი, ერთი მხრივ თავისი დროის ზუსტ მეცნიერულ ცოდნას (მათემატიკა, ფიზიკა) მიიჩნევს კულტურის განუყოფელ კომპონენტად, ხოლო მეორე მხრივ, სინამდვილისადმი მეცნიერულ-თეორიული დამოკიდებულება მასთან გვევლინება არა როგორც სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ერთადერთი უმაღლესი ფორმა, არამედ როგორც ერთ-ერთი ფორმა სხვა ფორმათა შორის. აღნიშნულ საკითხზე რეფლექსია, მისი გადაქცევა სპეციალური ფილოსოფიური ანალიზის საგნად, კანტის დაშახტრება და ამიტომ ბუნებრივია, მეცნიერული და ფილოსოფიური შემეცნების ურთიერთობის საკითხის გარკვევისას, კანტის შემდგომი დროის ფილოსოფოსები ასე თუ ისე ითვალისწინებდნენ კანტის პოზიციას.

ეს პირველ რიგში ეხება გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებს ი. ფიხტეს, შელინგს, გ. ჰეგელს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. ფიხტემ, ადამიანის სინამდვილისადმი დამოკიდებულების ფორმებიდან პრაქტიკულ გონებას მიანიჭა უპირატესობა, შელინგმა ასეთად ესთეტიკური მიიჩნია. ამასთანავე ორივე მოაზროვნე თვლიდა, რომ კერძომეცნიერული შემეცნება, მართალია სინამდვილის ათვისების სხვა ფორმებთან შედარებით, გარკვეულად შეზღუდულია, მაგრამ ეს უკანასკნელი კულტურის აუცილებელი ელემენტია, ამიტომ მათი სისტემები არც „წმინდა“ სციენტისტურია და არც წმინდა ანტისციენტისტური.



საინტერესოა ამ მხრივ ჰეგელის თვალსაზრისი. ჰეგელის სისტემაში, მართალია, ფიქტესა და შეღწევისაგან განსხვავებით, სინამდვილის ათვისების უმაღლეს ფორმად თეორიული შემეცნებაა აღიარებული, მაგრამ ამასთანავე, აღნიშნული თეორიული შემეცნება, ჰეგელის მიხედვით, კონკრეტულ-მეცნიერული შემეცნების ნორმებზე კი არ არის „მიჯაჭვული“, არამედ გულისხმობს სწორედ ამ უკანასკნელთა დაძლევა-გადალაზვას და პრინციპულად ახალი ლოგიკის შექმნას;

ამდენად ჰეგელთან, ერთი მხრივ, გვაქვს თეორიული შემეცნების გარკვეული აბსოლუტიზაცია, მაგრამ მეორე მხრივ, თავისი სისტემის აგებისას ჰეგელი ცდილობს რა შემეცნების (სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების) ფორმების ერთიანი თეორიული საფუძვლის დადგენას, ხშირად თვითონვე ლაღატბს მეცნიერულობის პრინციპებს.

ამრიგად, ჰეგელის მიერ სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ფორმებიდან თეორიული შემეცნების აღიარება უმაღლეს ფორმად, თითქოს იძლევა საფუძველს, ჰეგელის თვალსაზრისი მიჩნეულ იქნეს სციენტისტურ თვალსაზრისად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თეორიულ შემეცნებაში ჰეგელი არ გულისხმობს კონკრეტულ-მეცნიერულ შემეცნებას, მაშინ ჰეგელის თვალსაზრისი არ ჩაითვლება სციენტისტურ შეხედულებად, ჰეგელის თვალსაზრისი ასევე არ ჩაითვლება ანტისციენტისტურ თვალსაზრისად (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ელემენტები მის ფილოსოფიაში საკმაოდ არის) იმიტომ, რომ რა სახისაც არ უნდა იყოს თეორიული შემეცნება, ის მაინც თეორიული შემეცნებაა და ჰეგელი სწორედ ამ უკანასკნელს მიიჩნევს სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების უმაღლეს ფორმად.

თუ ახალ დროში, ბეკონიდან დაწყებული, ფილოსოფიაში ადგილი ჰქონდა კერძო მეცნიერულ მეთოდზე ორიენტაციას, ფილოსოფიური პრობლემატიკის გადაწყვეტაში კერძო მეცნიერული მეთოდის პრინციპების მოჭარბებას, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ორი ტიპის ფილოსოფიური აზროვნების — კერძო მეცნიერულ მეთოდზე ორიენტირებულისა და საწინააღმდეგო მიმართულების — დაპირისპირება, რაც აქამდე საპირისპირო ტენდენციების ბრძოლის სახეს ატარებდა, გადაიზარდა აშკარა წინააღმდეგობა-დაპირისპირებულობაში. ამ ბრძოლის გამწვავებას, ისევე როგორც ახალ დროში, კვლავ ხელი შეუწყო კერძო მეცნიერებათა ინტენსიურმა განვითარებამ. სწორედ კერძო მეცნიერებათა ინტენსიური განვითარების შედეგად ხდება კერძო მეცნიერული მეთოდის დანერგვა ადამიანისა და საერთოდ სოციალური მოვლენების შესწავლაში. ე. ი. კერძო მეცნიერული მეთოდი შეიჭრა ისეთ სფეროში, რომელიც ტრადიციულად ითვლებოდა ფილოსოფიური და ჰუმანიტარული აზროვნების კვლევის სფეროდ. მართალია, აღნიშნულ სფეროში მეცნიერული მეთოდების გამოყენება დადებითი მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ კერძო მეცნიერული მეთოდის გამოყენება სოციალური მოვლენების კვლევაში ვერ მოგვეცემს აღნიშნული მოვლენების ზუსტ და ამომწურავ სურათს. ეს მეთოდი გამოუყენებელია, მაგალითად, ისეთი მოვლენების მიმართ, როგორცაა ზნეობრივი პრობლემები, ესთეტიკური შეფასება და სხვა. ამიტომ ზუსტ მეცნიერებათა მეთოდების მკაცრ გამოყენებას სოციალური მოვლენების კვლევის სფეროში, არ შეიძლება არ გამოეწვია კერძო მეცნიერულ მეთოდებზე ორიენტირებული და საპირისპირო თვალსაზრისებს შორის წინააღმდეგობათა და უთანხმოებათა კიდევ უფრო გაღრმავება. ხშირად აღნიშნული უთანხმოება თვით ერთი ფილო-

63962

ქ. ბარკის სახ. საქ. მხარე  
სახელმწიფო. სპობილი

სოფლის მოძღვრებაშიც კი იჩენდა ხოლმე თავს. აღსანიშნავია ამ მხრივ ე. ჰუსერლის ფილოსოფიური მოძღვრება.

თავდაპირველად ჰუსერლი მკვეთრად განასხვავებდა, გამიჯნავდა ერთმანეთისაგან „მეცნიერულ“ და „მსოფლმხედველობრივ“ ფილოსოფოსებს. იგი თავს თვლიდა „მეცნიერული“ ფილოსოფიის წარმომადგენლად. სტატიაში „ფილოსოფია როგორც მეცნიერება“ ჰუსერლი აღნიშნავდა: „მსოფლმხედველობრივი ფილოსოფიის“ მიზანია მსოფლმხედველობა, რომელიც თავისი არსებით არ არის და არც შეიძლება იყოს „მეცნიერება“<sup>14</sup>.

რატომ არ შეიძლება „მსოფლმხედველობრივი ფილოსოფია“ იყოს მეცნიერება? ამ კითხვაზე ჰუსერლი ასე პასუხობს: მსოფლმხედველობა სხვადასხვა დროში განსხვავებულია. მეცნიერება კი ამის საპირისპიროდ „ზედროულია“. ერთი სიტყვით, მსოფლმხედველობა გამოხატავს სიცოცხლის აზრს და იძლევა გარკვეულ მითითებებს როგორც ცხოვრებაში ორიენტირების საშუალებას. მაგრამ რადგანაც სიცოცხლის აზრის გაგება სხვადასხვა დროში სხვადასხვანაირია, ამდენად მსოფლმხედველობისა და „მსოფლმხედველობრივი ფილოსოფიის“ შინაარსი ასევე იცვლება დროის მიხედვით. მეცნიერება და „მეცნიერული ფილოსოფია“, ადგენს რა „ზედროულ“ ჭეშმარიტებებს, თვითონაც „ზედროული“ მნიშვნელობის მქონეა. ამის გამო ჰუსერლი „მეცნიერულ ფილოსოფიას“ ანიჭებდა უპირატესობას „მსოფლმხედველობრივ ფილოსოფიასთან“ შედარებით. ამ თვალსაზრისს იცავდა ის ფილოსოფიური მოღვაწეობის უკანასკნელ წლებამდე. მაგრამ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ევროპაში ადამიანის, ადამიანური არსებობის კრიზისის უკიდურესად გამწვავებამ ჰუსერლი აიძულა მეტი ყურადღება დაეთმო ეპოქის კრიტიკისა და ადამიანური ცხოვრების ახალი ორიენტაციის პრობლემებისადმი. მოკლედ, ჰუსერლი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენს მსოფლმხედველობრივი პრობლემებისადმი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას; რომ „მსოფლმხედველობრივი პრობლემებით და შესაბამისად „მსოფლმხედველობრივი ფილოსოფიით“ დაინტერესების შედეგად ჰუსერლი მიდის „მეცნიერული ფილოსოფიის“ იდეის უარყოფამდე. პირიქით, ის ფიქრობს, რომ საჭიროა შეიქმნას ახალი ფილოსოფია, რომელიც იქნება როგორც მეცნიერული ასევე მსოფლმხედველობრივი მომენტების შემცველი. თავისი ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია სწორედ ამ მიზნის განხორციელებად წარმოუდგენია ჰუსერლს.

როგორც აღვნიშნეთ, ჰუსერლის დაინტერესება მსოფლმხედველობრივი პრობლემებით გამოწვეულია ეპოქის კრიზისით. „ევროპის ერები დააუადებულა, თვითონ ევროპა... ღრმა კრიზისშია“<sup>15</sup>. — წერს ჰუსერლი. რა არის ამ კრიზისის მიზეზი? ჰუსერლი თვლის, რომ მიუხედავად სავაო სიზუსტისა, ევროპულმა მეცნიერებამ დაკარგა აზრი და მნიშვნელობა ადამიანებისათვის. „ეს მეცნიერებანი არაფერს გვეუბნებიან ჩვენი ცხოვრებისეული საჭირობოტო საკითხების თაობაზე. ამ მეცნიერებებში უგულებელყოფილი და გამორიცხულია სწორედ ის საკითხები, რომელთაც დღევანდელ პირობებში გამსაკუთრე-

<sup>14</sup> „Логос“, 1915, № 1, стр. 51.

<sup>15</sup> „Логос“, 1915 г., № 1, стр. 53.

ბული მნიშვნელობა აქვთ ადამიანებისათვის. ესაა საკითხი ადამიანური არსებობის უაზრობისა თუ საზრიანობის თაობაზე ამჟამად ჩვენს თვალწინ მიმდინარე საბედისწერო ცვლილებების დროს<sup>16</sup>.

რა შეუძლია გვითხრას ამ მხრივ მეცნიერებამ, რომელიც სხეულებს და ნივთიერებებს სწავლობს. ცხადია, არაფერი. ასეთი მეცნიერებანი განყენებას ახდენენ ყოველგვარი სუბიექტურისაგან და ჩვენზე, როგორც შემოქმედ სუბიექტებზე, პიროვნებებზე საერთოდ, ვერაფერს გვეტყვიან. მსგავს საკითხებზე პასუხის ვაცემა სულის შესახებ მეცნიერებებს და საბოლოო ჯამში ფილოსოფიას ევალება. მაგრამ თანამედროვე პირობებში სხვადასხვა მიზეზთა წყალობით ეს უკანასკნელიც (სულის შესახებ მეცნიერებანი) გადაიქცნენ ფაქტების შესახებ მეცნიერებად (იმ ცრურწმენის საფუძველზე რომ მეცნიერული ჰემშარიტება არის მხოლოდ კონსტატაცია იმისა, როგორ „გამოიყურება“ ფაქტების სამყარო — როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი). ამიტომაც, რადგან სუბიექტურობის პრობლემა არ ემთხვევა ფაქტების, ფაქტიური ვითარებების პრობლემებს, პირველი რიგის პრობლემები ვერ პოვებენ ადგილს მეცნიერებებში, რომელნიც გადაიქცნენ ფაქტების შესახებ მეცნიერებებად. ფილოსოფია, რომელიც უძველესი დროიდან პრეტენზიას აცხადებდა ყოფიერების ყველა შესაძლო სახეობათა თაობაზე წარმოდგენების დაფუძნებაზე, ჩვენს დროში უკვე ვეღარ ამართლებს თავის პირვანდელ პრეტენზიას. ამის მკაფიო დადასტურებად ჰუსერლს მიაჩნია პოზიტივიზმი.

ჰუსერლი არ ეთანხმება იმ მოაზროვნეებს, რომელნიც თვლიან, რომ გეომეტრიული კაცობრიობის კრიზისის მიზეზი მდგომარეობს გონებისადმი, მეცნიერული აზროვნებისადმი გულუბრყვილო მინდობაში. ამ თვალსაზრისის წარმომადგენელი ფიქრობენ, რომ ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტური ფაქტორები, საერთოდ სოციალური მოვლენები არ ექვემდებარებიან მეცნიერულ-რაციონალურ შემეცნებას. მეცნიერული აზროვნება ვერ წყვეტს ადამიანის სასიცოცხლო პრობლემებს და ამიტომ მასზე იმედის დაწყობა ნიშნავს ადამიანსა მოახდინოს თავისი თავის დეზორიენტირება ცხოვრებაში.

ჰუსერლი თვლის, რომ კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა სწორედ გონება. მხოლოდ ამ უკანასკნელის მეშვეობითაა შესაძლებელი ცხოვრების ორიენტირთა შემუშავება. აღნიშნული კრიზისის მიზეზია არა რაციონალიზმი საერთოდ, არამედ უკიდურესი, პრინციპული ცალმხრივობა თანამედროვე მეცნიერული აზროვნებისა.

ჰუსერლის მიხედვით, ადამიანური ცხოვრების ფაქტორები, რომელთა ენორირებას ახდენენ ზუსტი მეცნიერებანი, მართლა როდი არიან რაციონალური. ასეთად ისინი მხოლოდ იმის გამო გვეჩვენებიან, რომ ადგილი აქვს მეცნიერულობის ცნების არასწორ „დავიწროებას“, კერძოდ მიჩნეულია, რომ ერთადერთი ნამდვილი ჰემშარიტება არის ის, რასაც კონკრეტულ-მეცნიერული შემეცნება ადგენს. ამიტომ შექმნილი კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით ჰუსერლის მიხედვით, საჭიროა მეცნიერულ აზროვნებაში რადიკალური რეფორმების გატარება. მაგრამ რეფორმები საჭიროა მხოლოდ გარკვეული მიმართულებით. კერძოდ, საჭიროა სულის შესახებ მეცნიერებათა გარდაქმნა და პირველ რიგში, ფილოსოფიისა, რომელმაც თავის მხრივ, უნდა „გაამართლოს“ და დააფუძნოს აღნიშნული გარდაქმნები.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ეს რეფორმა მათ არ უნ-

<sup>16</sup> «Логос», 1915 г., № 1, стр. 74.

და შეეხოს, რადგან ისინი საკმაოდ ეფექტურნი არიან თავიანთი სპეციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

როგორ უნდა მოხდეს რეფორმა ფილოსოფიაში? ჰესერლის აზრით, შეუძლებელია სრული სახით აღდგეს წარსულის ფილოსოფია. რატომ? იმიტომ, რომ, ჰესერლის მიხედვით, წარსულის ფილოსოფიაში ჭარბადაა „ობიექტივისტურ-ნატურალისტური“ ცრურწმენები. რეფორმის მიზანია სწორედ აღნიშნული ცრურწმენების დაძლევა და გადალახვა. ეს კი ნიშნავს ფილოსოფიური ხედვის მიმართვას, მობრუნებას ობიექტიდან სუბიექტისაკენ, ვინაიდან „ობიექტივიზმი“ არის სწორედ ისეთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ყოფიერების საკმაო საფუძველად მიჩნეულია ადამიანისათვის რაღაც გარეგანი, მისგან სრულიად დამოუკიდებელი რაიმეს არსებობა და ამით ადამიანის ყოფიერება გაგებულია როგორც გარედან განსაზღვრული, არათავისუფალი—გარეგანი ობიექტების ყოფიერების მსგავსი ყოფიერება. „ჰესერლმა თავის ფილოსოფიაში განახორციელა სწორედ ფილოსოფიური ხედვის აღნიშნული მობრუნება ობიექტიდან სუბიექტისაკენ, მაგრამ ეს მან განახორციელა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით“<sup>17</sup>.

სხვა საკითხია, რომ აღნიშნული პრობლემა ჰესერლმა იდეალიზმის საფუძველზე არასწორად გადაწყვიტა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ის არის და ჰესერლის დამსახურება იმაშია, რომ მან სწორად დასვა საკითხი ობიექტიდან სუბიექტისაკენ ფილოსოფიური ხედვის მიმართვის, როგორც შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევის ძირითადი საშუალების თაობაზე.

ფილოსოფიის, როგორც ეპოქის კრიტიკის, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადალახოს დეზორიენტირებული ცხოვრებისეული სიტუაციები, რაც ახალი ორიენტირების მოცემითაა შესაძლებელი. სწორედ ამ მიზნით სვამს თანამედროვე ფილოსოფია ამოცანას ჩვენს პირობებში ტექნიკური ფეტიშიზმის დაძლევის თაობაზე.

აღნიშნული ტექნიკური ფეტიშიზმის თეორიული გამოხატულებაა სწორედ „სციენტისმი“, რომელსაც მკვეთრად უპირისპირდება ასევე უკიდურესი თვალსაზრისი „ანტისციენტისმის“ სახით; ანტისციენტისმის წარმომადგენლები თვლიან, რომ მეცნიერებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფილოსოფიასთან, იმიტომ ფილოსოფიური მსოფლმხედველობა არ უნდა იყოს გაშუალებული მეცნიერული ცოდნით. ეს უკანსკნელი ერთ-ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელიც ადამიანისათვის მტრული და საზიანოა (ამ თვალსაზრისს იცავენ ნიცშე, ჰაიდეგერი, ორტეგაი-გასეტე, ბერდიაევი და სხვები). „ანტისციენტისმის“ წარმომადგენელთა აზრით ფილოსოფია უნდა ეყრდნობოდეს, ეფუძნებოდეს არა მეცნიერებას, მეცნიერულ შემეცნებას, არამედ რელიგიურ ან ზნეობრივ მოვლენებს. ცხადია, ზნეობრივი პრობლემების წინა პლანზე წამოწვევა „ანტისციენტისტა“ მოძღვრების მეტად მნიშვნელოვანი მხარეა, მაგრამ მეცნიერების როლის უგულბელყოფა ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზია აღნიშნული თვალსაზრისისათვის. ვინაიდან შემეცნებითი მოღვაწეობა ადამიანის ფუნდამენტურ ინტერესებს პასუხობს, ფუნდამენტურ ინტერესებში კი პირველ რიგში იგულისხმება ადამიანის არსებითი ძალთა რეალიზაცია, რასაც ემსახურება სწორედ მეცნიერება, თეორიული მოღვაწეობა.

<sup>17</sup> З. М. Какабадзе. Проблема «экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эд. Гуссерля. Тб., 1966, стр. 44.

აშკარაა, რომ როგორც „სციენტისმი“ ასევე „ანტისციენტისმი“ უკიდურეს თვალსაზრისებს წარმოადგენენ. ორივე თვალსაზრისი უარყოფს ფილოსოფიის მიერ ისეთი მსოფლმხედველობის შემუშავების შესაძლებლობას, რომელიც გამოხატველი იქნებოდა ადამიანური კულტურის მთლიანობისა. ერთ შემთხვევაში კულტურის განვითარების აუცილებელ და საკმარის პირობად ითვლება მხოლოდ მეცნიერების, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება, მეორე შემთხვევაში კი მეცნიერება განიხილება როგორც კულტურისათვის არა აუცილებელი კომპონენტი, უფრო მეტიც, როგორც კულტურისათვის უცხო, მტრული რამ.

„სციენტისმისა“ და „ანტისციენტისმის“ დაპირისპირების თავისებური გამოხატულებაა თვალსაზრისი, რომელიც თვლის, რომ პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეცნიერებანი სულის შესახებ თუ მეცნიერებანი კულტურის შესახებ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ამ თვალსაზრისის წარმომადგენელთა მიხედვით, აღნიშნული განსხვავების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სულს შესახებ მეცნიერებებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს პრინციპულად განსხვავებული აქვთ საკვლევი ობიექტები (დიღთაა, რიკერტი, კოპენი). თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში კვლავ ადგილი აქვს სციენტისტური და ანტისციენტისტური თვალსაზრისების დაპირისპირების შემდგომ ვარაუდებსა. ასე, მაგალითად, ლოგიკური პოზიტივიზმი მეცნიერულ საზრისს მოკლებულად თვლის ყოველგვარ ცოდნას, რომელიც არ შეესაბამება საბუნებისმეტყველო შემეცნების ეტალონებს. ეგზისტენციალიზმი კი ავითარებს „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ხაზს და აცხადებს, რომ ადამიანი, სოციალური მოვლენები არ შეიძლება იყოს მეცნიერული კვლევის ობიექტი. მეცნიერება, ტექნიკა და მათი განხორციელებანი ხელს უშლიან კულტურის განვითარებას; იწვევენ პიროვნების გაუცხოებას, ხელს უწყობენ მის სულიერ დეგრადაციას.

სციენტისტური და ანტისციენტისტური პოზიციების დაპირისპირება ასახავს თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის „დახლეჩილობას“. მაგრამ ამ დაპირისპირების თავისებურება თანამედროვე ეტაპზე მდგომარეობს არა მხოლოდ სციენტისმისა და ანტისციენტისმის თეორიული პოზიციების სხვადასხვაგვარობაში, არამედ აგრეთვე ამ ბრძოლის იმ სოციალურ ფონთან უშუალო კავშირში, რომელშიც იგი მიმდინარეობს: მეცნიერებისა—და კულტურის დეჰუმანიზაცია, თვითცნობიერების ილუზორული ფორმების წარმოშობა და განვითარება—ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ზოგიერთ მოაზროვნეში სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, რაც გამოწვეულია ინდივიდუალური თავისუფლების, პიროვნებისა და საერთოდ კაცობრიობის საჭირობოტო პირობლემებისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობით. ამდენად „სციენტისმისა“ და ანტისციენტისმის დაპირისპირება არ წარმოადგენს თეორიულ ანტიპოზიციას, რომლის დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა შესაბამის ცნებათა ლოგიკური დაზუსტების გზით. თეორიული ანალიზის ამოცანა, ამ შემთხვევაში, იმაში მდგომარეობს, რომ გამოვლენილ იქნენ ის რეალური თეორიული და სოციალურ-კულტურული ძირები, რაც საფუძველად უდევს აღნიშნულ დაპირისპირებას. ერთი სიტყვით, კვლევა ამ მხრივ მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, როცა დადგინდება ამ ბრძოლის საფუძველად მდებარე ობიექტური წინააღმდეგობანი.



როგორია მარქსიზმის პოზიცია ამ მხრივ? მარქსიზმი იცავს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მეცნიერულობის პრინციპს, მაგრამ უარყოფს სციენტისმიმართვის დამახასიათებელ—სინამდვილისადმი ადამიანის თეორიული დამოკიდებულებების აბსოლუტიზაციის—პრინციპს. მარქსისტული ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპი ამ საკითხში ის არის, რომ სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებების ფორმები ორგანულ კავშირშია ცრთმანეთთან და ერთი რომელიმე ფორმისათვის გაზვიადებული როლის მინიჭება შეცდომაა. განიხილავს რა სინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ დამოკიდებულებას როგორც ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთ ასპექტს, ფილოსოფია თავის მხრივ გნევილინება როგორც სპეციფიკური თეორიული შემეცნება. ეს სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფია თავის თავს იხდის კვლევის საგნად. იგი, ერთი მხრივ, როგორც თეორიული შემეცნება, ხელმძღვანელობს მეცნიერულობის ზოგადი პრინციპებით, მაგრამ, მეორე მხრივ, კვლევის ობიექტის სპეციფიკურობის გამო, გადის თეორიული შემეცნების სფეროდან. სწორედ ეს ორმაგი ბუნება ფილოსოფიისა, იწვევს ხოლმე მრავალ სიძნელეს მეტაფილოსოფიური ანალიზის დროს.

აღნიშნული ორმაგი ბუნება ფილოსოფიისა შემდეგი გარემოებითაა გამოწვეული: ადამიანური მოღვაწეობა ექვემდებარება არა მხოლოდ მეცნიერულობის, არამედ ეთიკურ, ესთეტიკურ და სხვა კრიტერიუმებს. ხოლო ამ კრიტერიუმთა მთელი მრავალფეროვნება, მათი ურთიერთკავშირი არის სწორედ ფილოსოფიის კვლევის საგანი. ყველა ამ კრიტერიუმებს ითვალისწინებს ფილოსოფია როგორც მსოფლმხედველობა ადამიანური ცხოვრების ახალი ორიენტაციების დროს.

ზემოთ აღნიშნა, რომ ფილოსოფია კვლევის ობიექტის სპეციფიკურობის გამო გადის თეორიული შემეცნების ფარგლებს გარეთ. რას ნიშნავს ეს? რა არის ის სპეციფიკურობა, რის გამოც ფილოსოფია უნდა გავიდეს თეორიული შემეცნების სფეროდან? მიემართოთ შემდეგი ვითარების ანალიზს; რა ევალუება ფილოსოფიის, ფილოსოფიური ანალიზის, მავალითად, არსისა და ჯერარსის პრობლემის განხილვისას? ამ შემთხვევაში ფილოსოფიური ანალიზის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაირკვეს ადამიანური მოღვაწეობის ბუნებაში ის „ობიექტური“ წანამდგრები, რომელნიც აუცილებელს ხდიან არსისა და ჯერარსის განსხვავებულობას. ეს წანამდგრები კი ადამიანური მოღვაწეობის იმ თავისებურებაშია, რომ იგი ყოველთვის ცდილობს გავიდეს უშუალოდ მოცემული ადამიანური ყოფიერების — არსის — საზღვრებს გარეთ და წამოაყენოს გარკვეული მიზნები, იდეალები, რომლებიც თუმცა გამოხატავენ რეალურ საზოგადოებრივ ტენდენციებს და მოთხოვნილებებს, მაგრამ ხშირად შეუძლებელია მათი წმინდა ლოგიკური გზით დაფუძნება. და როდესაც ფილოსოფია წამოაყენებს ზოლმე მოქმედების გარკვეულ პროგრამას, რომელიც აღნიშნულ იდეალებსა და მიზნებს შეესაბამება, ფილოსოფიური მოღვაწეობა ვერ ეტევა საკუთრივ ფილოსოფიის, როგორც თეორიულ-მეცნიერული მოღვაწეობის— ჩარჩოებში. აღნიშნული ვითარების არცოდნა ან გაუთვალისწინებლობა არის სწორედ სციენტისმიმართვის და ანტიციენტისმიმართვის ბრძოლის ერთ-ერთი წყარო.

ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა ფილოსოფიის საგნის, საერთოდ ფილოსოფიური შემეცნების სპეციფიკის თაობაზე, საფუძველს იძლევა ფილოსოფიური შემეცნების თავისებურებისა და, შესაბამისად, კულტურისა და ფილოსოფიის ურთიერთობის შესახებ გარკვეული დასკვნებისათვის.

ფილოსოფიური შემეცნების თავისებურებათა ანალიზი გვარწმუნებს, რომ მართებული არ უნდა იყოს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ფილოსოფია თითქოს აყენებს და წყვეტს ისეთ საკითხებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან. ამიტომ ამა თუ იმ საკითხის ფილოსოფიური გადაწყვეტა-ვადაუწყვეტლობა არავითარ გავლენას არ ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე და ამდენად არავითარ როლს არ თამაშობს ადამიანთა ბედის ასე თუ ისე წარმართვაში. პირიქით, ფილოსოფია როგორც მსოფლმხედველობა, სუამს და შეძლებისდაგვარად წყვეტს საკითხს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას თავის უღრმეს და უმნიშვნელოვანეს ფენაში ეხება—ესაა საკითხი ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის თაობაზე<sup>18</sup>. რატომ უნდა იყოს ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები ფილოსოფიური განხილვის, ანალიზის საგანი? ამის შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა და ერთელ კიდევ გაეიმეორებთ: ფილოსოფიას საკვლევი ობიექტის სპეციფიკის გამო კერძო მეცნიერებათაგან განსხვავებით, საქმე აქვს საზოგადოების, ადამიანთა მიზნებთან, ინტერესებთან, ღირებულებათა იერარქიასთან. მან პასუხი უნდა გასცეს „ექსისტენციის“ შესახებ სხვადასხვა კითხვებს. ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც ერთ დროს ცხადად და უუპველად გამოიყურებოდა, ღირებულებათა გადაფასების პროცესში აღმოჩნდება ხოლმე, რომ გაუმართლებელი და ყალბია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მუდამ კრიტიკის, ეჭვის ქვეშ უნდა იდგეს. ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს, ცხადია, თვითონ ცხოვრება, ახალ ორიენტაციებად ქცეული ღირებულებათა სისტემა დააყენებს ეჭვის ქვეშ, მაგრამ აღნიშნული ვითარების კრიტიკა, ანალიზი სწორედ ფილოსოფიის საქმეა.

როდესაც ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის თაობაზე ვსაუბრობთ და მივუთითებთ, რომ მისი კრიტიკა ფილოსოფიის საქმეა, იგულისხმება შემდეგი ვარემოება: ყოველი ადამიანის ცხოვრების ძირითადი წესი ინდივიდუალური და კერძო ხასიათისაა, როგორც ამა და ამ ადამიანის ცხოვრების ძირითადი წესი. მაგრამ ყოველი ადამიანი ამავე დროს გარკვეული საზოგადოების წევრია და აუცილებლობით ატარებს თავის თავში საზოგადოებრივ ეპოქალურ ტენდენციებს. ყოველი ეპოქა კი თავისებური, განსაკუთრებული პრინციპებით ხელმძღვანელობს. ეს უკანასკნელი კი ადამიანთა ცხოვრების ისეთ ღრმა ფენას შეადგენენ, რომელიც ყველაზე გვიან დგება ხოლმე ეჭვისა და კრიტიკის ქვეშ. რატომ? იმიტომ, რომ ის, რაც საყოველთაოდ მიღებული, გავრცელებული და გაბატონებულია, ძნელია ერთბაშად დააყენო ეჭვის ქვეშ, ამოებად, ღირებულებას მოკლებულად, მიიჩნიო. მაგრამ აქ იწყება ფილოსოფიის მოქმედების ასპარეზი. „ფილოსოფია სწორედ ამ სიძნელის გადალახვით იწყება—სანამდე კითხვის და ეჭვის, კრიტიკის ქვეშ მხოლოდ ცხოვრების საკუთარ ანდა „მეზობლის“ კერძო წესს აყენებ ისე, რომ მასში ეპოქალურს ვერ ცნობ, მანამდე ჯერ კიდევ არა ხარ ფილოსოფოსი. ფილოსოფოსი ხარ მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრების ეპოქალური მიმართულებისა და გაბატონებული ტენდენციების კრიტიკულ განაზრებაში აღივლინები. ფილოსოფია, ამ აზრით, ეპოქის კრიტიკაა, ფილოსოფოსი—ეპოქის კრიტიკოსი“<sup>19</sup>.

მაშასადამე, ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ფუნქცია მდგომარეობს არსებულის კრიტიკაში. მაგრამ აღ-

<sup>18</sup> ზ. კაკაბაძე, ფილოსოფია და ცხოვრება, „განთიადი“, 1976 წ. № 1, გვ. 148.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 150.



ნიშნული კრიტიკა, როგორც მართებულად აღნიშნავს მ. ჰორკჰაიმერი<sup>20</sup>, ნაწილობრივ ცალკეული იდეებისა და ვითარებებისადმი ზედამიერულ-კრიტიკულ მიდევრობას; ეს კრიტიკა არ ნიშნავს აგრეთვე არც იმას, რომ ფილოსოფოსი იღებს ამა თუ იმ ვითარებას იზოლირებულად, „ბრალს სდებს“, „აღანაშუალებს“ მას და იძლევა მითითება-რეკომენდაციებს მისი გაუქმება-მოცილებისათვის.

აღნიშნული კრიტიკის მთავარი მიზანია, ადამიანებმა გაარკვიონ ურთიერთდაპოკიდებულება მათს ინდივიდუალურ, ყოველდღიურ მიზნებს, ინტერესებსა და იმ უმაღლეს იდეალებს შორის, რომელნიც საზოგადოების მიერ განვითარების ამა თუ იმ ეტაპზეა აღიარებული. რა ევალება ამ მხრივ ფილოსოფიას? ფილოსოფიამ როგორც მსოფლმხედველობამ, ეპოქის კრიტიკა-ანალიზმა, უნდა უზრუნველყოს ის, რომ ადამიანები არ „დაიკარგონ“ მათ მიერ შექმნილ ზოგად იდეებსა და ღირებულებათა იერარქიაში, თავიდან იქნას აცილებული ისეთი დოგმებისა და ცრურწმენების ჩამოყალიბება, რომლებშიც შეიძლება „დაიკარგოს“ თვითონ ადამიანი, პიროვნება<sup>20</sup>.

ამრიგად, ფილოსოფია როგორც მსოფლმხედველობა, ეპოქის გააზრებას, კრიტიკა—ანალიზს წარმოადგენს. ეპოქის ძირითადი ნიშნები და ტენდენციები კი ყოველთვის აისახება კულტურაში. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ადამიანის ქმნილებათა სამყაროს, ადამიანის მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა, ადამიანური სამყაროს მიმართ მნიშვნელობის მქონე გარკვეულ ღირებულებათა ერთობლიობას. მაშასადამე, ეპოქის გააზრება ნიშნავს კულტურის ძირითადი ნიშნების განსაზღვრას, მის ღირებულებათა მნიშვნელობისა და ძალის დადგენას ადამიანთა სამყაროს მიმართ, კულტურის ცვლილებათა ხასიათისა და ტენდენციის გარკვევას. ამის საფუძველზე იქმნება კულტურისა და ეპოქის სურათი. კულტურის ანალიზით დიაგნოზი დაესმის შესაბამის ეპოქას. ამდენად, ფილოსოფია წარმოადგენს ეპოქის, და შესაბამისად, კულტურის ფილოსოფიურ გააზრებას ანუ მათ გამოხატვას ცნების ფორმაში.

მაშასადამე, ფილოსოფია არის არა უბრალოდ ობიექტური ცოდნა სამყაროზე, არამედ ის არის მოძღვრება, რომელიც განიხილავს სამყაროსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფილოსოფია განიხილავს სამყაროს ადამიანთან მის დამოკიდებულებაში და ამავე დროს ადამიანს მის დამოკიდებულებაში სამყაროსთან. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ფილოსოფია როგორც მსოფლმხედველობა, არის დრომოქმედი წესით ცხოვრების უკმარობისა და შეფერხების განცდილ მოტივირებული აზროვნება, რომელიც აზროვნების ამ წესისა და შესატყვისი ფილოსოფიის, მათი ისტორიის კრიტიკული განხილვისა და, ამგვარად, ცხოვრების ახალი, ჭეშმარიტი წესისა და შესატყვისად ახალი ჭეშმარიტი ფილოსოფიის დასახევაში გამოიხატება<sup>21</sup>, — შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფილოსოფია არის ეპოქის, და შესაბამისად, კულტურის თვითცნობიერება.

შეიძლება წარმოიშვას ასეთი კითხვა: ფილოსოფია განვითარების გარკვეულ საფეხურზე გახდა ასეთი ხასიათის, თუ ასეთი ბუნების იყო ის თავიდანვე? ფილოსოფიის ყოველთვის ჰქონდა საგნად ადამიანის სამყაროსთან დამოკიდე-

<sup>20</sup> M. Horkheimer. Die Gesellschaftliche funktion der Philosophie, Frankfurt am Mein, 1968, S. 282.

<sup>21</sup> ზ. კაკაბაძე. ფილოსოფია და ცხოვრება, „განთიადი“, 1976, № 1, გვ. 155.

ბულება. სხვადასხვა ეპოქაში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად იდგა და შესაბამისად, სხვადასხვაგვარი იყო ფილოსოფიის ხასიათიც. მაგალითად, სამყაროს „ობიექტივისტურ-ნატურალისტური“ გაგების შემთხვევაში სუბიექტი „წმინდა მკერეტელის“ როლში გამოდის და მის რაიმე აქტივობაზე შეუძლებელია საუბარი; სუბიექტის აქტივობა თეორიულ-რჩება მაშინაც, როდესაც ახალ დროში ფილოსოფიის ამოცანად დასახულ იქნა მეცნიერული შემეცნების მეთოდის გამომუშავება და ამ გზით ბუნებაზე გაბატონების მიღწევა. ამ შემთხვევაშიც სუბიექტის აქტივობა თეორიული რჩება იმიტომ, რომ ბუნებაზე გაბატონება ამ უკანასკნელისადმი მორჩილებას უნდა გაეხადა შესაძლებელი.

სუბიექტის აქტივობის განვითარებული, დამახინჯებული სახით წარმოდგენა იდეალისტური სისტემებისათვის იყო და არის დამახასიათებელი. ნამდვილ და სრულ თვითცნობიერებას ამ მხრივ ფილოსოფიამ მარქსის მოძღვრებაში მიაღწია. აკრიტიკებდა რა მთელ მანამდელ ფილოსოფიას მკვერტელობითი ხასიათის გამო, მარქსმა ახალ ფილოსოფიას ამოცანად დაუსახა „საგანი, სინამდვილე, მგრძნობელობა“ განეხილა არა მარტო ობიექტის ფორმაში, „მკვერტელობის ფორმაში“, არამედ, ამასთანავე, როგორც „ადამიანის გრძნობადი მოქმედება, პრაქტიკა“<sup>22</sup>. იმავე „თეზისებში ფოიერბახის შესახებ“ მარქსი მიუთითებდა, რომ „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ სამყაროს, საქმე კი იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო უნდა გარდაქმნილ იქნას“<sup>23</sup>. ამით მარქსმა ფილოსოფიას როგორც მსოფლმხედველობას, ადამიანის ცხოვრებისათვის გეზის მიმცემ აზროვნებას, დააკისრა გარესამყაროს და ამავე დროს ადამიანური „სამყაროს შეცვლის“ ფუნქცია, რაც თანამედროვე პირობებში მთელი სიმწევით იჩენს თავს.

მაშასადამე, ის, რომ ფილოსოფია კულტურის თვითცნობიერებაა, ფილოსოფიას ყოველთვის როდი ჰქონდა გაცნობიერებული. ამგვარი ხასიათის გაცნობიერება ფილოსოფიის განვითარების შედეგია, იგი თანამედროვე ეპოქამ დააყენა დღის წესრიგში. მაგრამ როგორც ზემოთაც ითქვა, ფილოსოფიის განვითარების შედეგია მისი აღნიშნული ხასიათის გაცნობიერება და არა მისი ის ხასიათი. ამიტომაც ფილოსოფიის საგნის, როგორც ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის გაგება, სრულებითაც არ ნიშნავს ფილოსოფიის საგნის გაფართოებას, — ფილოსოფიური კვლევის არეში ადამიანის, როგორც ახალი „ელემენტის“ შემოყვანას (თუნდაც იმიტომ, რომ ფილოსოფიას საქმე აქვს სინამდვილესთან როგორც მთელთან და ცხადია, სინამდვილე როგორც მთელი აღკრულბლობით მოიცავს ადამიანს). აღნიშნული ვითარება არ მოასწავებს არც ფილოსოფიის საგნის დაეწროებას—მის დაყვანას მოძღვრებაზე ადამიანის შესახებ. ფილოსოფიის საგანი იყო და კვლავ რჩება სამყარო ადამიანთან მის მიმართებაში და პირიქით, ადამიანი სამყაროსთან მის მიმართებაში. ასევე ფილოსოფიის როგორც კულტურის თვითცნობიერების გაგება არ ნიშნავს ფილოსოფიური შემეცნების დაყვანას კულტურის ფილოსოფიაზე. ფილოსოფია ყოველთვის არის ამა თუ იმ კულტურის გაცნობიერება და არა მხოლოდ იმის გაცნობიერება, თუ რა არის კულტურა<sup>24</sup>. ფილოსოფიისა და კულტურის ურ-

<sup>22</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 484.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ი. ჭიოვეი, კულტურის სტრუქტურა, იხ. კრებული: კულტურა როგორც ფილ. კვლევის საგანი, თბ., 1977, გვ. 102.



თიერთობის საკითხის ასეთნაირი დაყენება ეპოქის ხასიათით გამოწვეულ ლენაა; სწორედ ეპოქის ხასიათით არის განპირობებული მრავალი ისეთი მოვლენა, რომელთა გამო ფილოსოფიის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. ერთ-ერთი ამ მოვლენათაგანია მომხმარებლური ტენდენციების მოჭარბება ადამიანებში. ფრანგი ეკოლოგი ე. დორსტი ამის თაობაზე წერს: „ჩვენ გვეუფლება რაღაც უსამინლესი უტილიტარიზმი. გვინტერესებს მხოლოდ ის, რასაც სარგებლობის მოტანა შეუძლია, თანაც რაც შეიძლება მალე... ამ მხრივ ჩვენი მისწრაფებანი გვიბიძგებენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიუტევებელი შეცდომებისაკენ“<sup>25</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლური დამოკიდებულება კულტურისადმი თავს იჩენს არა მარტო მეცნიერებასა და ხელოვნებაში, არამედ ზნეობაშიც. მომხმარებლური დამოკიდებულება კულტურისადმი თვითონ წარმოადგენს გარკვეულ ღირებულებით ორიენტაციას, გარკვეულ ზნეობას. ამიტომ კულტურისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების დასაძლევადაც სწორედ ადამიანთა ზნეობრივ ორიენტაციებზე, მათ ღირებულებით მიმართებებზე ზემოქმედებაა აუცილებელი. მაგრამ ამ ზემოქმედების დროს არ უნდა იქნას დაეწყებული, რომ კულტურა მთლიანობას, სისტემას წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ზემოქმედება ვერ იქნება ეფექტური. ზემოქმედებაში კი, რომელმაც კულტურის ნამდვილი განვითარება უნდა უზრუნველყოს, ივლენს მსგავსება როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მოღვაწეობა, უფრო სწორად, მათი ერთიანობა. კულტურის პროგრესი, ახალ ღირებულებათა სისტემაზე გადასვლა, ცხადია, არ შეიძლება მხოლოდ ახალი თეორიის შექმნის შედეგად მოხდეს; ღირებულებათა ახალი სისტემა მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება ნათლად; როცა იგი ადამიანთა ორიენტაციებად იქცევა. მაგრამ ამ ჩამოყალიბებაში თეორიული კონცეფციის როლი მეტად მნიშვნელოვანია და ამდენად თანამედროვე პირობებში ფილოსოფიის როლი ამ მხრივ კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ მართებულია ა. შვაიცერის აზრი იმის თაობაზე, რომ საჭიროა შეიქმნას ფილოსოფიურად დაფუძნებული და პრაქტიკულად გამოყენებადი ოპტიმისტური—ეთიკური მსოფლმხედველობა, ვინაიდან დასავლეთში კულტურის კრიზისის ძირითად მიზეზად მას სწორედ ასეთი მსოფლმხედველობის უქონლობა მიაჩნია. კრიზისის უამს ფილოსოფიის ამოცანას შეადგენს სამყაროს და სიცოცხლის ოპტიმისტური ხედვის ხელახლა გააზრება, ახალ ფუნდამენტზე „ეთიკის შენობის“ აგება. შვაიცერი საყვედურობს ფილოსოფიას, რომ მან ეს ვერ შეძლო<sup>26</sup>.

მარქსისტული ფილოსოფია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ახალი ღირებულებათა სისტემის დამკვიდრება არ არის მხოლოდ შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგი, რომ „გადატრიალება“ მხოლოდ გონებაში კი არ უნდა მოხდეს, არამედ ადამიანთა მთლიან-პიროვნულ წყობაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, „რომ არა მარტო გონება უნდა იყოს ადამიანის გზის მაჩვენებელი, არამედ თვით ადამიანიც უნდა იყოს გონების წარმმართველი. სწორედ ამიტომ აქვს აზრი იმ დებულებას, რომ ადამიანის ხელმძღვანელი მარტო მეცნიერება კი არ

<sup>25</sup> Сб. Философия в современном мире, Философия и наука, М., 1972, стр. 377.

<sup>26</sup> А. Швейцер. Культура и этика, М., 1973, стр. 153.

უნდა იყოს, არამედ აგრეთვე ხელოვნება და ეთიკა, ან, უფრო ზუსტად, ზნეობა“<sup>27</sup>.

მაშასადამე, კულტურის ამა თუ იმ ელემენტისათვის გაზვიადებული როლის მინიჭება და შესაბამისად რომელიმე ელემენტის მნიშვნელობის უგულვებელყოფა, რაც „სციენტიზმისა“ და „ანტისციენტისმისათვის“ არის დამახასიათებელი, საშიშროებას ქმნის კულტურის ნამდვილი განვითარებისათვის. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა იმის არ თქმა, რომ არა მხოლოდ მარქსისტულ ფილოსოფიაში, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში საკმაოდ ნათლად არის აღნიშნული საშიშროება გაცნობიერებული. თანამედროვე პირობებში როგორც საბჭოთა ასევე უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ საგანთა და მოვლენათა ფილოსოფიური გააზრება უნდა შეეხოს არა მხოლოდ ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის მონაპოვრებს და შესაბამისად ამ დარგებში დასაქმებულ ადამიანთა მოღვაწეობას, არამედ ამავე დროს იმათაც, ვინც მოიხმარს თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვრებს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმის ღრმად გაცნობიერება, რომ აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ადამიანის პრობლემებს, სულიერი ღირებულებებისა და საერთოდ ადამიანის სიცოცხლის აზრის საკითხის გარკვევას.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნა კულტურის ამა თუ იმ ელემენტისათვის გაზვიადებული როლის მინიჭებას, შესაბამისად სხვა ელემენტების როლის „დაკნინებას“ და მაშასადამე, აზროვნების ამა თუ იმ წესის, სინამდვილის ათვისების ამა თუ იმ ფორმის აბსოლუტიზაციის ტენდენციებს, შესაძლებელი იქნება კულტურის ნამდვილი განვითარება.

<sup>27</sup> თ. ქიოვეცი, კულტურა როგორც შემოქმედება, იხ. კრებულში: კულტურა როგორც ფილ. კვლევის საგანი, თბ., 1977, გვ. 49.

ბივი გოგუაძე

შ. ჭაბინის შემადგენლობები ანალიზური და სინთეზური მსჯელობების შესახებ

მსჯელობის დაყოფა ანალიზურად და სინთეზურად, და ასეთი დაყოფის საფუძვლის კვლევა ლოგიკური სემანტიკის, უფრო ზუსტად, საზრისის (ან ინტენსიის) თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ენობრივი გამოსახულებების მნიშვნელობის, სინონიმურობის პრობლემასთან, მეცნიერული ცოდნის სისტემის აგებისა და მეცნიერების შემპირიული დაფუძნების პრობლემასთან და, გარკვეული აზრით, მათ გაშუქებასა და გადაწყვეტაზე დამოკიდებული.

ძირითადი იდეა, რომელიც გამოხატავს მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის საფუძველს, შემდეგში მდგომარეობს: ანალიზური მსჯელობა, რომელიც ქეშმარიტია მხოლოდ მნიშვნელობის საფუძველზე (არა-ენობრივ)—ფაქტებზე მითითების გარეშე; სინთეზური მსჯელობა, რომლის ქეშმარიტების დასადგენად ფაქტების დამოწმებაა საჭირო.

ანალიზური და სინთეზური მსჯელობების ურთიერთობის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, უფრო ფუნდამენტალური პრობლემის — თეორიული, აპოდიქტიკური ცოდნისა და ფაქტიური, ემპირიული ცოდნის ურთიერთობის პრობლემასთან დაკავშირებით დაისმის. ცოდნა, რომელიც აუცილებელ კავშირს გამოთქვამს, განსხვავდება შემთხვევითი, ფაქტიური კავშირის გამოთქმელი ცოდნისაგან. ლოგიკურად განსხვავება არსებობს აპოდიქტიკური ცოდნის გამოთქმელ მსჯელობასა და ემპირიული, ფაქტიური ცოდნის გამოთქმელ მსჯელობას შორის. მსჯელობა—„ყველა ადამიანი მოკვდავია“ — ლოგიკურად განსხვავდება მსჯელობისაგან—„ვარდი არის წითელი“. ეს უკანასკნელი მსჯელობა გარკვეულ ფაქტიურ ვითარებას გამოთქვამს, რომელიც დროში და სივრცეში არსებულ საგნებს შორის არსებობს. იგი მოკლებულია საყოველთაოობასა და აუცილებლობას და შემთხვევითობის ხასიათს ატარებს. ვარდის არსებიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი აუცილებლად წითელი უნდა იყოს. პირველი მსჯელობა კი სწორედ აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისაა. იგი მითითებს იმ გარემოებაზე, რომ, თუ რაიმე ადამიანია, მაშინ იგი აუცილებლად მოკვდავიც იქნება. ადამიანის არსებიდან მისი მოკვდავობა აუცილებლობით გამომდინარეობს. დროულ-ვრცეული განსაზღვრულობა მისთვის არ არის არსებითი.

განსხვავება თეორიული, აუცილებელი კანონების გამოთქმელ ცოდნასა და ემპირიული, შემთხვევითი კავშირების გამოთქმელ ცოდნას შორის ტრადიციულია ფილოსოფიაში. ლაიბნიცისეული დაყოფა ქეშმარიტებებისა აუცილებელ—გონების ქეშმარიტებებად და შემთხვევით—ფაქტიურ ქეშმარიტებებად, კანტისეული დაყოფა მსჯელობებისა აპრიორულად და აპოსტერიორულად — ცოდნის ზემოაღნიშნულ განსხვავებას გამოხატავს. დავა ფილოსოფიაში წარმოებად არა იმაზე უნდა განვასხვაოთ თუ არა აუცილებელი და შემთხვევითი ცოდნა ერთმანეთისაგან, არამედ იმაზე, თუ სად გადის ზღვარი მათ შორის, როგორ უნდა აიხსნას აუცილებელი ცოდნის (უპირველესად, მათემატიკური და



ლოგიკური ცოდნის) ბუნება; შესაძლებელია თუ არა წმინდა ლოგიკური გზით გადასვლა ემპირიული ცოდნიდან აუცილებელ ცოდნაზე; რა გვადლევს იმის დარწმუნებულობას, რომ, მაგალითად, ლითონის ელექტროგამტარობას ადგილი ექნება ყოველთვის და არა მხოლოდ რომელიმე ცალკეულ შემთხვევაში?— აღნიშნულ პრობლემათა განსხვავებულმა გადაწყვეტამ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართულება — ემპირიზმი და რაციონალიზმი — წარმოშვა.

რაციონალიზმი ხაზს უსვამს თეორიული და ემპირიული ცოდნის განსხვავებას. თეორიული ცოდნის აუცილებელი ხასიათი, მისი აზრით, შეუძლებელს ხდის ამ ცოდნის ემპირიულ ცოდნაზე დაყვანას, ან ემპირიული, შემთხვევითი ცოდნიდან აუცილებელი ცოდნის მიღებას. ამიტომაც, თეორიულ ცოდნას ემპირიული ცოდნისაგან განსხვავებული წყაროც უნდა ჰქონდეს. თეორიული ცოდნის ასეთ განსხვავებულ წყაროს რაციონალიზმი გონებაში (გონების თანდაყოლილ იდეებში) ზედავს.

ემპირიზმისათვის მთელი ცოდნის წყაროს ცდა წარმოადგენს. მატერიალისტური ემპირიზმის წარმომადგენლებს მეცნიერების გამართლება სურდათ. მეცნიერების გამართლება კი უპირველესად ყოვლისა აპოდიქტიკური, აუცილებელი ცოდნის გამართლებაში, მისი მიღების შესაძლებლობის ჩვენებაში მდგომარეობს. ამიტომაც, ისინი ემპირიული ცოდნიდან თეორიული ცოდნის მიღების მეთოდების დამუშავებას ცდილობდნენ. თეორიული ცოდნა კი არ უარყოფოდა მათთან, არამედ გაგებულ იყო როგორც ცდაში მოცემული ცოდნის გარკვეული გადამუშავების შედეგი. მაგრამ ემპირიზმის ცდა—აუცილებელი ზოგადი ცოდნის გამართლებებისა—მატერიალიზმის მკვერტელობითი ხასიათის გამო, არ შეიძლებოდა წარმატებით დაგვირგვინებულაყო.

თუ მატერიალისტური ემპირიზმი ზოგადი, აუცილებელი ცოდნის გამართლებას ცდილობდა, იდეალისტური ემპირიზმი ასეთი ცოდნის შესაძლებლობასაც კი უარყოფდა. მისთვის მთელი ცოდნა ემპირიულ ცოდნაზე, როგორც ცდაში უშუალოდ მოცემულობაზე დაიყვანებოდა. ცდა კი გაგებული იყო როგორც შეგრძნებათა ნაკადი ან შეგრძნებათა კომპლექსი.

კლასიკური პოზიტივიზმისა და მახიზმისათვის დამახასიათებელია ყველას ნაყოფანება, რაც ემპირიზმს გააჩნია თეორიული ცოდნის გაგების საკითხში. პოზიტივიზმი თეორიულ ცოდნას, მათ შორის ლოგიკურ და მათემატიკურ ცოდნას, განიხილავდა როგორც ემპირიული ფაქტების შესახებ შემოკლებულ შენიშვნებს“. ვერ ზედავდა რა თეორიული, ზოგადი ცოდნის სპეციფიკას, პოზიტივიზმი და მახიზმი ფაქტიურად უარყოფდა თეორიული ცოდნის მნიშვნელობას მეცნიერებაში. მაგრამ მთელი ცოდნის ემპირიულ ცოდნაზე დაყვანის ამოცანას პოზიტივიზმისა და მახიზმში აშკარად ართულებდა ლოგიკური და მათემატიკური ცოდნის ცდაში უშუალოდ მოცემულობაზე დაყვანის შეუძლებლობა.

მათემატიკის დაფუძნების პრობლემების კვლევაში, ლოგიკისა და მათემატიკის სწრაფმა განვითარებამ და ერთმანეთთან დაახლოებამ თეორიული ცოდნისა და მისი მნიშვნელობის ზრდა გამოიწვია. თეორიული ცოდნის განვითარებამ გაზარდა მისი როლი ბუნებათმეცნიერებაშიც. ამიტომ მისი შეუფასებლობა და უგულვებელყოფა შეუძლებელი გახდა. ვინც ეცდებოდა ცოდნის ბუნების გარკვევას და მის გამართლებას, მას თეორიული ცოდნის და, პირველ რიგში, ლოგიკური და მათემატიკური ცოდნის გამართლება და მისი ბუნების ახსნა უნდა ეცადა.



სწორედ თეორიული (პირველ რიგში ლოგიკური და მათემატიკური) ცოდნის ახსნის პრეტენზიით გამოდის თხაიედროვე ლოგიკური ემპირიზმი. მისი თავისებურება, კლასიკური ემპირიზმისა და პოზიტივიზმისაგან განსხვავებით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ემპირიული, ფაქტობრივი ცოდნის გვერდით, თეორიული, აუცილებელი ცოდნის არსებობას აღიარებს. ლოგიკური ემპირიზმი თვლის, რომ ლოგიკასა და მათემატიკას არ გააჩნია ცდისეული საფუძველი, იგი არ მიიღება ცდიდან, რადგან ყოველი ცოდნა, რომელიც ცდით მოწმდება, თითონ გულისხმობს ლოგიკას. ლოგიკის წესები სინამდვილის კანონებით კი არ განისაზღვრებიან, ისინი სიმბოლიზაციის, ენის აგების წესებს წარმოადგენენ. ლოგიკის დებულებები ჰეგემარტიანი არიან საკუთარი ფორმის საფუძველზე, ისინი ლოგიკურ ტავტოლოგიებს წარმოადგენენ. ასეთი დებულებები არ იძლევიან ცოდნას სინამდვილის შესახებ, ისინი მხოლოდ ასეთი ცოდნის (სინამდვილის შესახებ დებულებების) ტრანსფორმაციის საშუალებებს წარმოადგენენ. ამრიგად ლოგიკურ-მათემატიკური ცოდნა არც ემპირიულია, და არც აპრიორული; კანტიანური აზრით, იგი ენის აგებისა და მისი ხმარების წესებთან დაკავშირებული ცოდნაა.

თეორიული ცოდნის ასეთ გაგებაში ხედავს ნეოპოზიტივიზმი თავის განსხვავებას მის წინამორბედთაგან, ლოგიკური და მათემატიკური ცოდნის ასეთ ინტერპრეტაციაში ხედავს იგი მის მიერ მომხდარ რევოლუციას ფილოსოფიაში.

მეცნიერების თეორიული დებულებები ან იძლევიან ცოდნას, რომელიც ენის ხმარებასთან არის დაკავშირებული (ლოგიკურ-მათემატიკური ცოდნა), ან წარმოადგენენ წესებს, რომელთა საშუალებითაც სინამდვილის შესახებ დებულებები მიიღებიან. მათი როგორც წესების და არა როგორც დებულებების აღიარება იმათ არის გაპირობებული, რომ არ ხერხდება მათი ვერიფიკაცია. ზოგიერთი ნეოპოზიტივისტი (მაგალითად, რაიხენბახი, ჰაპი, პოპერი) არ უარყოფს მეცნიერების ზოგადი დებულებების სწორედ როგორც დებულებების არსებობას, რომლებიც, ვთქვათ, ფიზიკის კანონებს გამოთქვამენ. ამასთან დაკავშირებით ისინი აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ ლოგიკაში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კანონების გამოთქმელი მსჯელობები და ის მსჯელობები, რომლებიც საგნებისა და მოვლენების საერთო შემთხვევითს კავშირებს გამოთქვამენ. ფიზიკური აუცილებლობის ადეკვატურ გამოხატვას ერთი მოდალური სისტემებით ცდილობენ, მეორენი — ექსტენსიონალური ლოგიკის საშუალებით. მაგრამ აუცილებელი კავშირების გამოთქმელ დებულებებსა და შემთხვევითი კავშირების გამოთქმელ დებულებებს შორის განსხვავების აღიარების მიუხედავად, ისინი განსხვავების საფუძველს არ ხედავენ ობიექტური აუცილებლობის არსებობაში. პირიქით, ობიექტური აუცილებლობის არსებობას უარყოფენ.

ასე წყვეტს ნეოპოზიტივიზმი თეორიული და ემპირიული ცოდნის ურთიერთობის პრობლემას. ზოგიერთი მისი წარმომადგენელი მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფას სწორედ მას უკავშირებს, ცოდნის თეორიულად და ემპირიულად დაყოფაში ხედავს მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის საფუძველს. კარნაპი, მაგალითად, მეცნიერების აზრის წინადადებებს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპის წინადადებებად — F-ჰეგემარტი (სინთეზურ) და L-ჰეგემარტი (ანალიზურ) წინადადებებად ყოფს. ამათგან: F-ჰეგემარტი წინადადებები ისეთი წინადადებებია, რომლებიც სინამ-

დვილის შესახებ ინფორმაციას იძლევიან; L-ჰემმარიტი წინადადებები კი ისეთი, რომლებიც არავითარ ინფორმაციას არ იძლევიან სინამდვილის შესახებ, ტავტოლოგიებს წარმოადგენენ. სინთეზური (F-ჰემმარიტი) მსჯელობები, როგორც სინამდვილის შესახებ მსჯელობები მხოლოდ ცდის. ფაქტის საფუძველზე შეიძლება იქნან მიღებულნი. ამდენად სინთეზურ მსჯელობათა კლასი ემთხვევა ემპირიულ, ცდიდან მიღებულ მსჯელობათა კლასს. რადგან ანალიზური (L-ჰემმარიტი) მსჯელობები არ ეხებიან სინამდვილეს, ისინი არც მიიღებიან ცდიდან, მათი შედარება არ შეიძლება ცდასთან. ანალიზური მსჯელობების ჰემმარიტება და მცდარობა არ არის დამოკიდებული სინამდვილეზე, ამდენად ისინი არაცდისეულ, აპრიორულ ცოდნას გამოხატავენ. ემპირიული საფუძველი მხოლოდ სინთეზურ მსჯელობებს გააჩნიათ.

ფაქტიურად, კარნაპი მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის საფუძველს ცოდნის ცდისეულად და არაცდისეულად დაყოფაში ზედავს, ე. ი. მსჯელობების ასეთი დაყოფის საკითხი ცოდნის ემპირიული დაფუძნებისა და გამართლების საკითხზე დაჰყავს.

მსჯელობების დაყოფას ანალიზურად და სინთეზურად გადაჭრით უარყოფს უ. ქუაინი. ამ უარყოფას იგი ორი ძირითადი მიმართულებით წარმართავს.

ერთი მხრივ, ცდილობს აჩვენოს, რომ მთელი ცოდნა, როგორც ემპირიული, ისე თეორიული — ცდისეულია და, მაშასადამე, უმართებულოა მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად ნეოპოზიტივისტური დაყოფის საფუძველიც, — ამიტომაც უ. ქუაინი თვლის, რომ უნდა მოიხსნას ანალიზური და სინთეზური მსჯელობათა შორის განსხვავება. ასეთია მის მიერ მსჯელობათა ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის უარყოფის ერთი მიმართულება:

მეორე მხრივ, უ. ქუაინი ცდილობს აჩვენოს, რომ ანალიზურობის ცნების განსაზღვრება ლოგიკურად არ ხერხდება, ე. ი. რომ ამ ცნების განსაზღვრებისას აუცილებელი ზდება ისეთი ცნებების გამოყენება, როგორიცაა — მნიშვნელობა, სინონიმურობა, განსაზღვრება და სემანტიკური წესები, რომლებიც არანაკლებ განმარტებას მოითხოვენ, ვიდრე — თვით ანალიზურობის ცნება. ამის საფუძველზე უ. ქუაინი უმართებულოდ მოიჩნევს მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფას. ასეთია ქუაინის მიერ მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის უარყოფის მეორე მიმართულება.

უ. ქუაინის შეხედულებები ცოდნის ემპირიული დაფუძნების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის საკითხი ნეოპოზიტივიზმში მეცნიერული ცოდნის ემპირიული დაფუძნების საკითხზე დაიყვანება. მეცნიერების დებულებების ცდისეული გამართლება მნიშვნელობის ვერიფიკაციის თეორიის საფუძველზე ზდება, რომლის არსებაც იმაში მდგომარეობს, რომ დებულების მნიშვნელობა მისი ემპირიული დადასტურების (confirmation) ან უარყოფის (infirmitien) მეთოდით განისაზღვრება. გამონაკლისს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლოგიკისა და მათემატიკის დებულებები წარმოადგენენ. ემპირიული დადასტურება ან უარყოფა ლოგიკურ პოზიტივიზმში გაგებულია, როგორც რედუქცია ცდაში უშუალოდ მოცემულზე. ყოველი აზრიანი წინადადება გაგებულია აქ როგორც წინადადება, რომლის გაოთხარგმნაც შეიძლება ცდაში უშუალოდ მოცემულობის გამომთქმელ წინადადებაზე; ანუ, როგორც ქუაინი ამბობს, ყოველი აზრიანი წინადადება ეკვივალენტურაა გარკვეული ლოგიკური კონსტრუქციისა, რომელიც უშუალოდ



აღწერს ცდას. ასეთ თვალსაზრისს ქუაინი „რადიკალურ რედუქციონიზმს“ უწოდებს.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა აზრიათი წინადადების (და მით უმეტეს ისეთი ზოგადი თეორიული დებულებების, რომლებიც, ვთქვათ, ფიზიკის ან რომელიმე სხვა მეცნიერების კანონებს გამოთქვამენ) დაყვანა ცდაში უშუალოდ მოცემულობაზე პრინციპულად შეუძლებელია. ამიტომაც, თეორიული დებულებების გრძნობად მოცემულობაზე დაყვანის სიძნელეებმა „რადიკალური რედუქციონიზმიდან“ დახვევა გამოიწვია. ვერიფიკაციის პრინციპი სხვა პრინციპებით (პოპერის „ფალსიფიკაციის მეთოდი“, კარნაპის „დადასტურების“ ცნება და ა. შ.) შეიცვალა. მაგრამ ყველა მათ აერთიანებს საერთო მოთხოვნა, რომ დებულებები, რომლებიც სინამდვილეს ეხებიან, დაყვანილ იქნენ ცდაში უშუალოდ მოცემულობაზე. „რედუქციის ცნება, — აღნიშნავს ქუაინი, — შემონახულია იმისათვის, რომ ყოველ დებულებას, ან ყოველ სინთეზურ დებულებას დაუკავშირდეს შესაძლებელ გრძნობად მოვლენათა განსაკუთრებული უბანი ისე, რომ ნებისმიერი მათგანის ზღომილება ზრდიდეს დებულების ჭეშმარიტების ალბათობას და მათ აგრეთვე დაუკავშირდეს შესაძლებელ გრძნობად მოვლენათა სხვა განსაკუთრებული უბანი, რომლის ზღომილებანიც შეამცირებენ ამ ალბათობას“<sup>1</sup>.

რედუქციის ცნება ნაგულისხმევია იმის დამყვებაში, რომ შესაძლებელია ყოველი ცალკე აღებული დებულების დადასტურება ან უარყოფა. რედუქციის პრინციპი — ლოგიკურ პოზიტივიზმში მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის პრინციპთან არის დაკავშირებული. „სანამ ენაში მნიშვნელოვნადაა მიჩნეული დებულების დადასტურება და უარყოფა, — აღნიშნავს ქუაინი, — იგი ასეთად (მნიშვნელოვნად) ჩანს მხოლოდ გარკვეული სახის დებულებისათვის, რომელიც ცარიელად დასტურდება ფაქტის ძალით; ასეთი დებულება არის ანალიზური“<sup>2</sup>.

დებულების ჭეშმარიტება საერთოდ დამოკიდებულია როგორც ენაზე, ისე არაენობრივ ფაქტზე. იქ სადაც არაენობრივი ანუ ფაქტიური კომპონენტი წელს უდრის, დებულება ანალიზურია. ქუაინის აზრით, უმართებულოა მეცნიერების ცალკეული დებულებების ემპირიული შემოწმება, მათი დაყვანა ცდაზე. ამის გამო მას უმართებულოდ მიაჩნია მეცნიერების დებულებების გარკვეული კლასის გამოყოფა, როგორც ემპირიული (სინთეზური) დებულებებისა, რომლებიც ცდით მოწმდებიან, ანალიზური დებულებებისაგან განსხვავებით. უაზრობაა ამ აზრით ლაბარაკი ნებისმიერი ინდივიდუალური დებულების ლინგვისტური და ფაქტიური კომპონენტების თაობაზე. მხოლოდ მეცნიერებას, მის ერთიანობაში აღებულს, გააჩნია ეს ორმაგი დამოკიდებულება ენაზე და ცდაზე. მთელ ცოდნას ქუაინი განიხილავს, როგორც ადამიანის მიერ შექმნილ ერთიან სისტემას ან უბანს, რომელიც ცდასთან „კონფლიქტში“ მოდის თავისი „პერიფერიით“. კონფლიქტი ცდასთან პერიფერიაზე იწვევს სისტემის (უბნის) შიდა ნაწილების გადაკეთებას. სისტემის ერთი დებულებების გადაფასება იწვევს მეორე დებულებების გადაფასებას, მათ შორის ლოგიკური ურთიერთკავშირების არსებობის გამო. წინააღმდეგობა ცდასთან პერიფერიაზე იწვევს ახალ შეწ-

<sup>1</sup> K. Quine. Two Dogmas of Empiricism, «From a Logical point of view», Cambridge, 1953, p.p. 40-41.

<sup>2</sup> იქვე, 33-41.



ყოფას, შეგუებას სისტემის შიგნით. ამიტომაც სისტემის პერიფერია მუდმივად უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში ცდასთან.

„თუ ეს თვალსაზრისი მართებულია, — აღნიშნავს ქუაინი, — მაშინ შეცდომაა ლაპარაკი ცდისეული დებულებების ემპირიულ შინაარსზე; განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი არის დებულება, რომელიც საერთოდ დაშორებულია სისტემის ცდისეული პერიფერიიდან. გარდა ამისა უაზრობაა ზღვარის მონახვა სინთეზურ დებულებებსა, რომლებიც ცდაზე დამოკიდებულად ითვლებიან, და ანალიზურ დებულებებს შორის, რომლებიც ასეთად არ ითვლებიან“<sup>3</sup>.

ამასთანავე ქუაინი თვლის, რომ ცოდნის სისტემა ისე განისაზღვრება ცდით, რომ არსებობს საკმაოდ დიდი თავისუფლება იმის არჩევანისა თუ რომელი დებულებები გადაფასდეს საწინააღმდეგო ცდის შუქზე. სპეციფიკური ცდები უშუალოდ არ უკავშირდებიან გარკვეულ სპეციფიკურ დებულებებს სისტემის შიგნით. ასეთი კავშირი არსებობს მხოლოდ არაპირდაპირ გარკვეული წინასწარობის სახით ცდასა და ცოდნის სისტემას როგორც მთელს შორის; უფრო მეტიც, ქუაინი თვლის, რომ, თუ საკმაოდ მნიშვნელოვანი დაუსტებები იქნა შეტანილი სისტემაში, ნებისმიერი დებულება შეიძლება მიჩნეულ იქნას ქეშმარიტად. ასეთი დაუსტებებისა და ცვლილებების შედეგად მიიჩნევის იგი კვლევის მიერ ბტოლომეს, აინშტაინის მიერ ნიუტონისა და დარვინის მიერ არისტოტელეს სისტემების შეცვლას.

მეცნიერების ზოგიერთი დებულება, — ვთქვათ, ფიზიკური ობიექტების შესახებ, — ქუაინის აზრით არ აიხსნებიან ცდით, მაგრამ ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელნი არიან ცდის ასახსნელად და ამასთანავე — გარკვეული შერჩევის გზით: ერთი ერთი სახის ცდისთვის, მეორე კი მეორე სახისთვის. ასეთ, სპეციფიკური ცდის ასახსნელად მოსახერხებელ დებულებებს, ქუაინი ცოდნის სისტემის პერიფერიასთან ახლომდებარე დებულებებად მიიჩნევის.

ფიზიკის, ლოგიკის ან ონტოლოგიის თეორიული დებულებები არაფრით არ განსხვავდებიან მეცნიერების სხვა დებულებებისაგან, თუ არა თავისი ადგილით ცოდნის სისტემაში. ასეთი დებულებები შეიძლება მოაზრებულნი იქნან როგორც ცოდნის სისტემის ცენტრალურ ნაწილში განლაგებული დებულებები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაშორებულნი პერიფერიიდან. ცოდნის სისტემას ქუაინი მეცნიერების კონცეპტუალურ სქემას (conceptual scheme) უწოდებს, რომელიც, მისი აზრით, მოცემული ცდის საფუძველზე მომავალი ცდის წინასწარხედვის საშუალებას წარმოადგენს.

ფიზიკური ობიექტები გარკვეულ სიტუაციაში კონცეპტუალურად არიან შემოტანილნი, როგორც მოხერხებული პროსტულატები, რომლებიც ებისთემოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება ჰომეროსის ლმერთებთან იქნან შედარებულნი. ებისთემოლოგიური დაფუძნების თვალსაზრისით, ფიზიკური ობიექტები და ლმერთები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხარისხით და არა გვარეობით. ორივე სახის არსებანი ჩვენს გაგებაში შემოდინან მხოლოდ როგორც კულტურული პოსტულატები. ფიზიკური ობიექტების მითი ებისთემოლოგიური თვალსაზრისით უფრო უკეთესია ვიდრე სხვა მითები იმ აზრით, რომ იგი ცვალებადი ცდის სტრუქტურის დამუშავების უფრო ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს<sup>4</sup>.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 44.

ასეთსავე მითს (პოსტულატს) წარმოადგენს, ქუაინის აზრით, მაგალითად, კლასი მათემატიკისათვის. ქუაინი ეთანხმება კარნაპის აზრს იმის შესახებ, რომ, როდესაც მათემატიკაში ვმსჯელობთ კლასის, მიმართების ან თვისების შესახებ, საკითხი დაისმის არა ფაქტიური ვითარების, ან ფაქტის არსების შესახებ, არამედ მეცნიერების მოხერხებული ენობრივი ფორმის, მოხერხებული კონცეპტუალური სქემის ან ჩარჩოს შესახებ. ნაგრამ კარნაპისაგან განსხვავებით, იგი მოითხოვს, რომ იგივე იქნას დაშვებული მეცნიერული ჰიპოთეზების მიმართ, საერთოდ. თუ კარნაპი, ლუისი და სხვები ირჩევენ პრაგმატისტულ გზას ლინგვისტური ფორმების ანუ მეცნიერული ჩარჩოების არჩევის საკითხში, ამასთანავე ისე, რომ მათი პრაგმატიკაში „ანალიზურობისა და სინთეზურობის მოჩვენებითს ზღვარზე ჩერდება“, ქუაინი უარყოფს ასეთი ზღვარის არსებობას და მოითხოვს პრაგმატიკის გავრცელებას მეცნიერების ყველა თეორიულ დებულებაზე.

რა შეიძლება ითქვას ქუაინის თვალსაზრისის შესახებ მეცნიერული ცოდნის ემპირიული დაფუძნების საკითხთან დაკავშირებით? რაშია იგი მართალი და რაში არა? როგორც აღინიშნა, ქუაინი უარყოფს მეცნიერების ცალკეული დებულებების ემპირიული შემოწმების მოთხოვნას და ამ საფუძველზე მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფას. მისი თვალსაზრისით, ცდისეულ შემოწმებას ექვემდებარებიან მეცნიერების არა ცალკეული დებულებები, არამედ მეცნიერების დებულებათა სისტემა მთლიანად. ამ აზრით ემპირიული დაფუძნება, საბოლოო ანგარიშით, მეცნიერების ყველა დებულებას გააჩნია და ამიტომაც, ცდისეული გამართლებების საფუძველზე ცოდნის დაყოფა ემპირიულ (სინთეზურ) და თეორიულ (ანალიზურ) ცოდნად, რასაც ადგილი აქვს ნეობოზიტივიზმში, უმართებულოდ მიაჩნია. ქუაინი მართალია, როდესაც მეცნიერების როგორც დებულებათა გარკვეული სისტემის ცდისეულ გამართლებას მოითხოვს და ამის საფუძველზე, საბოლოო ანგარიშით, მეცნიერების ყველა დებულების ემპირიული დაფუძნების შესაძლებლობას აღიარებს; იგი მართალია, აგრეთვე, იმაშიც, რომ უმართებულოა ცდისეული დაფუძნების საფუძველზე ცოდნის დაყოფა ემპირიულ (სინთეზურ) და თეორიულ (ანალიზურ) ცოდნად, რადგან საბოლოოდ ყოველგვარ ცოდნას გააჩნია ცდისეული გამართლება.

ქუაინი არ უნდა იყოს მართალი, როდესაც მეცნიერების ცალკეული დებულებების ცდისეული შემოწმების შესაძლებლობას და, ამდენად, ასეთი შემოწმების მოთხოვნასაც უარყოფს. რა თქმა უნდა, სინამდვილის გარკვეული მხარის შესახებ რამდენადმე სრული ცოდნა დებულებათა მთელი სისტემით გამოითქმის; ერთი დებულება არ გამოთქვამს და ვერც გამოთქვამს ასეთი მხარის ყველა თავისებურებას, ვერ ასახავს მას მთლიანად. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ყოველგვარი ცოდნა ან ყოველგვარი ქვეშაირიტება მხოლოდ დებულებათა სისტემით უნდა გამოითქვას. არსებობს ესეთი ცოდნა ან ისეთი ქვეშაირიტებაც, რომელიც ცალკეული დებულებებით შეიძლება გამოითქვას; მაგალითად, იმის ცოდნა, რომ ვარდი არის წითელი, ან ლითონი არის ელექტრობის გამტარი, რომ  $2 \times 2 = 4$ , ან კვადრატია არის ტოლფერდა მართკუთხედი და ა. შ. ცალკეული დებულებებით გამოითქმის და, ამდენად, ასეთი დებულებების ემპირიული შემოწმებაც და გამართლებაც უნდა იყოს შესაძლებელი. ამიტომაც არ არის სწორი მტკიცება, თითქოს ცალკეული დებულებები არ ექვემდებარებოდნენ

ცდისეულ შემოწმებას, უმართებულთა ცალკეული დებულების ემპირიული შემოწმების მოთხოვნის უარყოფაც.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქუაინი საკითხს მეცნიერების ემპირიული დაფუძნების საფუძველზე ცოდნის ემპირიულ (სინთეზურ) და თეორიულ (ანალიზურ) ცოდნად დაყოფის უმართებულობის შესახებ უფრო თანმიმდევრული კონვენციონალიზმისა და პრაგმატიზმის პოზიციებიდან წყვეტს. „გრძნობადი ცდის განუწყვეტელი ნაკადის ზემოქმედების შედეგად“. მეცნიერების თეორიული დებულებები, მეცნიერული სისტემა გარდაიქმნება წმინდა პრაგმატიკული მოსაზრებების საფუძველზე. თუ კარნაბი და სხვები კონვენციონალიზმს და პრაგმატიზმს ავრცელებენ ანალიზურ დებულებებზე, ჩერდებიან რა „ანალიზურობისა და სინთეზურობის მოჩვენებითს ზღვარზე“, ქუაინი, ასეთი ზღვრის არსებობის უარყოფით, მას მთელ მეცნიერულ ცოდნაზე ავრცელებს.

ქუაინი მართალია, როდესაც უარყოფს ანალიზურ დებულებათა—როგორც არაცდისეულ დებულებათა კლასის—გამოყოფას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს მართალი, როდესაც ამის საფუძველზე უარყოფს საერთოდ ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებს შორის განსხვავებას. „გრძნობადი ცდის განუწყვეტელი ნაკადის ზემოქმედების შედეგად“, საბოლოო ანგარიშით, ცოდნის სისტემის ყველა დებულებები იცვლებიან. ამის საფუძველზე, ქუაინის მიხედვით, გამოდის, რომ არ არსებობს განსხვავება ემპირიულ, ფაქტის გამომთქმელ დებულებებსა და აუცილებელი კავშირების გამომთქმელ დებულებებს შორის; ე. ი. მეცნიერების თეორიული დებულებები იმავე რიგის დებულებებს წარმოადგენენ რასაც ფაქტის გამომთქმელი დებულებები. ეს კი უკვე აღარ არის მართალი. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერული ცოდნის სისტემას ცდისეული საფუძველი გააჩნია. მაინც არსებობს განსხვავება ემპირიული, შემთხვევითი კავშირების გამომთქმელ დებულებებსა და თეორიული, აუცილებელი კავშირების გამომთქმელ დებულებებს შორის; დებულებების ასეთი განსხვავების საფუძველი უნდა ვეძებოთ იმ ობიექტური კავშირების ხასიათში, რომლებიც ამ დებულებებში აისახებიან. არსებითი მომენტი აქ სწორედ ის არის, რომ მეცნიერული ცოდნის სისტემის აგება არ წარმოადგენს მხოლოდ თავისუფალი შეთანხმების ან არჩევანის შედეგს, — როგორც ეს ქუაინს ჰგონია.

ცოდნის სისტემა უკვე თავისი სტრუქტურით ასახავს ობიექტური სინამდვილის კავშირებს შორის არსებულ გარკვეულ თანადობას. რაც უფრო ზოგადია სინამდვილის კავშირ-ურთიერთობათა ხასიათი, მით უფრო ფართოა ამ კავშირების გამომთქმელი დებულებების მიყენების სფერო, მით უფრო „ცენტრალური“ ადგილი უჭირავთ ასეთ დებულებებს ცოდნის სისტემაში. სინამდვილის უზოგადესი და აუცილებელი კავშირ-მიმართებების ასახვა გვაძლევს მეცნიერული ცოდნის ისეთ სფეროებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დამორბეულნი ცდიდან იმ აზრით, რომ არ არიან დამოკიდებულნი ყოველ კონკრეტულ, ცალკეულ ცდაზე, საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ სპეციფიკურ კავშირ-მიმართებების ხასიათზე. ამიტომაც, ემპირიული და თეორიული ცოდნის ურთიერთობის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება მეცნიერული ცოდნის სისტემის აგების პრობლემას. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ დებულების ადგილი მეცნიერული ცოდნის სისტემაში განსაზღვრულია ობიექტური სინამდვილის კავშირ-ურთიერთობის ხასიათით, რომელსაც ეს დებულება ასახავს, მაშინ ამ დებულების ადგილიც მეცნიერული ცოდნის სისტემაში რაღაცას უნდა ლა-

პრაკობდეს მის მიერ ასახულ კავშირ-ურთიერთობის ხასიათზე. დებულებები, რომლებიც ცოდნის მოცემულ სისტემაში საყოველთაოობით და აუცილებლობით ხასიათდებიან ანალიზურნი იქნებიან, ხოლო ის დებულებები რომლებიც ცოდნის მოცემულ სისტემაში მოკლებულნი არიან ასეთ ხასიათს, იქნებიან სინთეზურნი. აქ ჩანს ანალიზურობისა და სინთეზურობის პრობლემის კავშირი თეორიული და ემპირიული ცოდნის ურთიერთობის პრობლემასთან.

ამოცანას შეადგენს სწორედ ცოდნის ისეთი სისტემის აგება, სადაც ლოგისური საშუალებებით იქნებოდა გამოხატული განსხვავება თეორიულ და ემპირიულ ცოდნას შორის. ამ ამოცანის გადაწყვეტას ცდილობს, გარკვეული აზრით, ლოგიკური ემპირიზმიც, როდესაც იგი ცოდნის მოცემული სისტემის დებულებებს ანალიზურ და სინთეზურ დებულებებად ყოფს.

**უ. ქუაინის შეხედულებები ანალიზურობის შესახებ.** როგორც უკვე აღვნიშნეთ შესავალში, ქუაინის მიერ მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის უმართებულობის ჩვენების მეორე გზას ანალიზურობის ცნების ლოგიკური განსაზღვრების შეუძლებლობის ჩვენება წარმოადგენს. ამ მიზნით იგი განიხილავს ანალიზურობის ცნების სხვადასხვა განსაზღვრებებს და აჩვენებს, რომ ასეთი განსაზღვრების დროს აუცილებელი ხდება მნიშვნელობის, სინონიმურობის, ურთიერთჩაისმის, განსაზღვრების და სემანტიკური წესის ცნებების გამოყენება, რომლებიც არანაკლებ განმარტებას მოითხოვენ, ვიდრე თვით ანალიზურობის ცნება. ამის საფუძველზე იგი მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფის უარყოფამდე მიდის.

მოდერება ანალიზური და სინთეზური მსჯელობების შესახებ კანტის სახელთანაა დაკავშირებული. კანტი ანალიზურს უწოდებს მსჯელობას, სადაც მსჯელობის სუბიექტს მიეწერება პრედიკატი, რომელიც იგულისხმება (იმპლიციტურად) სუბიექტში. ასეთი მსჯელობის დანიშნულებას კანტი იმაში ზედავს, რომ იგი აზუსტებს, განმარტავს მოცემული ცნების მნიშვნელობას. ანალიზური მსჯელობა, კანტის აზრით, კი არ აფართოებს ჩვენ ცოდნას, არამედ უკვე მოცემული ცოდნის განმარტების დაზუსტებას იძლევა. ამიტომაც, ასეთი მსჯელობებისაგან განსხვავებით, სინთეზურია მსჯელობა, სადაც სუბიექტს მიეწერება პრედიკატი, რომელიც არ იგულისხმება მის მნიშვნელობაში და არ შეიძლება მიღებულ იქნას სუბიექტის მნიშვნელობის ანალიზით. ასეთ მსჯელობაში სუბიექტს მისგან განსხვავებული პრედიკატი აქვს მიწერილი. სინთეზური მსჯელობის დანიშნულებას კანტი ცოდნის განმარტებაში კი არა, მის გაფართოებაში ზედავს. ამიტომაც სინთეზურ მსჯელობებს, სხვანაირად, ცოდნის გამაფართოებელ მსჯელობებს უწოდებს.

კანტი ანალიზურობის მეორენაირ განსაზღვრებასაც იძლევა. ანალიზურია მსჯელობა, რომელიც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს ემყარება, ანუ რომლის უარყოფასაც წინააღმდეგობამდე მივყავართ. უკვე ცნებაშია მოცემული მსჯელობის ყველა პირობა, საქმითაა მხოლოდ ამ ცნებიდან პრედიკატის „გამოყოფა“ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის შესაბამისად. ამაში განსხვავება კანტი ანალიზური მსჯელობის აუცილებელ ხასიათს. ანალიზურობის განსაზღვრა, როგორც ისეთი მსჯელობისა, რომლის უარყოფაც კონტრადიქციაა, ქუაინის აზრით, ნაკლებ განმარტებითს ღირებულებას შეიცავს, რადგანაც ეს განსაზღვრება ანალიზურობისა კონტრადიქციის ცნებას ემყარება, რომელიც ისევე განსასაზღვრია, როგორც თვით ანალიზურობის ცნება.

ანალიზურობის კანტისეული გაგება ორ არსებით ნაკლს შეიცავს: ჯერ ერთ-

თი, იგი ლოგიკის მხოლოდ მოცულობით გაგებას ემყარება და, მეორეც, ანალიზურ მსჯელობათა კლასს მხოლოდ სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობების კლასით შემოფარგლავს. ასეთი თვალსაზრისის შეზღუდულობა უკვე ლოგიკის მოცულობითი გაგების ფარგლებშიც იჩენს თავს. რამდენადაც, კანტის მიხედვით, ანალიზურია მსჯელობა, რომლის პრედიკატიც მსჯელობის სუბიექტში იფულისხმება, ამდენად გაუგებარი რჩება—შეიძლება თუ არა ანალიზური იყოს არა სუბიექტ-პრედიკატული ტიპის მსჯელობა, ვთქვათ, გაყოფითი, ჰიპოთეზური ან სხვა ტიპის მსჯელობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ლაიბნიცის თვალსაზრისი, რომელთანაც უკვე დგას ანალიზურობის პრობლემა. ამასთან, ანალიზურობის ლაიბნიციისეული გაგება არ იზღუდება არც ლოგიკის მოცულობითი გაგებით და არც მსჯელობათა სუბიექტ-პრედიკატული სტრუქტურით. მისთვის გაყოფითი, ჰიპოთეზური და სხვა მსჯელობებიც „შეიძლება იყვნენ იგივეობრივი ტიპის“ მსჯელობები. იგივეობრივი ტიპის ჭეშმარიტებების მაგალითებად მას შემდეგი მსჯელობები მოყავს: „ტოლკვერია მართკუთხედი არის მართკუთხედი“, „თუ A არის არა B, მაშინ აქედან გამომდინარეობს რომ A არის არა B“ და ა. შ. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ლაიბნიცი გონების ჭეშმარიტებებს განიხილავდა როგორც აუცილებელს და როგორც იგივეობრივს. მამასადლე, ლაიბნიცი იგივეობრივ ჭეშმარიტებებს უწოდებს იმას, რასაც თანამედროვე ლოგიკაში ანალიზური დებულებები ანუ ტაგტოლოგიები ეწოდება.

როგორც ვხედავთ, ანალიზურობის ცნება ლაიბნიცთან უფრო ფართოა ვიდრე კანტთან, მაგრამ ლაიბნიცი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ემპირიულს, შემთხვევითს და თეორიულს, აუცილებელი ჭეშმარიტებების პრობლემას სინთეზურობისა და ანალიზურობის პრობლემისაგან. მისთვის ყველა აუცილებელი ჭეშმარიტება დაიყვანება გონების ჭეშმარიტებებზე, რადგან ყველა ფაქტიური ჭეშმარიტება შემთხვევითია.

კანტის დამსახურება ანალიზურობის ცნების შემოტანაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მან ემპირიულის (აპოსტერიორულის) და თეორიულის (აპრიორულის) ურთიერთობის პრობლემა განასხვავა სინთეზურისა და ანალიზურის ურთიერთობის პრობლემისაგან. თუ ლაიბნიცისათვის ემპირიულის და თეორიულის ურთიერთობის პრობლემა სინთეზურისა და ანალიზურის იგივეობრივია, კანტისთვის არც ყოველი აპრიორულია (თეორიული) ანალიზური და არც ყოველი სინთეზური აპოსტერიორული (ემპირიული). კანტის მიხედვით, ცდა არ იძლევა „მკაცრ საყოველთაოობას“, მას მხოლოდ შედარებითი საყოველთაოობის მოცემა შეუძლია ინდუქციის საშუალებით. ცდა არც აუცილებლობას იძლევა, ამიტომაც ცდისეული ანუ ემპირიული დებულებები მოკლებულნი არიან აუცილებლობის ხასიათს.

ანალიზური მსჯელობების დამყარება ცდაზე უაზრობაა, რადგან ასეთი მსჯელობის მისაღებად ცნების მნიშვნელობის ანალიზი სავსებით საკმარისია. ამიტომაც ანალიზური მსჯელობები ცდისეულ გამართლებას არ მოითხოვენ.

ყველა ემპირიული მსჯელობა სინთეზურია, რადგან ისინი ცოდნას აფართოებენ. მაგრამ არც თუ ყოველი სინთეზური მსჯელობა არის, ამავე დროს, ემპირიული. არსებობენ, აგრეთვე, სინთეზური მსჯელობები — აპრიორი. ასეთია მათემატიკის დებულებები, რომლებსაც აუცილებელი ხასიათი აქვთ. ამიტომ ისინი არ შეიძლება იყვნენ ემპირიული დებულებები. მეორე მხრივ, ეს დებულებები აფართოებენ ჩვენს ცოდნას, ამდენად სინთეზურნი არიან და არა ანალიზურნი.



მამასადამე, არსებობენ ისეთი დებულებებიც, რომლებიც აპრიორულნი (თეორიული) არიან, მაგრამ არა ანალიზურნი. იმის კვლევა, თუ არის შესაძლებელი სინთეზური მსჯელობები აპრიორი, კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ ძირითად პრობლემას შეადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობების დაყოფას სინთეზურად და ანალიზურად ნეოპოზიტივიზმშიც აქვს ადგილი. კარნაპს, მაგალითად, ანალიზური ესმის კანტისეული აზრით. მაგრამ ანალიზური მსჯელობები მისთვის, კანტისაგან განსხვავებით, თეორიულის იგივეობრივია. სინთეზური მსჯელობები კი მხოლოდ ემპირიული, ცდისეულია. ამდენად, კარნაპი ემპირიულისა და თეორიულის პრობლემას, ერთი მხრივ, და სინთეზურისა და ანალიზურის პრობლემას, მეორე მხრივ, ლაიბნიცის მსგავსად არ განასხვავებს ერთმანეთისაგან.

თუ შევხედვით ანალიზურობის კანტისეული გაგების იმ შეზღუდულობას, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ, მაშინ ანალიზურობის ცნება ახლებურად შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: „დებულება ანალიზურია, როდესაც იგი ქეშმარიტია მნიშვნელობის საფუძველზე და დამოუკიდებელია ფაქტისაგან“<sup>5</sup>. ქუაინი იღებს ამ განსაზღვრებას და ცდილობს მნიშვნელობის ცნების ანალიზის გზით აჩვენოს, თუ რამდენად მართებული განსაზღვრებაა იგი.

ლოვანი ადგილი უქირავს საცნობრივ მიმართებებსაც. მას ნაკლებად ახსენებენ თუმცა მასალის დეტალიზებული აღქმა. მნიშვნელოვნად სუსტია გონებრივი აქტივობის ძალა. მიუხედავად ამისა, მის მიერ აღქმული დეტალებიცა და მიუღებაც დადებით ნიშანს ატარებენ.

კარგი ფორმის აღქმის საშუალო რაოდენობაა 81.73, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება დინამიკურის ანალოგიური მაჩვენებლისაგან (71.8-ი). რამდენადაც იგი ნორმის საშუალო მაჩვენებლებზე მაღალია, ამდენად ეს ნიშანი მოცემული ტიპის „ცნობიერი კონტროლის“, „რეალობის სწორი განცდის“ მაღალ უნარს მიუთითებს. აღამიანები, რომელთა მიერ დადებითი ფორმის აღქმის მაჩვენებელი მაღალია (80% და მეტი) „გვიჩვენებენ მოცემული რეაქცია-პასუხისადმი ობიექტურ, რეალისტურ, კრიტიკულ დამოკიდებულებას. ახლოს დგანან ლაქის განმსაზღვრელ გავლენასთან და მაქსიმალურად ზრდიან შესატყვისობას ასოცირებულ იდეასა და ლაქის მოხაზულობას შორის. მათი აზნა-განმარტება, რა მდიდარიც უნდა იყოს, ყოველთვის იმ ფორმით არის განსაზღვრული, რომელსაც ისინი ლაქებში პოულობენ“ (9). ამდენად, სტატისტიკური განწყობის მქონე აღამიანების ცნობიერი კონტროლის უნარი არ განიცდის მათი ფანტაზიის გავლენას. სწორედ ამიტომაც არის, რომ აქ ნაცნობი ფორმების ძიებისას ადგილი აქვს ობიექტური მოსაზრებების უპირატესობას.

ამგვარად, მოცემული ნიშანი სტატისტიკურობა-დინამიკურობას შორის არა მარტო რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ განსხვავებულობასაც უსვამს ხაზს. ამ ნიშნის პარალელურად თუ კინესთეზიურ ინტერპრეტაციებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება ასეთი დასკვნის საფუძვლიანობა. სტატისტიკურ ტიპებთან მათი საშუალო მნიშვნელობა უდრის 2.46-ს, რაც სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება დინამიკურის ამავე მაჩვენებლისაგან (4.85). ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს ნიშანი ფანტაზიის, შემოქმედებითი წარმოსახვის, ეგოს მუშაობის ძალას გამოხატავს, დაეინახეთ, რომ იგი სტატისტიკურთან საკმაოდ დაბალია. ამ უნარის შედარებითი სისუსტე (ე. ი. ფანტაზიის ჩაურევლობა ლაქების აღქმისას) ხელს უწყობს დადებითი ფორმის აღქმას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ განწყობის ცვალებადი ფანტაზიის ფორმა იმ ფაქტორის როლს ასრულებს, რომელიც ქარაქტეროლოგიურ ტიპებს შორის ამგვარი თვისებრივი განსხვავებულობის პირობას ქმნის.

რაც შეეხება აფექტურ-ემოციურ სფეროს, ამ მხრივ, ერთი შეხედვით, მათ ინტენსიური თემცა გაწონასწორებული ემოციური ცხოვრება ახასიათებთ. თუ გავითვალისწინებთ ეგოს (მმ) როგორც ემოციის შინაგანი მუხრომეჭის სისუსტეს, ამ შემთხვევაში, სურათი იცვლება. სტატისტიკურისთვის მაინც ემოციური ლაბილობა, საკუთარი იმპულსების რამდენადმე სუსტი კონტროლია დამახასიათებელი. თუმცა, უცხო არ არის გაწონასწორებული, სოციალური ემოციებიც (ფორფრ — 3.59).

განწყობის სტატისტიკური ტიპის ზოგიერთი რორმახ-ნიშნის ამ ავტორისეული ინტერპრეტაციით განხილვა ასეთ სურათს გვაძლევს:



განწყობის სტატიკური ტიპი

როგორც- ნიშნები	საშ. მნიშვნ.	საშ. მნიშვნელობათა გ. როგორმანხიველი ინტერპრე- ტაციები
1) მშ	6.9	— ინტელიგენტები, მანიაკალურად აწლილი ადამიანები
2) ფორ+	81.3	— ინტელიგენტები, პედანტები, დეპრესიულად აწლილი ადამიანები
3) მძ	2.5	— რეპროდუქტიული ინტელიგენტები
4) ფრ:ფრფორ:ფორფრ0.37:1.33:3.52		მაღალი დონის მქონე ნორმალური ადამიანები
5) მბ	52.52	— დაბალი დონის მქონე ინტელიგენტები და სტერეოტი- პული ადამიანები, დეპრესიულად აწლილი ადამიანები.

როგორც ვხედავთ განწყობის სტატიკურ ტიპში ძირითადად თავს იყრის პედანტური, რეპროდუქტიული და სტერეოტიპული „ინტელიგენტობისათვის“ დამახასიათებელი ნორმები. პათოლოგიური ნიშნებიდან — დეპრესიულობა, თუმცა მანიაკალურობაც გვხვდება აქ. სტატიკურ ტიპს სტატისტიკურად როგორმანხი ექსტრატენზიური განცდის ტიპი შეესატყვისება. აქედან გამომდინარე, — განცდების გარე მიმართულება, საკუთარი იმპულსების სუსტი კონტროლის უნარი.

ამგვარად, სტატიკური ტიპის ფიქსირებული განწყობის არსებითი ნიშანი — ფიქსაციის ფაქტორის ძლიერი გავლენა და ობიექტივაციის სისუსტე, რაც მისი განხორციელებისათვის გონებრივი ენერჯის მომეტებულ ძალისხმევას საჭიროებს — იმპულსური განწყობისა და ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევების ურთიერთდაპირისპირებულობას განსაზღვრავს. თუ ქარაქტეროლოგიურად სტატიკური ტიპი კონფლიქტური ხასიათის ტიპს განაპირობებს, ამ შემთხვევაში, როგორმანხ-მეთოდიდან გამომდინარე, იგი პიროვნების შემდეგი თვისებების საფუძველს წარმოადგენს: განცდების გარე მიმართულების, საკუთარი იმპულსების სუსტი კონტროლის უნარის, ინტელექტის აქტივობის სისუსტის, რეალობის სწორი განცდის მაღალი უნარის; ფანტაზიის, შემოქმედებითი აქტივობის შედარებით დაბალი დონისა.

**განწყობის ვარიაბილური ტიპი.** 1. ვარიაბილური ტიპის განწყობისათვის ექსპოზიციათა მინიმუმის საშუალო მნიშვნელობა უდრის 2.76-ს, კონტრასტულ ილუზიათა საშუალო რაოდენობა საგანწყობო ექსპოზიციათა მინიმუმში — 7.8-ს. ამგვარად, დინამიკურისა და სტატიკურისაგან განსხვავებით, ვარიაბილური ტიპის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ზარისში მაღალია, თუმცა იგი საშუალო ძალის სიმტკიცეს ავლენს.

2. საგანწყობო ექსპოზიციათა ოპტიმუმის საშუალო მნიშვნელობა 14.76-ს უდრის, კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობა კი — 28.65-ს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის მისაღწევად საგანწყობო ექსპოზიციათა შედარებით ნაკლები რაოდენობა არის საჭირო, ისევე როგორც სტატიკურთან, ხოლო თვით განწყობის ეფექტი გაცილებით სუსტია, თუმცა მნიშვნელოვნად ძლიერი, ციღრე — დინამიკურთან.

3. ვარიაბილური ტიპის განწყობის თვისება არის ის, რომ მისთვის არსებითად დამახასიათებელია ფიქსაციის ფაქტორის ზან ძლიერი, ზან სუსტი გავლენა. ამასთან, ზოგჯერ ახასიათებს ობიექტივაციის მაღალი უნარი, ზან კი მისი სრული შეუძლებლობა. დინამიკურისა და სტატიკურისაგან იგი ფიქსირებული განწყობის მკვეთრად დამოხატული ვარიაბილობით განსხვავდება; ე. ი. იმით, რომ მისი ფიქსირებული განწყობა აკონსტანტურია, რაც საბოლოოდ პიროვნების იმპულსური ხასიათის ტიპს განაპირობებს (10).



4. ვარიაბილური ტიპის ფიქსირებული განწყობის სტაბილობუნების მქონე ფეიციენტი უდრის 2.38-ს; ე. ი. სტაბილობის ცდებში გამოვლენილი კონტრასტული ილუზიების საერთო რაოდენობა ოპტიმუმთან შედარებით თითქმის ორნახევარჯერ მცირდება. რაც მისი ფიქსირებული განწყობის ლაბილობას, დროში სუსტ გამძლეობას მიუთითებს.

ასეთია ვარიაბილური ტიპის ფიქსირებული განწყობის ნიშნების სტრუქტურა, რომელიც განსხვავებულია როგორც დინამიკური, ასევე სტატიკური განწყობის ნიშნების სტრუქტურისაგან.

ვარიაბილური განწყობის მქონე ცპ-თა რორშახ-მასალის რაოდენობრივი ანალიზიც აჩვენებს, რომ მათი პერცეპტული მოქმედება განსხვავებულია განწყობის დანარჩენი ორი ტიპისაგან. მათთვის დამახასიათებელია საკმაოდ მაღალი პროდუქტულობა, რაც გონებრივი ადაპტაციის საუკეთესო პირობებს ქმნის. მათ აქვთ ასეთი ადაპტაციის აბსტრაქტულ მიმართებათა დონეზე განხორციელების ყარგი უნარი; თუმცა, მათი გონებრივი აქტივობა უფრო ანალიზური ხასიათისაა, ვიდრე — სინთეზური. ისინი გამოირჩევიან დიდი დამკვირვებლობით (ცდ), ახასიათებთ არარსებით ელემენტებზე ყურადღების გადაკარბებული გამახვილება; გონებრივი ინტერესი უფრო ცხოვრების კონკრეტული პრაქტიკული სფეროებისაკენ არის მიმართული. განწყობის ვარიაბილური ტიპი ამ ნიშნებით არ განსხვავდება დინამიკურისაგან. მისი განსხვავება როგორც დინამიკურისაგან, ასევე სტატიკურისაგან გონებრივ ენერჯიაში შეიმჩნევა (ორჯ). ეს ნიშანი აქ მნიშვნელოვნად სუსტია ვიდრე დინამიკურთან, მაგრამ ციცილებით მაღალი სტატიკურთან შედარებით, რაც საჭიროების შემთხვევაში გონებრივი ადაპტაციის ენერჯიულად ამოქმედების უნარს მიუთითებს. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება დინამიკურისა და სტატიკურისაგან, აგრეთვე, კარგი ფორმის აღქმის მიხედვით. მისი „ცნობიერი კონტროლის“ უნარი სტატიკურთან შედარებით დაბალია, მაგრამ დინამიკურს აღემატება.

კინესთეზიურ ინტერპრეტაციათა საშუალო მნიშვნელობა უდრის 4-ს, რაც აქ ფანტაზიის, შინაგანი აქტივობის მაღალ დონეს, ღრმა და ინდივიდუალიზებულ ტენდენციებს მიუთითებს.

ვარიაბილურ ტიპს, მიუხედავად მაღალი შინაგანი აქტივობისა, ეგოს მაღალი დონისა ძალზე ინტენსიური ემოციური ცხოვრება ახასიათებს. უცხო არაა აფექტური ლაბილობა, რაც ერთგვარ იმპულსურობას მიუთითებს.

განწყობის ვარიაბილური ტიპის ზოგიერთი რორშახ-ნიშნის რორშახისეული ინტერპრეტაციით იანხილვა ასეთ სურათს გვაძლევს:

#### განწყობის ვარიაბილური ტიპი

რორშახ-ნიშნები	საშ. მნიშვნ.	საშ. მნიშვნელობათა გ. ციხე	გ. რორშახისეული ინტერპრეტაცია
1) მთ	6.2	—	საშუალო დონის მქონე ნორმალური ადამიანები;
2) ფორ+	74.7	—	საშუალო დონის მქონე ინტელიგენტები, მსუბუქი ადამიანები;
3) მძ	4	—	საშუალო დონის მქონე ინტელიგენტები. მანიაკალურად აშლილი არაინტელიგენტები;
4) ფრ:ფრფრფრ:ფრფრფრ	0.66:1.33:3.4	—	აგზნებადი, მგრძობიარე ადამიანები;
5) ცხ	49.9	—	„ოქროს შუაგული“, მანიაკალურად აშლილი ადამიანები.

როგორც ვხედავთ, გ. რორშახისეული ინტერპრეტაციით, განწყობის ვარიაბილურ ტიპში ძირითადად თავს იყრის საშუალო დონის მქონე აგზნებადი,

მგრძნობიარე ადამიანებისათვის დამახასიათებელი ნორმები. პათოლოგიური ნიშნებიდან კი — მხოლოდ მანიაკალურობა.

ქარაქტეროლოგიურად განწყობის ვარიაბილური ტიპი იმპულსური ხასიათის ტიპს განაპირობებს.

ასეთია, ძალიან მოკლედ, ფიქსირებული განწყობის ქარაქტეროლოგიური ტიპების, ერთი მხრივ, შინაარსობრივი ანალიზი, მათი ინტერპრეტაცია (რორშახ-ნიშნებით; მეორე მხრივ, რორშახ-მეთოდით დადგენილ ნიშან-თვისებათა არსებული მრავლობის ერთ მთლიან სტრუქტურაში გააზრება.

ჩვენ მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები, მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ მათი შინაარსობრივი ინტერპრეტაციების ადეკვატურობა, კიდევ ერთხელ უნდა მიუთითებდნენ არა მარტო ფიქსირებული განწყობის ნიშნების მნიშვნელოვან დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ ღირებულებას, არამედ — თვით განწყობის ცნების, მისი კვლევის ადეკვატური მეთოდით დადგენილ კანონზომიერებათა (კერძოდ, ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის პრაქტიკული გამოყენების) ნაყოფიერებას, მის ფართო შესაძლებლობებს.

#### ბაზოკინეზული ლიბრატურა:

1. ა დ ა მ ა შ ე ი ლ ი ნ. გ. განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია, შრომები, ტ. XVII, თბილისი, 1941.
2. ბ ე ა ლ ა ე ა ი. შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიისათვის, თბილისი, 1958.
3. ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ ლ. პიროვნების ხასიათი და ფიქსირებული განწყობა (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 1947.
4. უ ზ ნ ა ძ ე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, თბილისი, 1949.
5. უ ზ ნ ა ძ ე დ. შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1964.
6. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე ბ. ი. განწყობის შეცვლის ფაზური მიმდინარეობა, კრ. „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, ტ. I, თბილისი, 1938.
7. ხ ო ჯ ა ე ა ზ. ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში, შრომები, ტ. XVII, თბილისი, 1941.
8. М и т р о п о л ь с к и й А. К. Техника статистических вычислений, Москва, 1971
9. М е й м а н М. Качественный уровень формы при ответах-реакциях на тест Роршаха, Тбилиси, 1976.
10. ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ. გ. Тип характера и фиксированная установка, Тбилиси, 1966.
11. ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ. გ. Методы исследования личности подростка, Экспериментальные исследования по психологии установки, т. V, Тбилиси, 1972.
12. ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ. გ. Методы исследования характера личности, Тбилиси, 1975.
13. Р о р ш а х Г. Психодиагностика, Тбилиси, 1972.
14. B e c k S. Rorschach's Test, v. I, Basic processes, New-York, 1934.
15. B e c k S. Rorschach's Test, v. II, New-York, 1944.
16. B o h m E. Manual del Psicodiagnostico de Rorschach. Madrid, 1968.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

მეცნიერი ზარანდი

პროფესიული ორიენტაციის ზოგიერთი ფსიქოლოგიური საკითხი

მეცნიერულმა და ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მთელს მსოფლიოში, დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია მატერიალური და სულიერი ძალების ეკონომიკურად და ეფექტურად ხარჯვა, ურომლისოდაც საზოგადოების განვითარება ყოველ ნაბიჯზე წააწყდება ზედმეტ წინააღმდეგობას. როგორც მატერიალურ საშუალებათა ეკონომიური ხარჯვისათვის, ისე სულიერი ძალების ეფექტურად გამოყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ის, თუ როგორ დგას საზოგადოებაში პროფესიული ორიენტაციის საქმე, როგორ უყურებს საზოგადოება მას და რა დონეზე წყდება ეს საკითხი ქვეყნის სასოკლო ცხოვრებაში. თუ ფართო მნიშვნელობით ავიღებთ პროფესიული ორიენტაციის ცნებას, იგი შემდეგი სახით შეიძლება განვსაზღვროთ: პროფესიული ორიენტაცია, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არის მოსწავლე-ახალგაზრდობის პიროვნულ თვისებათა და უნარ-შესაძლებლობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობა: რათა მათ შეძლონ, თავიანთი ცხოვრების მუდამ ცვალებად პირობებში, ისე აირჩიონ სწავლისა და შრომის გზა, რომ, ერთი მხრივ, სასარგებლონი იყვნენ საზოგადოებისათვის, მეორე მხრივ, განახორციელონ თავიანთი ფსიქო-ფიზიკური ძალების სრული რეალიზაცია. აქედან ცხადია, რომ პროფორიენტაციის საბოლოო მიზანია ადამიანისადმი დახმარების აღმოჩენა მის მიერ თავის მომავალი ცხოვრების უკეთესი პროექტის შემუშავებაში. ეს კი ხელს შეუწყობს ცალკეულ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ჰარმონიულ ურთიერთობის დამკვიდრებას, რაც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი იქნება.

სასოკლო პროფორიენტაცია უნდა გახდეს სასოკლო სწავლების განუყოფელი ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღზრდის საქმეს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება პროფორიენტაციის როგორც თეორიული სტრუქტურის სრულყოფის, ისე მისი სწორი პრაქტიკული განხორციელებისათვის. პროფესიული ორიენტაციის ასეთი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო იყო მიღებული სკვპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილება, რომ: „პროფორიენტაცია სსრკ-ში უნდა გახდეს განათლების ძირითად ამოცანად“. ეს დადგენილება კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ განათლება თვითმიზანი კი არა — ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობისათვის უკეთ მომზადებაა.

როდის შეუძლია ადამიანს უკეთ მოემზადოს პრაქტიკული საქმეებისათვის, მომავალი ცხოვრებისათვის? ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მარქსი თავის სადიპლომო შრომაში — „ფიქრები ახალგაზრდის მიერ პროფესიის დაუფლების შესახებ“ — წერდა: „პროფესიებს შეუძლიათ გააბედნიერონ ადამიანები, რომლებიც მოწოდების შესაბამისად აირჩევენ მათ... მაგრამ თავს დასაღუპავად სწირავენ ისინი ვინც დაუფიქრებლად, მომენტის გავლენით ჰკიდებენ ხელს მათთვის შეუსაბამო პროფე-

სიას“. მაგრამ ამ ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტა მოსწავლეს არ შეუძლია, თუ მას არ დაეხმარებიან. დახმარება კი იმაში მდგომარეობს, რომ კარგად შევისწავლოთ ბავშვის უნარები, ბუნებრივი მონაცემები და ხელი შევუწყვით მის მიდრეკილებათა შესაბამისი ინტერესების ფორმირებას. ამ საქმის გაკეთება შეუძლია სპეციალისტ ფსიქოლოგს მასწავლებლებთან და მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში; უარეს შემთხვევაში კი, როცა სკოლას სპეციალისტი ფსიქოლოგი არა ჰყავს, ამ საქმის გაკეთება უნდა იკისროს მასწავლებელთა კოლექტივმა მოსწავლეთა მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობის ვითარებაში. რაც შეეხება კონსულტაციას, ეს უნდა განახორციელოს კლასის ხელმძღვანელმა იმ საერთო მონაცემების საფუძველზე, რომელიც გროვდება თითოეული ბავშვის შესახებ მისი სკოლაში სწავლის განმავლობაში. ამის შესახებ წერდა ნ. კ. კრუპსკაია: „...მთელი სასკოლო მუშაობა ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ იგი ეხმარებოდეს მოსწავლეს პროფესიის არჩევაში“.

ტექნიკისა და ინფორმაციის წყაროს სწრაფი და განუწყვეტელი ზრდის პირობებში, როცა განსხვავებული პროფესიული პროფილის რიცხვი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, გარედან დახმარების გარეშე ისეთი პროფესიის არჩევა ახალგაზრდისათვის, რომელიც მის უნარებს შეესატყვისება, სულ უფრო გაძნელებულია და მოსწავლეთა შორის სულ უფრო მცირდება იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც შეძლეს დამოუკიდებლად მიეგნოთ მათთვის შესაფერისი პროფესიული მიმართულებისათვის: პროფესიათა რაც უფრო დიდი რიცხვიდან ხდება საჭირო ერთი პროფესიული მიმართულების არჩევა, მით უფრო დიდო სიძნელის გადალახვა სჭირდება მაძიებელს და ეს სიძნელე ისეთი ბუნებისაა, რომ იწვევს განგაშსა და, ზშირად იმედების გაცრუებასაც კი, თუ იგი დახმარების გარეშე აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში ყოველგვარ დახმარებას არ შეუძლია დადებითი შედეგის მოცემა: თუ მოსწავლე პასიურად დაეთანხმება არაკომპენტენტური პირის რჩევას თავისი მიკროგარემოდან და სკოლა არ მიიღებს ქმედითი ზომებს მისი სწორად ორიენტირებისათვის, მაშინ, შესაძლებელია, ძლიერ დაშორდეს ის თავისი მოწოდების სფეროს და დარჩეს დეზორიენტირებული; ამიტომ გადაწყვეტი სიტყვა მოსწავლეს სკოლამ უნდა უთხრას, სადაც მეცნიერულად იქნება დასაბუთებული მოსწავლისათვის გაწეული კონსულტაცია და საიდანაც მისთვის რაღაცა გახდება მისაღები და რაღაცა მიუღებელი, შეუფერებელი. ამის გაცნობიერებას მოსწავლისათვის აქვს დიდი მათრგანიზებელი და წარმმართველი ძალა, თუ იგი განხორციელდება როგორც მის პიროვნულ თვისებათა მეცნიერული შესწავლის შედეგი, რომელშიც თვითონაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა როგორც ცდის პირი (ცპ) და როგორც თავისი მომავლით დაინტერესებული სუბიექტი.

თანამედროვე პირობებში, როცა მეცნიერებათა დიფერენციაციის გვერდით მიმდინარეობს მათი ინტეგრაციის პროცესი, როცა სულ უფრო აუცილებელი ხდება მოვლენის შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა, პროფესიათა ოჯახური სტერეოტიპი და ვიწრო სპეციალიზაციის ტენდენცია არ შეესაბამება მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს. პროფესიები სწრაფად იცვლიან მუშისადმი მოთხოვნების ინტერესებს. პროფესიები სწრაფად იცვლიან მუშისადმი მოთხოვნების ზრდას. ამიტომ, საკუთარ უნარ-შესაძლებლობათა შესაბამისად პროფესიის დაუფლების ნაცვლად, განათლება იქცევა თვითშეგუებისადმი მისწრაფებად, რაც საფუძვლად ედება მატერიალური და სულიერი ძალების არაადეკვატურ და, მაშასადამე, არაეფექტურ გამოყენებას. იმისათვის, რომ ეფექტურად

განხორციელდეს პროფორიენტაცია სკოლაში, საჭიროა შესაძლებელი გახდეს საბჭოთა სკოლის ორი ძირითადი პრინციპის თანაბრად ეფექტური გამოყენება: პირველია სწავლების საკლასო ორგანიზაცია, რომელიც გულისხმობს დაახლოებით ერთნაირი ცოდნისა და ერთნაირი ასაკის ბავშვთა განსაზღვრულ ჯგუფს, ხოლო მეორეა მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა. მაგრამ ეს ორი პრინციპი ერთმანეთს გამოირიცხავს და ამიტომ არ არის შესაძლებელი, ჩვეულებრივ პირობებში, ორივე პრინციპი თანაბრად წარმატებით იქნეს გამოყენებული. ეს გარემოება მიგვანიშნებს, რომ საჭიროა რაღაც ისეთი დამატებითი პრინციპის შემოღება, რომელიც ნაწილობრივ მაინც მოხსნიდა ჯგუფურსა და ინდივიდუალურს შორის არსებულ წინააღმდეგობას.

მიგვაჩნია, რომ ასეთი პრინციპი მონახულია და იგი შემდეგში მდგომარეობს: თუ აქამდე კლასში თავს უყრიდნენ ერთნაირი ცოდნისა და ერთნაირ ასაკის ბავშვთა განსაზღვრულ კონტინგენტს, ახლა ამას უნდა დავემატოთ მესამე პრინციპი და კლასში თავი მოვეყაროთ დაახლოებით ერთნაირი ცოდნის, ერთნაირი ასაკის, ერთნაირი მიდრეკილებებისა და ინტერესების მქონე მოსწავლეებს. მაგრამ ამის იგანხორციელებას დიდი სიძნელეები ახლავს: თუ პირველი ორი პრინციპის განხორციელებისათვის საკმარისია ბავშვის მიერ სკოლაში წარმოდგენილი ცნობები, მესამე პრინციპით კლასის შედგენას სჭირდება ხანგრძლივი და სერიოზული კვლევითი მუშაობა, რომელსაც გამოცდილი და ღრმად განსწავლული ადამიანი თუ შესარულებს. ამ სიძნელის გადალახვის ამოცანას ემსახურება რესპუბლიკური № 2 ექსპერიმენტული სკოლის წამოწყება დიფერენცირებული სწავლების ერთი თავისებური სახესხვაობის განსახორციელებლად. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ამ იდეას საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანები იზადებიან განსხვავებული თანდაყოლილი შესაძლებლობებით და ეს შესაძლებლობანი რეალურ უნარებად შეიძლება წარმატებით განვითარდეს საკმაოდ ფართო მონათესავე პროფესიათა დიაპაზონში, მაგრამ არა საწინააღმდეგო პროფესიათა მიმართულებით. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს თანდაყოლილი მდიდარი მუსიკალური შესაძლებლობანი, მისგან მეტ-ნაკლებად შეიძლება გამოვიდეს მუსიკალური ხელოვნების ნებისმიერი დარგის სპეციალისტი, მაგრამ აღნიშნულ შესაძლებლობათ: საფუძველზე უფრო მოსალოდნელია მისგან კარგი მათემატიკოსი ან ქიმიკოსი ვერ დადგეს.

რაც შეეხება თანდაყოლილ შესაძლებლობებს, რომლებიც „ნასახების“ სახითაა მოცემული ადამიანის შვილში, — ისინი ძალიან ადრეული ასაკიდან — ძუძუს ხანიდან, იწყებენ ნიჭიერად განვითარებას და მით უფრო წარმატებულად, რაც უფრო სრულად ექნება ადგილი ბავშვის ფაქტიური არსებობის გარემო პირობების თანდამთხვევას ამ „ნასახების“ განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებთან. მაგრამ ვინაიდან არ არსებობს, ჯერჯერობით, არავითარი საშუალება იმის დასადგენად თუ რა „ნასახებითაა“ ბავშვი დაბადებული, ამიტომ ბავშვის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მთელი იმედები დამყარებულია მეცნიერული ექსპერიმენტებითა და ბავშვის ქცევაზე დაკვირვებით მოპოვებულ მასალაზე, რომლის სანდობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თავისუფალ ქცევაში ყოველთვის ისეთი ოპერაციები და მოქმედებები დომინირებენ, რომლებიც უფრო ადვილი შესასრულებელია ამა თუ იმ ინდივიდისათვის; ადვილი შესასრულებელი კი ის ოპერაციები და მოქმედებებია, რომლებიც ნასახის განვითარებისათვის ხელსაყრელი ქცევის შემადგენლობაშია მოცე-

მული. ამგვარი ქცევის, მოქმედებისა და ოპერაციის სისტემატური აღრიცხვა საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ ბავშვის ნასახების განვითარების ოპტიმალური მიმართულება და ხელი შევეწყუთ ნასახთა რეალიზაციის პროცესს მიდრეკილებებში. ამგვარი მიდრეკილებები საფუძვლად ედება განსაზღვრული ქცევის განხორციელების მოთხოვნილებას, ხოლო ასეთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საფუძველზე წარმოებს მყარი პროფესიული ინტერესების ფორმირება. რანაირად ძნელიც არ უნდა იყოს ეს გზა ბავშვის შესაძლებლობათა თვითრეალიზაციისა, იგი ერთადერთი სწორი გზაა მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, თითოეული მოქალაქის სრული თავისუფალი პროფესიული თვითგანსაზღვრისა და გარედან თავზე მოხვეული პროფესიული მიმართულებისაგან განთავისუფლებისათვის. მოსწავლეთა პროფორიენტაციის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ამ საკითხისადმი დეონტოლოგიური მიდგომა. თუ პროფორიენტაციის აღწერილი სახე მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე იქნება დაყენებული, მაშინ დეონტოლოგიური პრინციპი გულისხმობს ძალდატანების გამოყენების უფლებასაც; მაგრამ თუ მალალი სანდომობის დონე არა აქვს ინდივიდის შინაგან შესაძლებლობათა გამოკვლევის შედეგებს, მაშინ ვერ გვექნება პროფორიენტაციის მტკიცე წარმატების გარანტია და, მაშასადამე, ძალდატანების გამოყენებაც კარგავს თავის დადებით მნიშვნელობას, — რის გამოც ასეთ პირობებში მისი გამოყენება შეუძლებელია.

პროფორიენტაცია მოწოდებულია, რათა შეცვალოს პროფესორჩევის სისტემა, რომელიც არ იძლევა ახალგაზრდის ოპტიმალური განვითარების გარანტიას, რამდენადაც იგი ზორციელდება გარეგანი ნიშნების მიხედვით და მხედველობაში არ შიილდება ის შინაგანი შესაძლებლობანი, რომლებსაც შეიცავს მოცემული სტიმუქტი. პროფორიენტაცია კი პირიქით, წარმოადგენს პოზიტიურ ფაქტორს, რის გამოც იგი გამოდის სოციალური რეგულატორის როლში და ახორციელებს აღამინათა ძალების უნაყოფოდ ფლანგვის აღკვეთას, რითაც აძლევს თითოეულ ინდივიდს თავისი პიროვნული ძალების ყოველმხრივი და სრული განვითარების საშუალებას, — ეს კი სასარგებლოა როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებისათვის.

ზემოთ აღნიშნული მესამე პრინციპის გამოყენებით მეხუთე კლასის ბოლოს ვველა მეხუთეკლასელიდან ხელახლა დგება იმდენივე ახალი კლასი, რამდენიც იყო, მხოლოდ მოსწავლეები გადარჩეულია მათი შესაძლებლობების მიხედვით სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებათა შორის — საზოგადოებრივ-პუმანიტარულ, ტექნიკურ და ბიოლოგიურ მიმართულებებს შორის. ამგვარი ცლობა-ლური ხასიათის პროფესიული მიმართულებანი ერთგვარად აადვილებენ მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გამოყენებას კლასში იმით, რომ თვითონ მოსწავლეები დაუახლოვდნენ კლასში ერთმანეთს თავიანთი მიდრეკილებებით, მოთხოვნილებებითა და ინტერესებით. ამით მოგებული რჩება კლასი, მასწავლებელი, გაკვეთილი და მოსწავლე; წაგებას კი არცერთ ასპექტში ადგილი არა აქვს. სასკოლო პროფესიული ორიენტაციის პირველადი დიფერენციაცია, სადაც ძალდატანება არ არის გამოყენებული, ქმნის ფიქსირებულ პროფესიულ განწყობას. აძლიერებს არჩეული მიმართულებით მყარ ინტერესებს და მოსწავლეს ამზადებს სწავლების მეორადი დიფერენციაციისათვის, რომელიც მეცხრე-მეათე კლასებში იქნება განხორციელებული და, რომელიც გაღრმავებული სწავლების ორგანიზაციის გულისხმობს.



პროფორიენტაცია ამჟამად წარმოადგენს განათლების არსებით მნიშვნელობის მქონე ასპექტს, მაგრამ იგი მოწოდებულია გახდეს მისი ორგანული ნაწილი. მიუხედავად ამისა, იგი დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და დიდ შესაძლებლობებს იძლევა მოსწავლის მომავალი პროფესიის სწორად განსაზღვრისათვის იქ, სადაც რაიმე მაინც კეთდება განათლების სისტემაში პროფორიენტაციის მიმართულებით. მაგალითად, საფრანგეთში სასკოლო საბჭოსთან შექმნილია „პროფორიენტაციის საბჭო“, რომელმაც სკოლებს მოაცილა პროფერჩევის ნეგატიური მოვლენები. მაგრამ ამისათვის საჭიროა მასწავლებელთა მომზადება ისე, რომ მათ შეეძლოთ პროფორიენტაციის მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობა. პროფორიენტაციის ფუნქციის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრისათვის აუცილებელია, რომ მისი კომპენტენცია მთლიანად იყოს განათლების სისტემის განკარგულებაში და არ იქნეს დაშვებული მისი განაწილება სხვადასხვა, სუბორდინაციას მოკლებულ ორგანიზაციებს შორის.

ვინაიდან პროფორიენტაცია ჯერ კიდევ ჩამორჩება დროის მოთხოვნებს, საჭიროა სკოლებმა დაიწყონ პროფორიენტაციული მუშაობა დაწყებითი კლასებიდანვე და პარალელურად იმუშაონ მშობლებთან, რათა მივალწიოთ სკოლისა და მშობლების მტკიცე თანამშრომლობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციის საქმის წარმატებას.

პროფორიენტაციას აქვს სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც ფარავს საგნობრივი ხასიათის მოქმედების სფეროს და მოითხოვს დისციპლინათა შორის კავშირთა დანერგვას განმტკიცებას თანამშრომლობის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა კი გულისხმობს სასკოლო პროფორიენტაციისათვის საჭირო კადრების სპეციალურად მომზადებას, რისთვისაც აუცილებელია საუნივერსიტეტო განათლება: მსმენელმა უნდა მიიღოს ფსიქოლოგიისა და მახროფილემბელი საგნების საუნივერსიტეტო კურსის ცოდნა. მხოლოდ ამგვარად მომზადებულ მასწავლებელს შეუძლია წარმატებით იმუშაოს პროფორიენტაციის საკითხებზე სკოლაში.

ადამიანთა შორის ურთიერთობის ჰუმანურობის დონემდე ამაღლების ამოცანა, რომელსაც ისახავს მიზნად საბჭოთა სკოლა, აუცილებელს ხდის სასკოლო პროფორიენტაციის დაყენებას მეცნიერულ საწყისებზე და თითოეული მოსწავლის უნარ-შესაძლებლობათა სრულ განვითარებას. მხოლოდ ასეთ პირობებში მიიღებს პიროვნება თავისი შესაფერისი პროფესიის არჩევის გადაწყვეტილებას ან, ყოველ შემთხვევაში, დაემორჩილება კონსულტანტის რჩევას და ამით ხელს შეუწყობს საზოგადოების განვითარების საქმეს. ამ ამოცანის განხორციელებისათვის არსებობს ორი გზა: პროფორიენტაციამ მიაღწიოს პიროვნების განვითარებას, სრულ პროფესიულ თვითგანსაზღვრას და კონფლიქტურ სიტუაციაში ინდივიდის ინტერესები დაემორჩილდეს საზოგადოების ინტერესებს. სკოლებში მოსწავლეთა პროფორიენტაციას უნდა ახორციელებდნენ მასწავლებლები, სპეციალური კონსულტანტები და სკოლის ფსიქოლოგები. ამავე დროს, ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ პედაგოგიკის სპეციალისტები, სოციოლოგები, ეკონომისტები და ექიმები, რომელთაც აქვთ პროფორიენტაციის საკუთარი ასპექტები, — მიუხედავად იმისა, რომ პროფორიენტაცია სწავლებისა და აღზრდის განუყოფელი ნაწილია და მოითხოვს მუშაობის საკლასო სისტემას.

სასკოლო პროფორიენტაციაში ჩვენ ვიყენებთ განსხვავებულ ასპექტის მქონე ორ ძირითად მეთოდს: 1. მოსწავლის შესაძლებლობათა და მიდრეკილე-

ბათა გამოვლენა და 2. ორიენტაცია სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. პირველ მეთოდს, თავის მხრივ, აქვს შემდეგი ასპექტები: ა) პიროვნების ინდივიდუალური შესწავლის მეთოდი და ბ) ცალკეული ჯგუფების კოლექტიურად შესწავლის მეთოდი (კლასი). ეს უკანასკნელი მასწავლებელს ავალებს, რომ მოახდინოს გაელენა მოსწავლეებზე, მათი მოტივაციის სფეროზე ისე, რომ შეექმნათ მოსწავლეებს ინტერესები მათი მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების შესატყვისი პროფესიული საქმიანობისადმი. მიდრეკილებათა და შესაძლებლობათა შესახებ (რითაც უნდა განისაზღვრებოდეს მათი პროფორიენტაცია) ინფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვება, რაც სასკოლო სწავლების ყველა საფუძველზე შეიძლება იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, ვიყენებთ მოსწავლეთა შესახებ მონაცემების შეგროვების მეთოდს: ნშობლებისა და თვით მოსწავლეთა გამოკითხვის მასალას, მოსწავლის კლასის უახლოესი ამხანაგის გამოკითხვისა და ტესტებით მოპოვებულ მასალას; ამასთან, სპეციალურ კითხვარებს ავსებენ თითოეულ მოსწავლეზე მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელი.

პროფორიენტაცია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსწავლეს აძლევს ან სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების ან სამუშაოზე მოწყობის რეკომენდაციას იმ პიროვნულ თვისებებზე დაყრდნობით, რომელთაც ეს მოსწავლე ამჟღავნებს. როდესაც წინასწარ ჩატარებული მუშაობის შედეგად გარკვეული ცოდნა მოგვეპოვება მოცემული ინდივიდის მიდრეკილებაზე, ინტერესებსა და უნარ-შესაძლებლობებზე, მისთვის დახმარების აღმოჩენა პროფესიული თვითგანსაზღვრისათვის კონსულტაციის დონეზე კომპენტენტური იქნება და დაეხმარება მას პროფესიათა შორის სწორად ორიენტირებაში. მოსწავლეთა პროფორიენტაციაზე მომუშავე ფსიქოლოგი, ამავე მიზეზის გამო, უნდა იყოს განათლებული ფსიქოლოგიის ისეთ მოსაზღვრე დარგებშიც, როგორიცაა: პედაგოგიკა, სოციოლოგია, ფილოსოფია, ბიოლოგია. მხოლოდ ასეთ მკვლევარებს შეუძლიათ მოსწავლეთა შესაძლებლობების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა; უამისოდ კონსულტაცია არ იქნება კომპეტენტური და მეცნიერული.

პროფორიენტაციის სამსახურმა (ე. ი. ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა და კონსულტანტებმა, რომლებიც მოსწავლეთა პროფორიენტაციას ემსახურებიან) ანგარიში უნდა გაუწიოს იმ გარემოებას, რომ არასწორად ორიენტირებული ადამიანი ძალიან მალე კარგავს ინტერესს თავისი პროფესიისადმი და იწყებს საქმიანობის ერთი სფეროდან მეორისაკენ ხეტიალს, უკეთ შეგუებული სამუშაო ადგილის მონახვის მიზნით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც თვით ინდივიდის მორალურ და მატერიალურ მდგომარეობაზე, ისე საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე.

კოდნის შეფასების პრინციპები და წესები, რომლებიც გამოიყენება კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანისათვის, უნდა იყოს მკიდრო კავშირსა და თანხმობაში ორიენტაციისა და კონსულტაციის მთავარ პრინციპებთან, რათა ორიენტაცია ჩადგეს საზოგადოების სამსახურში. ასეთი კავშირი გულსიმხობს, რომ მკაცრად შეფასდეს მოსწავლის ცოდნა მისი პროფესიული მომავლისათვის მპროფილურად საგნებში, ხოლო დანარჩენ, არამპროფილურებზე საგნებში შეფასება იყოს „ლიბერალური“, ე. ი. ბავშვს გაუადვილოთ დანარჩენი საგნების ჩაბარება მოთხოვნათა სიმკაცრის შერბილებით. ასეთი მოქმედების სოციალური ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს უშტკიცდება რწმენა



თავისი მომავლისადმი: მოსწავლეში მტკიცდება აზრი, რომ მის მიერ სწავლად იყო პროფესია არჩეული, ძლიერდება არჩეული დარგისადმი რწმენა, ფორმირდება მისი სრული მიღებისა და თავისი მომავლად შეწყყნარების ფიქსირებული განწყობა. ეს განწყობა მით უფრო მტკიცე და სრულფასოვანი იქნება, რაც უფრო მტკიცე და სრულფასოვანი იქნება ის კავშირი მასწავლებელთა შორის, რომლებიც სხვადასხვა საგნებს ასწავლიან და რომელთა ამოცანაა, რაც შეიძლება სრულფასოვანი იყოს მოსწავლეთა პროფორიენტაცია.

როცა საკითხს ასე ვაყენებთ, გულისხმობთ, რომ ყველაფერი არც ჩვენ ვიცით და არც არავინ იცის და არც არის ასეთი უნივერსალი საჭირო, მაგრამ მონათესავე დარგების ცოდნა საჭიროცაა და სასარგებლოც. ასეთი მონათესაობა აკავშირებს: ენასა და ლიტერატურას, ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიას, ფიზიკასა და ქიმიას, მათემატიკასა და მექანიკას, ისტორიასა და გეოგრაფიას და სხვ. ეს მონათესაობა, მეცნიერებათა საფუძვლებისა, გულისხმობს პროფესიათა მონათესაობას და, ამდენად, არ უნდა იყოს მოსწავლე შეზღუდული მხოლოდ ერთი ვიწრო მომავალი სპეციალობით. მას საშუალება უნდა ჰქონდეს ერთი მიმართულების მონათესავე საგნებში დაგეგმოს თავის უნარ-შესაძლებლობათა მოსინჯვა ისე, რომ მერვე კლასის დამთავრებისას თვითონ შეეძლოს გასცეს პასუხი კითხვაზე: „სად იქნება შენი შემდგომი სწავლის გაგრძელება ოპტიმალური?“ და მზად უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

პროფორიენტაციისა და პროფკონსულტაციის სამსახურს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა, ზოგადად განათლებისათვის და, კერძოდ, პერმანენტული განათლების სისტემისათვის. აღსაზრდელზე პროფორიენტაციული ზემოქმედება წარმოადგენს მისი პიროვნების ფორმირებაზე საერთო ზემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს, რამდენადაც იგი გულისხმობს ინდივიდის განვითარების ოპტიმალური გზების დადგენას და მასში ამ მიმართულებით მოთხოვნებისა და ინტერესების ფორმირების პროცესისათვის ხელის შეწყობას მისი ასაკობრივი განვითარების ყოველ საფეხურზე. აღზრდა და პროფორიენტაცია როგორც პერმანენტული პროცესები ხელს უნდა უწყობდნენ ინდივიდის ფსიქიკურ შესაძლებლობათა შენარჩუნებას, მათს ზრდა-განვითარებას და პრაქტიკულ გამოყენებას შესატყვისი პროფესიული მიზნებისათვის.

აღზრდისა და პროფორიენტაციის მიზანია: ხელი შეუწყონ, იავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე ინდივიდების ისეთნაირი მომზადების გზით, რომ მათ მართლა შეეძლოთ დაკისრებული მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება; ხელი შეუწყონ საერთო სასიკოცხლო ინტერესების აღზრდა-განვითარების საქმეს; უზრუნველყონ თითოეული ინდივიდის სრული და დიფერენცირებული განვითარება, რომელთათვისაც აღზრდა და პროფორიენტაცია არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ არის ერთ-ერთი პირობა იმისათვის, რომ ყველას შეეძლოს გამოამქლავნოს თავის უნარ-შესაძლებლობები, თავის დადებითი პიროვნული თვისებები და ერთმნიშვნელოვნად მონაწილეობა საზოგადოებაში თავისი ძალების შესატყვისი ადგილი, — რათა სასარგებლო იყოს თავის საქმიანობით როგორც საკუთარი თავისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

მოსწავლეთა ექსპერიმენტულმა შესწავლამ, რასაც ვახორციელებთ რესპუბლიკურ № 2 ექსპერიმენტულ სკოლაში, გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს პროფესიები, რომელთა პრესტიჟი მოსახლეობის ფართო მასებში მაღალია; ე. ი. აშკარად იგრძნობა მშობელთა განმსაზღვ-

რელი როლი მოსწავლის მიერ პროფესიის არჩევაში. მიუხედავად ამისა, ტემპონთან მისი მოსწავლეთა ინციტატივაც არ არის მთლიანად პარალიზებული მშობელთა გავლენით და სტაბილური, მათ მიდრეკილებათა შესატყვისი პროფესიისადმი ორიენტაციას ამჟღავნებს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 12%. ეს იქიდან ჩანს, რომ III კლასიდან VIII კლასამდე ბავშვი თავისი ინტერესებისა და მიდრეკილებათა შესატყვისი საქმიანობის კეთებაში ისტემპერატორბასა და სინეკრეტულად ამჟღავნებს და კითხვებზე პასუხებშიც თავისი გადაწყვეტილებას განუხრებლად იმეორებს მთელი ხუთი წლის განმავლობაში. მართალია, არც აქ არის გამორიცხული მშობელთა და მასწავლებელთა ზეგავლენა და არც მიკროგარემოს ზემოქმედება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თვითონ მოსწავლის ინციტატივა აქ, გარეგანი გამოვლენა კი არა, შინაგანი მიდრეკილებაა, შინაგანი მოთხოვნილება და ინტერესია. აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რანაირ გარემო პირობებში ვითარდება ბავშვი ადრეულ ასაკიდან. თუ ბავშვი ვითარდება ისეთ გარემო პირობებში სადაც ნასახის განვითარება მიმდინარეობს ნორმალურად. მაშინ ეს ბავშვი სწრაფად ვითარდება თავის ბუნებრივ შესაძლებლობათა შესატყვისად და ასეთი ბავშვების ორიენტაციაც ყალობდება სწავლისა და შრომის სფეროში ისე, რომ სულ უფრო მტკიცდება, სულ უფრო მოტივირებული ზდება და არ ემორჩილება იმ დინამიკურ ცვლილებებს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ გარედან მიღებული იდეების საფუძველზე ფორმირებადი პროფესიული და სასწავლო ორიენტაციისათვის. პირველ შემთხვევაში მტკიცე და სულ უფრო გაღრმავებადი ინტერესებია დომინირებული განსაზღვრული საქმიანობის მიმართ; მეორე შემთხვევაში კი, როცა განსაზღვრელის როლში ორიენტაციისათვის გარეგანი ზემოქმედება გამოდის, უმეტესად არ ემთხვევა ეს ზემოქმედება ბავშვის ბუნებრივ მიდრეკილებას და ამიტომ ადგილი აქვს ნასახთა ნიჟად განვითარების არა თანამიმდევრულსა და ისტემპერატურ პროცესს. ამის გამო მიდრეკილებათა, მოთხოვნილებათა და ინტერესთა ფორმირებაც მიმდინარეობს არასისტემატურად, რაც იწვევს ინტერესების მუდმივ მონაცვლეობას საქმიანობის ერთი სფეროდან მეორეზე და ინდივიდი ვერსად ახერხებს თავის ინტერესთა „დამაგრებას“: ბავშვს არ გააჩნია მყარი ინტერესების ფორმირების საფუძველი, არა აქვს გარედან თავზე მოხვეული ორიენტირისადმი მოთხოვნილება, რაც საფუძველად ედება იმ ცვლილებებს, რომელნიც „ორიენტაციის დინამიკის“ სახელწოდებითაა აღნიშნული, — ეს კი გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს სკოლის კურსდამთავრებულს.

სკოლა, საგნის მასწავლებელი, კლასი და საერთოდ სასკოლო გარემო მეტად თუ ნაკლებად კეთილ გავლენას ახდენს ბავშვის პროფესიული ინტერესების ფორმირებაზე, თუმცა არც აქ არის ყველაფერი თავის რიგზე: ჩვენი ახლანდელი სკოლის მასწავლებელი, უკეთეს შემთხვევაში, ახერხებს მოსწავლის დაინტერესებას იმ სასწავლო საგნით, რომელსაც თვითონ ასწავლის და ამით შეიძლება, „დათეურ სამსახურს“ უწევს მას, — საგნით დაინტერესებამ შეიძლება მოსწავლეში გამოიწვიოს ისეთი პროფესიისადმი ინტერესი, რომელიც არ შეესაბამება მის ბუნებრივ მოწოდებას და ამით კიდევ უფრო დაამოკრძას სწორ პროფორიენტაციას. აქაც ისევე, როგორც მშობლების ზეგავლენის შემთხვევაში, დასაშვებია, რომ არ აღმოჩნდეს ბავშვის შესაძლებლობათა შესატყვისი ის ორიენტირი, რომელსაც მას მასწავლებელი ძალაუვნებურად აძლევს. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საქმეში მეტად მნიშვნელოვან როლს თამა-

შობს მათთვის მახლობელი ადამიანის ავტორიტეტი, რომლის პროფესიაც საინტერესო და მისაბამი ზდება მოსწავლისათვის თვითონ მახლობელი ადამიანის გავლენით. აქაც არჩეულ პროფესიასა და ინდივიდის პროფესიულ მოწოდებას შორის განსვლა ხშირად მნიშვნელოვანია.

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენეს, მესამე-მერვე კლასებში სწავლების მანძილზე მოსწავლეთა მთელი კონტიგენტის 23%-მა (გარდა იმ 12%-ისა, რომლებიც დამოუკიდებლად და სწორად ირჩევენ პროფესიას). მაღლია სწორსა და მყარ ორიენტაციას სასკოლო სწავლებისა და იმ პირველადი დიფერენცირებული განმარტებული კლასების შექმნის გავლენით, რომელსაც ვახორციელებთ მეხუთე კლასიდან. რაც შეეხება დანარჩენ 65%-ს, ისინი სკოლის დამთავრებისას ვერაფერად მტკიცე გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ, რათა შრომის რომელიმე სფეროში დაეფუძვნონ საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ სახეობას; ე. ი. მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა ისე ამთავრებს სკოლას, რომ არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა თავისი მომავლის შესახებ და მხოლოდ შემთხვევებისა და სიტუაციის ცანკარგულებაში რჩება სასკოლო კურსის დამთავრების შემდეგ. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ არამყარი პროფორიენტაციის მქონე მოსწავლეები, გამოკითხვის დროს, პროფესიას ირჩევენ მერვე კლასში იმ მოტივით, თუ როგორი ღირებულება ექნება მისი ამ სფეროში საქმიანობის შედეგს მისი პიროვნებისათვის, — ეს მოტივები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია და, მაშასადამე, პროფესიული განწყობაც სხვადასხვა მიმართულებით მუდგანდება; მეათეკლასელებთან კი, პირიქით, პროფესიის არჩევა ზდება იმ აუცილებლობით, რომლის წინაშეც დგება კურსდამთავრებული საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნების საფუძველზე. არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში პროფესიის არჩევანი არ არის პროფესიული მოწოდებით ნაკარნახევი, რის გამოც არამყარი, მუდამ ცვალებადი და უსაფუძველოა.

ასეთმა ფაქტიურმა მდგომარეობამ, რომელიც ექსპერიმენტულადაა მიღებული, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჯერჯერობით არც სკოლაში, არც მშობლების მიერ და არც მიკროგარემოში არ ზორციელდება ნამდვილი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მუშაობა, რომელიც საჭიროა მოსწავლეთა შორის სწორი პროფესიული ორიენტაციისა და მათ მიდრეკილებათა შესატყვისი ინტერესების ფორმირებისათვის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სისტემა სკოლაში პროფორიენტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სარგებლობას მოუტანს როგორც თვითონ მოსწავლეებს, ისე მთელს საზოგადოებას, ჩააყენებს რა თითოეულ მოსწავლეს თავისი თავის სწორად შეფასების სიტუაციაში და გაათავისუფლებს მათ ზედმეტი ნერვიულობისა და უსაფუძველო, განუხორციელებელი ოცნებისაგან.

წარმოდგინა საქართველოს სსრ ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



# მ კ ო ნ ო მ ი კ ა

## სულით მიჰალოვო

### ზაპისი და საბჭოთა საპარტიო ელემენტარობის დასაწყისი

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი ელემენტარობის უდიდეს მარეგულაციონერებელ როლს ანიჭებდნენ მწარმოებლური ძალების განვითარებაში. ისინი ელემენტარობას თვლიდნენ მსხვილი მრეწველური წარმოების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. თავის მოგონებებში ვილჰელმ ლიბკნეხტი აღნიშნავდა, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში მარქსი ხედავდა რა უდიდეს რეგულაციურ გარდაქმნებს და აღმოჩენებს ბუნების-მეტყველებაში შენიშნავდა, რომ „მისი უდიდებულესობის ორთქლის მეფობა, რომელმაც გასულ საუკუნეში ქვეყნიერება გადაატრიალა, დასრულდა. მის ადგილს დაიკავებს გაცილებით უფრო მძლავრი რეგულაციური ძალა—ელექტრონის ნაპერწკალი. ახლა ამოცანა გადატრიალია, მისი შედეგები უთვალავია. ეკონომიურ რეგულაციას აუცილებლად მოყვება პოლიტიკური რეგულაცია“<sup>1</sup>. კ. მარქსი და ფ. ენგელსი წინასწარ ჰკრებდნენ მწარმოებლური ძალების კოლოსალურ განვითარებას, ტექნიკურ პროგრესს და ამასთან ერთად პროლეტარიატის ზრდას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას და რეგულაციის გზით კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურით შეცვლის აუცილებლობას. ფ. ენგელსი 1883 წ. წერს: „ბერნშტეინისადმი ფრანგი ფიზიკოსის დებრეს ცდების შესახებ, რომელმაც 57 კმ მანძილზე მოახერხა ელემენტარობის განვითარების გასწავლა ჩვენ გარდაუვალად ეს კოლოსალური რეგულაციაა. ორთქლის მანქანამ გასწავლა ჩვენ გარდაუვალად სითბო მექანიკურ ენერგიად, მაგრამ ელემენტარობის გამოყენება გავიხსნის ჩვენ გზას იქითკენ, რომ გარდაუვალად ენერჯის ყველა სახეები — სითბო, მექანიკური მოძრაობა, ელემენტარობა, მაგნიტიზმი, სინათლე — ერთიმეორედ და, პირუკუ და გამოვიყენოთ ისინი მრეწველობაში. სავსებით გასაგებია, რომ ამის წყალობით მწარმოებლური ძალები იმდენად გაიზარდებიან, რომ ბურჟუაზიას მათი მართვა სულ უფრო გაუძნელდება“<sup>2</sup>.

ვ. ი. ლენინმა განავითარა რა მარქსიზმის ფუძემდებელთა იდეოლოგიის ელემენტარობის უდიდესი, გარდაუვალი როლის შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვება შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება განახორციელებს მთელი სახალხო მურწუნობის ელემენტარობის ელემენტარობა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე ქმნის კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილების საბოლოო გამარჯვებისთვის რეალურ საფუძვლებს. „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელემენტარობა“. ასეთია ვ. ი. ლენინის ცნობილი ფორმულა ელემენტარობის როლის შესახებ.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩული ნაწერები, ორ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 89. K. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. XVII, стр. 289.



გ. შ. კრეიანოვსკისადმი 1920 წლის 22 იანვრის წერილში ვ. შ. ლენინი ჩამოაყალიბა პრინციპული მითითებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გეგმის შესადგენად. ეს გეგმა შემდგომ ცნობილი გახდა, როგორც რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო გეგმა — „გოელროს“ გეგმა.

„იგი უნდა მოგვეცეთ ახლავე — სწერდა ვ. ი. ლენინი, — თვალსაჩინოდ, სობულარულად. რათა გავიტაცოთ მასა ნათელი და მკაფიო (საფუძვლით საესეებით მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი) პერსპექტივით: შევუდგეთ მუშაობას, და 10—20 წლის განმავლობაში ჩვენ მთელ რუსეთს, სამრეწველოსაც და სამიწათმოქმედოსაც, ელექტრობის ქვეყნად გავზღვით“<sup>3</sup>. 1920 წლის მარტში სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა წინადადება შექმნილიყო „გოელროს“ (რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია) გ. შ. კრეიანოვსკის მეთაურობით. ეხებოდა რა რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის მიერ შედგენილ გეგმას ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ის ჩვენ გვესაჭიროება, როგორც პირველი მონასახი, რომელიც მთელი რუსეთის წინაშე აღიმართება, როგორც დიდი სამეურნეო გეგმა... რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გადავიყვანოთ რუსეთი კომუნისტებისათვის აუცილებელ ნამდვილ სამეურნეო ბაზაზე... მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ელექტრიფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ“<sup>4</sup>.

შეფასებას აძლევდა რა „გოელროს“ კომისიის მუშაობას ვ. ი. ლენინი საბჭოების VIII ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენს წინაშეა რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგები ამ პატარა ტომის სახით, რომელიც ყველა თქვენგანს დღეს ან ხვალ დაურიგდება. იმედი მაქვს, თქვენ ამ პატარა ტომის არ შეგეშინდებათ. ვფიქრობთ, ჩემთვის ძნელი არ იქნება დაგარწმუნოთ ამ პატარა ტომის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში, ჩემი შეხედულებით, ეს არის ჩვენი მეორე პროგრამა პარტიისა“<sup>5</sup>. — ეს იყო პირველი მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული სახალხომეურნეობრივი გეგმა, ამ გეგმაში განსაზღვრული იყო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად დანგრეული ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის და მისი შემდგომი განვითარების გზები.

კეგმით დასახული იყო, რომ 10—15 წლის მანძილზე აგვეშენებია 20 თბოელექტროსადური და 10 ჰიდრალექტური რაიონული ელექტროსადგური, რომელთა სიმძლავრე იქნებოდა 1 მილიონ 750 ათასი კილოვატი — ერთნახევარჯერ მეტი იმაზე, რაც შეიქმნა ელექტრიფიკაციის მთელი ისტორიის მანძილზე ბურჟუაზიულ-მემამულურ რუსეთში.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრები და ურწმუნოები გოელროს გეგმას დაცინვით უწოდებდნენ „ელექტროფიკაციას“; ამტკიცებდნენ, რომ იგი სამას წელიწადში ვერ შესრულდება. ინგლისელი ფანტასტი პერბერტ უელსი წიგნში — „რუსეთი წყვილიაღში“, რომელიც მან დაწერა მას შემდეგ, რაც 1920 წელს ეწვია ჩვენს ქვეყანას და ესაუბრა ვლადიმერ ილიას ძეს, რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმის შესახებ, წერდა: „განა შეიძლება წარმოდგინოთ ამაზე უფრო გაბედული პროექტი ამ უზარმაზარ ტყით დაფარულ დაბლობ ქვეყანაში, რომელიც დასახლებულია უწიგნური გლეხებით... რომელსაც არა ჰყავს ტექნი-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 462.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 633—635.

<sup>5</sup> იქვე გვ. 632.



ქურად წიგნიერი ადამიანები, სადაც თითქმის ჩამკვდარიც ვაჭრობა და მრეწველობა?.. მართლაც მოკარბებული ფანტაზია უნდა გქონდეს, რომ წარმოიდგინო, თითქოს რუსეთში შესაძლებელი იყოს ასეთი პროექტების განხორციელება, მრავალ ჯადოსნურ სარკეში ვეძებე, მაგრამ ვერსად ვიხილე ეს მომავლის რუსეთი, მაგრამ კრემლი მიცხოვრები ტანმორჩილი კაცი ხედავს ამ რუსეთს“.

სეკტიკოსების და ჩვენი მტრების ყველა „პროგნოზის“ მიუხედავად, საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა და შთააგონებდა ლენინური პარტია, ვიღამღე შეასრულა ვოლროს გეგმა. კაშირისა და შატურის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურების, ცოლზოვის და დნებრის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ შეიქმნა ენერგეტოვის ისეთი გიგანტები, როგორცაა დნებრისპირეთის, კონაკოვის, ბურშტინის, ზმივეის, სტარობუშევსკის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურები; მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები ვოლგაზე, ანგარასა და ენისეიზე, ბელოიარსკისა და ნოვო-ვორონეჟის ატომური ელექტროსადგურები.

ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად სსრ კავშირმა ძირფესვიანად იცვალა სახე. ქვეყანამ ისტორიულად მოკლე ვადაში განახორციელა ნახტომი აგრარულიდან, ინდუსტრიული ჩამორჩენილობიდან მოწინავეს მდგომარეობამდე. 1940 წლისათვის სოციალისტური მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 12-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1913 წლის დონეს. ელექტროენერჯის გამომუშავება ამავე პერიოდში 25-ჯერ გადიდდა. წინ წაიწია სოფლის ელექტრიფიკაციის საქმემ: 1940 წლისათვის სოფლის 108 ათასი ელექტროსადგურის სიმძლავრემ 275 ათას კილოვატს მიაღწია. ხოლო ენერჯის გამომუშავებამ — 425 მილიონ კილოვატსათს. ამასთან, მრეწველობის ელექტრიფიკაციის კოეფიციენტის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა. თუ 1926 წელს ელექტროენერჯის გამომუშავების მიხედვით სსრ კავშირი მსოფლიოში მე-11 ადგილზე იყო, 1940 წელს იგი უკვე მესამე ადგილზე გამოვიდა, ომის შემდგომ წლებში სსრ კავშირის ელექტროენერჯეტის განსაკუთრებით ჩქარი ტემპით იზრდება. მძლავრ თბოსადგურებთან ერთად მწყობრში ჩადგნენ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები ვოლგაზე, დნებრზე, ციმბირის მდინარეებზე. 1952 წლიდან ელექტროენერჯის წარმოების მიხედვით სსრ კავშირს მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია, იგი ფეხდაფეხ მიყვება ამერიკის შეერთებულ შტატებს და დიდ აღწრებს წინ ყველა დანარჩენ ქვეყნებს.

პარტიამ და მთავრობამ, ასრულებენ რა ლენინის იდეას სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის ძირეულად გარდაქმნის შესახებ, უკვე გოვლროს გეგმაში წამოაყენეს მისი მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ინტენსიფიკაციის ამოცანები. ლენინის კოპერატიული გეგმის განხორციელებამ, თანამედროვე მანქანებით, ელექტროენერჯით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფამ, ძირეულად გარდაქმნა ჩვენი სოფლის მეურნეობა, უკვე 1970 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ელექტროძრავების სიმძლავრე თერთმეტჯერ აღემატებოდა რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ელექტროენერჯეტის დარგში უდიდესი მიღწევები იქნა მოპოვებული, აგრეთვე, წინათ ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკებში, — კერძოდ, საქართველოში.



ცნობილია, რომ მრეწველობა მეფის რუსეთში, განვითარებული ლისტურ ქვეყნებთან შედარებით, არ იდგა მაღალ დონეზე. 1913 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა: მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან რუსეთში — 78 მანეთი, ხოლო საქართველოში — 18 მანეთი (ოთხჯერ ნაკლები); გამოშვებული ელექტროენერჯია რუსეთში — 13,7 კვტსაათი, საქართველოში — 7,6 კვტსაათი; ხოლო მექანიკური ძრავის სიძლიერე რუსეთში ათჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოში. პირველმა მსოფლიო ომმა მოშალა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სუსტად განვითარებული მეურნეობრივი ორგანიზმი. საქართველოს სახალხო მეურნეობა, და განსაკუთრებით მრეწველობა, კიდევ უფრო გაჩანაგდა მენშევიკების ბატონობის წლებში. აღნიშნულ ხანაში არცერთი ელექტროსადგური არ აგებულა და არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრე რამდენადმე კიდევ შემცირდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილობის აღმოფხვრა და მძლავრი ელექტროენერჯეტიკული ბაზის შექმნის შედეგად, მისი ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვახდა შესაძლებელი. განხორციელდა მრეწველობის, ტრანსპორტის, კრედიტის ნაციონალიზაცია, რაც დარღვეული სახალხო მეურნეობის განვითარების ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა მისი ეკონომიკური დაწინაურების საქმეს. აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიეთის რესპუბლიკის კომუნისტებს ვ. ი. ლენინი 1921 წ. 14 აპრილის ისტორიულ წერილში სწერდა: „მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი... ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყეთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები“<sup>5</sup>. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის აღმოფხვრა და მისი ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევა თვით ოქტომბრის რევოლუციის ბუნებიდან გამომდინარეობდა.

ცნობილია, რომ გოელროს გეგმის შედგენის პერიოდში, 1920 წელს საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკაში არ იყო დამყარებული, ამიტომ გეგმის ავტორებმა შეადგინეს კავკასიის ელექტროფიკაციის საერთო მონახაზი: კერძოდ, გათვალისწინებული იყო ჰიდროენერჯორესურსების მაქსიმალურად გამოყენება.

გოელროს გეგმაში მოცემული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების (ქვანახშირის, მარგანეცის, ჰიდროენერჯეტიკული) საბოლოო სიმდიდრის ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი. საქართველოში გოელროს სახელმწიფო პერსპექტიული გეგმით, გარდა ზაქვისისა გათვალისწინებული იყო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აშენება მდ. რიონზე 48,7 ათასი კვტ სიმძლავრით. რიონის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯისა და ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე გათვალისწინებული იყო ფერომარგანეცის წარმოების ორგანიზაცია. ნაწილი ელექტროენერჯისა უნდა მოხმარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის გარკვეული უბნის, პირველ რიგში სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის და მრეწველობის სხვა დარგებს. საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ელექტრი-

<sup>5</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 398—399.

ფიკაციის საკითხების განხილვისას გოელროს კომისიის მოხსენებაში ნახვებშია: „ამჟამად და ამ მოხსენებაში, ადგილზე დაწერილებით გამოკვლევათა ჩატარებლად, შეუძლებელია თუნდაც მიახლოებით განისაზღვროს ის დატვირთვა, რომელიც შეიძლება წილად ზედეს გეგმით დასახული პირველი რიგის ძალოვან დანადგარებს მორწყვისათვის, წყლის აწვივის ან წყლისაგან ახალი ფართობის წართმევის სამუშაოებთან დაკავშირებით“<sup>6</sup>.

1921 წელს ელექტროსადგურთა ნაციონალიზაციის შემდეგ თბილისში არსებული ელექტროსადგურები გადაეცა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს, თბილისის აღმასკომს და იმავე წლის აპრილში დაარსდა ელექტრონის სადგურების სამმართველო, რომლის ხელში 17 ელექტროსადგური გადავიდა, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ელექტროსადგურები, ჩანს იქიდანაც, რომ ჩაბარებისთანავე მათი უდიდესი ნაწილის მუშაობა შეჩერებულ იქნა, რადგან მოსალოდნელი იყო კატასტროფა. მუშაობდა მხოლოდ რამდენიმე საიმედო სადგური, ნახევარი წლის განმავლობაში წარმოებდა სადგურების შეკეთება და 1922 წლის 1-ლი იანვრისათვის ქალაქის ელექტროსადგურთა სიმძლავრე 1320 ცხ. ძალიდან გადიდებულ იქნა 1787 ცხენის ძალამდე.

მიუხედავად ყოველი ღონისძიებისა, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ახორციელებდა ჩვენი დედაქალაქის ელექტროენერჯით მომარაგების გასაუმჯობესებლად, მდგომარეობა ამ მხრივ მაინც უღარესად არასახარბიელო იყო, ამიტომაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჰიდრომშენი კვლავ განაგრძობდა მუშაობას ქ. თბილისისათვის მძლავრი ელექტროსადგურის აგების პროექტების შესამუშავებლად.

ჰიდრომშენმა დაამუშავა ინჟინერ ოვანეს მელიქ-ფაშაევის მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგებას.

იარაღების საშუალებით წინასწარ გამოკვლევა ჩატარდა 1921 წელს, თანაც მსჯელობდნენ ინჟ. ა. ვაწიძის პროექტზედაც, რომელიც ითვალისწინებდა 10000 ცხ. ძალიანი ორთქლის ცენტრალური სადგურის აგებას, თბილისიდან 12 კილომეტრის დაშორებით, ავჭალის წყალსადენისათვის ენერჯის მიწოდებით.

საკითხის ამგვარად გადაჭრის წინააღმდეგ გამოვიდა სპუსის ჰიდრომშენი და მართლაც სრულიად გაუმართლებელი და ეკონომიკურად მიზანშეუწონელი იყო სათბობი მასალით მოქმედი სადგურის აგება თბილისში, რომელიც გარშემორტყმული იყო მძლავრი ჰიდრორესურსებით. უკანასკნელ მოსაზრებას მხარს უჭერდა საქართველოს სსრ ინჟინერ-ტექნიკური საზოგადოებაც.

საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა შექმნა განსაკუთრებული კომისია (1922 წ. 6.VI), სადაც შევიდნენ: პროფ. ა. ვასილიევი, ნ. ზვორიკინი, ვ. ქვენიკოვი, ლ. კონიუშევსკი, კოსტინი, ო. მელიქ-ფაშაევი, ა. ფირალიშვილი და გამოჩენილი ქართველი ინჟინერ-ენერგეტიკოსი ბესარიონ ჭიჭინაძე. კომისიას ხელმძღვანელობდა რ. კვანაძე.

კომისიამ წარმოდგენილი პროექტების დეტალურად შესწავლის შემდეგ აირჩია სპუს-ის ჰიდრომშენის მიერ შედგენილი ზაქსის სქემა, რომლის უპირატესობას შეადგენდა: ხელსაყრელი ჰიდროგრაფიული, ტოპოგრაფიული და

<sup>6</sup> «План ГОЭЛРО», М., 1955, стр. 589, 587.



გეოგრაფიული პირობები; დედაქალაქთან სიახლოვე, ზაპესის უპირატესობა იმიტომ გამოიხატებოდა, რომ იგი მდებარეობდა სარკინიგზო მაგისტრალთან და გზატკეცილთა ახლოს, რაც რა თქმა უნდა, აადვილებდა და აიაფებდა მშენებლობის გაწყობილებითა და სამშენებლო მასალით მომარაგებას. ამ კომისიამ საკითხის ეკონომიკურად შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ „ტფილისის, როგორც მოსახლეობის პომასხურების საქმეში, ისე მრეწველობის საწარმოთა ელექტროენერჯით უზრუნველყოფის ერთადერთი სწორი გზა — ეს არის ჰიდროელექტროსადგურის აგება“<sup>7</sup>.

უფრო ადრე, სახელდობრ, იმავე წლის 23 მაისს მუშებისა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭომ მიიღო დადგენილება: „დაწყებულ იქნას ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 12000 ცხ. ძალის სიმძლავრის, — ქალაქ თბილისის ელექტრიფიკაციის სმუს ჰიდრომშენის პროექტის მიხედვით<sup>8</sup>. ეს დადგენილება თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა თავის 1922 წლის 27 მაისის სხდომაზე და შემდეგ იგი განხილულ იქნა თბილისის აღმასკომის პლენუმზედაც<sup>9</sup>.

1922 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციის მთავრობამ ვ. ი. ლენინის განკარგულებით საქართველოს გამოუყო 750000 ოქროს მანეთი ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. იმავე 1922 წლის 10 სექტემბერს გრანდიოზული შაბათობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისისა და საქართველოს სხვა რაიონის მცხოვრებლებმა (4500-მდე კაცმა) საფუძველი ჩაეყარა ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის პირშოს — ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. სამშენებლო სამუშაოების სამმართველოს უფროსად დაინიშნა ინჟინერი ა. ფირალიშვილი, ხოლო 1923 წლიდან — ცნობილი ქართველი ინჟინერ-ენერგეტიკოსი ბესარიონ ჭიჭინაძე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა მთელი მშენებლობა.

ზაპესის ცენტრალური სადგურისა და ზოგიერთ სხვა ელექტრონაგებობათა არქიტექტორული ვადაწყვეტა ეკუთვნის არქიტექტორებს: ა. კალგინს, მ. მაქავარიანს და კ. ლეონტიეს. პროექტების განხილვაში თავის დროზე მონაწილეობდნენ: გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები ი. ჯავახიშვილი, პროფ. გ. ჩუბინაშვილი, ხუროთმოძღვარი ნ. სევეროვი.

ზაპესის მშენებლობა მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის მძიმე ფინანსური მდგომარეობის პირობებში. იმ დროს საბჭოთა კავშირში არ არსებობდა არცერთი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ივალდებულებდა ფინანსების გეგმიან მოწოდებას ამ გვარი წამოწყებისათვის, ამასთანავე ცხადი იყო, რომ თბილისის საბჭოს თავისი საკუთარი ბიუჯეტიდან არ შეეძლო გამოეყო საჭირო თანხები მშენებლობისათვის, რადგანაც მისი საბიუჯეტო შემოსავალი ადმინისტრაციულ და სამეურნეო ხარჯებსაც ძლიერს ჰყოფნიდა.

ამასთან დაკავშირებით თბილისის საბჭომ მოთხოვნით მიმართა რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რომ მიეცა გრძელვადიანი სესხი 1 მილნ. მანეთის რაოდენობით. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, შრომისა და თავდაცვის საბჭომ თავის 1923 წლის 16 იანვრის სხდომაზე მიიღო სპეციალური დად-

<sup>7</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 14, აღწ. 601, ფურც. 107.

<sup>8</sup> საქ. ცსიკ, ფ. 600, ნაწ. 1, საქმე 317, ფურც. 21.

<sup>9</sup> საქ. ცსიკ, ფ. 600, ნაწ. I, საქმე 317, ფურც. 6, 8, 9, 11, 12.



გენილება ზაქესის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: "1. ცნობილ იქნას პედაგოგიური, რომელიც სადგური, რომელსაც მ. და გ. დ. თბილისის საბჭო აგებს მდ. მტკვარზე ზემო ავკლასთან (თბილისი), საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ.

2. დაევალოს ფინანსთა კომისარიატს შეიტანოს 1922—1923 წლის საოქტომბრული ბიუჯეტში კრედიტი ერთი მილიონი მანეთის ოდენობით ოქროთი იმ მიზნით, რომ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიეცეს გრძელვადიანი სესხი მ. და გ. დ. თბილისის საბჭოსათვის აღნიშნული ჰიდროსადგურის ასაგებად<sup>10</sup>.

მიუხედავად ამისა ზაქესის მშენებლობა თავიდანვე ვანიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს, ეს იყო პერიოდი, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო მთელ ძალებს ახმარდა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. ამისათვის ჩვენ იძულებული ვიყავით გავვეწიას სასტიკი ეკონომია და მომჭირნეობა თვით სასკოლო მშენებლობაზეც კი. 1922 წლის მეორე ნახევრიდან თბილისის საბჭომ გადაწყვიტა ყოველთვიურად გაეღო საიჯარო და საგადასახადო შემოსავლიდან 6000 მანეთი, გარდა ამისა, მშენებლობის განკარგულებაში გადაეცა ქალაქის მეურნეობიდან შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შემოსავალი.

ზაქესის სამშენებლო კომიტეტი შემდგომ წლებში მნიშვნელოვან თანხებს იღებდა ქ. თბილისის საბიუჯეტო საშუალებებიდან. ამ თანხების საერთო რაოდენობა 2767493 მანეთს შეადგენდა.

ზაქესის მშენებლობას სესხი გამოეყო აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის 1923 წლის 8 თებერვლის დადგენილებით იმ სახსრების ფონდიდან, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო საზოგადოება „ჩემო“-საგან იღებდა გადასახადის 35 %-ს ანგარიშში. ამ წყაროდან მშენებლობის მთელ პერიოდში სულ მიღებულ იქნა 3606910 მანეთი, რომელსაც უნდა გამოაკლდეს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით რიონპესისათვის გადაცემული ელექტრომექანიკურ გაწყობილებათა ღირებულება 751052 მან და ამგვარად საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიერ გაცემული თანხა ზაქესის მშენებლობისათვის, — რაც აღნიშნულია კიდევ დასკვნით ბალანსში, — გამოიხატა 2655858 მანეთში<sup>11</sup>.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა. მშენებლობას მაინც არ ჰყოფნიდა ფულადი და მატერიალური რესურსები მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო მთავრობა განუწყვეტლივ უზრუნველყოფდა ზაქესის მშენებლობას მასალებითა და ფინანსური საშუალებებით. თუ სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის ეკონომიურ პირობებს ვაკითხავთ, უნდა ითქვას რომ საბჭოთა მთავრობამ ზაქესის მშენებლობას უხვი ფინანსური დახმარება გაუწია, მაგრამ, მშენებლობის ფინანსურ სიძნელეებს ესეც მთლიანად არ ხსნიდა; ამიტომაც სადგურის წარმატებით შენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკური ორგანოების მიერ ამ საქმისათვის ადგილობრივი რესურსების გამოთხარება და მობილიზაციის უნარს, მშენებლობისადმი მათს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მხარდაჭერა და ის მშენებლობითი პათოსი, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი ქვეყა-

<sup>10</sup> ЦГАНХ (Центральный Государственный архив и/хозяйства) СССР, ф. 4372, оп. 4, д. 40, л. 130.

<sup>11</sup> Ком. ЗАГЭС. Отчет о сооружении ЗАГЭС-а, Тб., 1922, стр. 10—11.



ნა მშვიდობიანი სოციალისტური განვითარების რელსებზე გადასვლის შემდეგ ესმარებოდა საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ზაქესის მშენებლობის ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვაში.

ჰიდროელექტროსადგურის თავდაპირველ სიმძლავრედ გათვალისწინებული იყო 36000 ცხ. ძალა, მაგრამ პროექტის შემდგომი დამუშავების შემდეგ იგი აყვანილ იქნა 54000 ცხ. ძალამდე. ძირითადი სამუშაოები ზაქესის საშენებლო ობიექტებზე გაგრძელდა სამ წელიწადნახევარს: 1923 წლის მაისიდან — 1926 წლის 1 სექტემბრამდე; მართალია, ზაქესის ოფიციალური გახსნა მოეწყო 1927 წლის 26 ივნისს, მაგრამ მისი ექსპლუატაცია უფრო ადრე დაიწყო. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ზემოაეჭალის ჰიდროელექტროსადგურს ეწოდა ვ. ი. ლენინის სახელი.

ზაქესის ამუშავებასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტი“ 1927 წლის 3 ივლისს წერდა: „...სახლი დიდი ხნის ნანატრ ზაქესის შუქს დიდი სიხარულით შეხვდა, იგი დარწმუნდა, რომ გიგანტური ნაბიჯი აღმშენებლობაში უკვე გადადგმულია, ზაქესის დამთავრებით... ზაქესის ამუშავებით დასვენებს ჩვენი ტყეები, დიზოგება ნავთი, ქვანახშირი, ზაქესის ენერჯია აამუშავებს ფაბრიკებსა და ქარხნებს, გაანათებს ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებს, გადავიღებს და დააჩქარებს მიმოსვლას... ზაქესი ჩვენი აღმშენებლობის ბრწყინვალე მიღწევაა. იგი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ გვაძლევს საშუალებას დაზოგვისას. იფიქტროენერჯია გააიფებს ჩვენს საწარმოებს, გარდა ამისა ძლიერი ელექტროდენის საშუალებით უკეთ იმუშავებენ მანქანები, აიწვეს შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდება საწარმოების ხარისხი, ვ. ი. ზაქესი რაციონალიზაციის ნიშნავა“<sup>12</sup>. ზაქესის აგებით დასრულდა საქართველოს ელექტრიფიკაციის პირველი ეტაპი და დაიწყო მეორე ეტაპი — მთელი სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის კურსზე გადასვლა.

ზაქესის აგება, ამასთანავე, დაემთხვა სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს. საბჭოთა საქართველოსა და საერთოდ სსრ კავშირის მრეწველობის, მთელი სახალხო მეურნეობის პირველი მსოფლიო ომის წინა დროის აღდგენა, რა თქმა უნდა არ ნიშნავდა საქართველოს მრეწველობის განვითარებას. საბჭოთაშდელი მრეწველობა კაპიტალისტურ ინდუსტრიულ წარმოებას შეადგენდა, საბჭოთა მრეწველობის ძირითადი ბირთვი კი სოციალისტური ინდუსტრიული წარმოება იყო. ამიტომ საბჭოთა ინდუსტრიული წარმოების აღდგენითი პროცესი, განსაკუთრებით ცენზიანი მრეწველობის მიმართ, არსებითად სოციალისტური მრეწველობის განვითარებას მოასწავებდა, სოციალისტური მსხვილი ინდუსტრია უფრო ინტენსიურად იზრდებოდა და შესაბამისად მისი განმსაზღვრელი როლი მრეწველობასა და მთელს სახალხო მეურნეობაში ძლიერდებოდა.

მიმე ინდუსტრიის შემდგომ ინტენსიურ მშენებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის განხორციელებაში, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციულ გარდაქმნაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ელექტროენერგეტიკული ბაზის რაც შეიძლება დაჩქარებით შექმნაში მდგომარეობდა.

<sup>12</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1927, 3 ივლისი.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე იქმნებოდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგები, როგორცაა: ნავთობის გადამამუშავებელი მრეწველობა, ცემენტის მრეწველობა; ვითარდებოდა ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა; დიდ მნიშვნელობას იძენდა სარკინიგზო ტრანსპორტის დაჩქარებით განვითარება.

ძირითად, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას განსაზღვრავდნენ და განსაზღვრავენ, ენერგეტიკული ბაზა წარმოადგენს, უკვე, 1970 წლისათვის სსრკ ელექტროსადგურების სიმძლავრემ მიაღწია 166 მილიონ კილოვატს, რაც 140-ჯერ სჭარბობს მის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიას — 1920 წელს, როცა მიღეს გოელროს გეგმა, დღეს საბჭოთა საქართველოში იწარმოება ვაცილებით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მეზობელ კაპიტალისტურ თურქეთში, თუმცა ამ უკანასკნელის ტერიტორია 11-ჯერ აღემატება საქართველოსას, რომ წარმოადგენს ვიკონიით ჩვენი რესპუბლიკის ელექტრიფიკაციის მასშტაბზე და ტემპზე, შედარებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ რევოლუციამდელი მთელი რუსეთის ელექტროსადგურების წლიური გამოიმუშავება უდრიდა 2 მილიარდ კილოვატსაათს, 1976 წელს საბჭოთა საქართველოში წარმოებული იყო 12 მილიარდ 71 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ახლა სსრკ-ს ელექტროსადგურები 1 წუთში გამოიმუშავებენ 200 მილიონ კვტსაათ ელექტროენერგიას.

მეათე ხუთწლეულის დამლევისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 18—19 მილიარდი კვტსაათი ელექტროენერგიის წარმოება. დამთავრდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ჰიდროენერგეტიკაში კვლავ უპირატესი მნიშვნელობა მიეცემა დიდი ჰიდროკვანძების მშენებლობას, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ კომპლექსურად გადავწყვიტოთ ელექტროენერგიის წარმოების, მიწების მოპყვის, ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების წყლით უზრუნველყოფის, ნაოსნობისა და მეთევზეობის განვითარების, წყალდიდობის თავიდან აცილების ამოცანები.

სკკ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნას დაუთმო. საბჭოთა კავშირში ენერგოსისტემის შექმნის პროცესი განუყოფლად დაკავშირებულია ელექტრიფიკაციის განვითარებასთან, კერძოდ ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდასთან და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ფართო მშენებლობასთან. ჩვენს ქვეყანაში პირველი ენერგოსისტემა შეიქმნა 1921 წელს მოსკოვში, შემდეგ კოლენინგრადში, ბაქოში, გორკში, დონბასში, ურალსა და სხვაგან. საქართველოში ელექტროენერგეტიკის განვითარების შესაბამისად ყალიბდებოდა საქალაქო და რაიონული ენერგოსისტემები, რომელთა ბაზაზეც შემდგომ შეიქმნა რესპუბლიკის ერთიანი ენერგოსისტემა, ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებშიც; ამის შედეგია, რომ ამჟამად შექმნილია ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემა, რომელიც, თავის მხრივ დაკავშირებულია სსრკ ევროპული ნაწილის მთლიან ენერგოსისტემასთან. სსრკ ერთიანი ენერგოსისტემის შექმნისას სიმძლავრეთა ისეთი რეზერვები იქნება, რომ შესაძლებელი იყოს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებთან ელექტროენერგიის ევროპულ ნაწილში გადაცემა და მისი დაკავშირება სხვა სოციალისტური ქვეყნების ენერგოსისტემებთან.

სსკპ XXV ყრილობის დირექტივების შესაბამისად, მიმდინარე მე-10 ხუთწლიელში უნდა განხორციელდეს სათანადო მოსამზადებელი საშუალებები დიდძალი ელექტროენერჯის მისაწოდებლად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებიდან ცენტრალურ რაიონებში, გაგრძელდება მუშაობა სსრ კავშირის ერთიანი ენერგოსისტემის შესაქმნელად. დირექტივებში ნათქვამია: „განვავაჭროთ მუშაობა, რათა შევქმნათ ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა ევროპის ენერგეტიკულ სისტემასთან ციბირისა და შუა აზიის ენერგოსისტემათა გაერთიანების, 500, 750 და 1150 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი მაკსიმალური ხაზების მშენებლობის გზით“.

ენერგოსისტემების შექმნას უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ენერგოსისტემა ცენტრალურებული ელექტრომომარაგების ორგანიზაციული და ტექნიკური საფუძველია.

სსრკ ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა საშუალებას მოგვცემს მაქსიმალური ეფექტურობით გამოვიყენოთ, როგორც ჰიდრო, ისე თბოელექტროსადგურების სიმძლავრეები; უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ელექტროენერჯიაზე და აღმოვფხვრათ დატვირთვის პიკები, რომლებსაც კიდევ ადგილი აქვს; განვავაჭროთ ტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ქალაქისა და სოფლის საყოფაცხოვრებო მეურნეობის მასობრივი ელექტრიფიკაცია, გავადიდოთ ელექტრომომარაგების სიღრმეობა და გავზარდოთ ელექტროსადგურების ექსპლოატაციის მანერვულობა; საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას მოვახმაროთ ჰიდროენერგეტიკული და სხვა რესურსები. მიუხედავად მათი ტერიტორიული განლაგებისა, მკვეთრად შევამციროთ საავარიო სარეზერვო სიმძლავრეები, უზრუნველვყოთ ელექტროენერჯის თვითღირებულების სისტემატური შემცირება და ამ საფუძველზე მომხმარებლებისათვის იაფი ელექტროენერჯის მიწოდება და სხვა.

ენერგეტიკული სისტემის ამ ეკონომიკური ეფექტიანობის რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა: მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და სადაბლებელი ქვესადგურების განვითარება, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ იყო და არის დაკავშირებული ელექტროენერგეტიკის ზრდასთან. საქართველოს სსრ ელექტრიფიკაციის მთელი განვითარება მოწმობს, რომ, ელექტროსადგურების სიმძლავრეთა გადიდებასთან ერთად, იზრდებოდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე და სადაბლებელი ქვესადგურების დადგმული სიმძლავრე.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ზემოთ აღნიშნეს „ზაპვის“ ამოქმედების 50 წლისთავი, ეს იყო მეორე ჰიდროელექტროსადგური „ვოლხოვჰესის“ შემდეგ, აშენებული „გოელროს“ გეგმით. 1933 წლის სექტემბერში მწყობარში ჩადგა მეორე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური — რიონჰესი. ამასთანავე აშენდა 110 კილოვატიანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი რიონჰესი — ზაპესი. ზემოაღნიშნული ენერგეტიკული ობიექტების საქსპლოატაციოდ გადაცემის დღეს საქართველოში შეიქმნა ენერგოსისტემა.

მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა და რესპუბლიკის ენერგოსისტემა თავისი სიმძლავრისა და ელექტროენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურით გაიზარდა და გადაიქცა მძლავრ, ტექნიკურად რთულ ენერგოსისტემად. ელექტრიფიკაციის სწრაფ განვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გასულ ხუთწლიელში ენერგოსისტემას შეემატა 560 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავ-

რეები, აშენდა 500 კილოვატი ძაბვის ხაზი თბილისიდან ზესტაფონამდე, აიგო 1 მილიონი კილოვატამპერი სიმძლავრის უდიდესი ქვესადგური; მკვეთრად გაძლიერდა აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სამხრეთ საქართველოს რაიონების, სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის მთიანი რაიონების ელექტრომომარაგება, 1976 წელს სხვადასხვა ძაბვის გადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ 80 ათას კილომეტრს მიადწია. ახლა საქართველოს დასახლებული პუნქტების 99 პროცენტი ელექტრიფიცირებულია. დამთავრდა ევროპაში ყველაზე მაღალი დასახლების — სოფელ უშგულის ელექტრიფიკაცია, რაც პარტიისა და მთავრობის მიერ სვანეთის ელექტრიფიკაციის განხორციელებისათვის დასახული დიდი მიზნების ერთ-ერთი საბოლოო პუნქტი იყო.

მეათე ხუთწლეულში საქართველოს ენერგეტიკის მშენებარე მთავარი ობიექტები უნდა ამოქმედდეს და ელექტროსადგურების გამომუშაება 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს. კვლავაც გაგრძელდება მძლავრი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, განხორციელდება ამურ-კავკასიის ენერგოგაერთიანების დაკავშირება ევროპის სისტემასთან, უფრო მძლავრი — 500 კილოვატი ელექტროგადამცემი ხაზით გაიზრდება რესპუბლიკის შიდა ელექტროქსელებიც.

საქართველოში მშენებლობის პროცესშია რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა შორის ენგურჰესი ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური იქნება მთელ აზიურკავკასიაში. ენგურჰესის სიმძლავრე 15-ჯერ, ხოლო გამომუშაება 25-ჯერ გადააჭარბებს ხრამჰესს. ენგურჰესის მშენებლობის პროცესში მიღებული დაგეგმარების და თვით მშენებლობის მდიდარი პრაქტიკა საწინდარი მომავალში მრავალი ახალი მაღალმწარმოებლური ჰიდროელექტროსადგურების გამოსავლენად; უფრო მეტიც, ენგურჰესის მშენებლობაზე მიღებული მდიდარი გამოცდილება ხელს შეუწყობს, საერთოდ, სსრ კავშირში მაღალწნევიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას.

ამრიგად სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული ელექტრიფიკაციის პროგრამულ სამუშაოთა განხორციელება უზრუნველყოფს ელექტროენერგიაზე სახალხო მეურნეობის სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას და ამით კიდევ უფრო დააჩქარებს ჩვენი რესპუბლიკის მწარმოებლურ ძალთა ახალ, მძლავრ აღმავლობას.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა



ნაწილი პირველი

პირითადი წარმოებრივი ფონდები და მეცნიერულ-ტექნიკური  
პროგრესის მაჩვენებლები საქართველოს სსრ  
ქიმიურ მრეწველობაში

სკკ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებამი განსაკუთრებული როლი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ეკუთვნის, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების განსაზღვრელ ფაქტორთა შორის. სკკ XXV ყრილობაზე აშხ. ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში აღნიშნულია: „როგორც ქვეყნის მიმდინარე, ისე უფრო ხანგრძლივი განვითარების ინტერესები მოითხოვენ წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომლებიც წარმოების ეფექტიანობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორებია. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ავამაღლოთ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ყოველი ერთეულის უკუგება; ეფექტიანად გამოვიყენოთ საწარმოო ფონდები“<sup>1</sup>.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ზდება შრომის იარაღების სისტემატური სრულყოფა, უმჯობესდება ტექნოლოგია, მაღლდება წარმოებაში გამოყენებული შრომის იარაღების ხარისხი, იქმნება და გამოიყენება ახალი სახის ნედლეული, მასალები, ენერჯის წყაროები. ამდენად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება წინა პლანზეა წამოწეული: „ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ახლანდელი ეტაპის დიდმნიშვნელოვან თავისებურებას განსაზღვრავს აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც სწრაფად ვითარდება. სოციალიზმი, გეგმიანი სოციალისტური მეურნეობა მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივი პროგრესის უაღრესად ფართო სარბიელს გვისაჩვენებს. ამავე დროს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მოითხოვს ჩვენი სამეურნეო საქმიანობის ბევრი მხარის სრულყოფას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს უდიდესი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს სოციალიზმს, მაგრამ მას ნამდვილად კარგად უნდა დავეფუძოთ“<sup>2</sup>.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი თავის გამოხატულებას პოულობს წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტექნიკების დაჩქარებაში, წარმოების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციაში, სახალხო მეურნეობაში ატომური ენერჯის გამოყენებაში და სხვ. საწარმოთა როლი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში განსხვავებულია, მაგალითად: ქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობასა და ზოგიერთ სხვა დარგში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოხატულებაა ახალი ტექნიკის დანერგვა, წარმოებრივი პროცე-

<sup>1</sup> სკკ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 169.

<sup>2</sup> სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 51.

სების სრულყოფა, ისეთი ახალი მასალებისა და ნედლეულის შექმნა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მატერიალური წარმოების სხვა დარგებშიც. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამომხატულებას ქიმიურ მრეწველობაში, უპირველეს ყოვლისა, საწარმოო აპარატის თვისებრივი სრულყოფა წარმოადგენს — აპარატის, მანქანის, აგრეგატის ერთეული სიმძლავრის გადიდება და ნედლეულის ბაზის შეცვლა — ძვირად ღირებული ბუნებრივი ნედლეულიდან ხელოვნურ, ან უფრო იაფ სხვა ნედლეულზე გადასვლა.

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების — ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარება.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ქიმიურ მრეწველობაში, სხვადასხვა კონკრეტული ფორმის მიუხედავად, იგივე ძირითადი მიმართულებები ახასიათებს, რაც მრეწველობას მთლიანად: წარმოების ელექტრიფიკაცია, მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ქიმიზაცია. ამასთან, რაც უფრო მაღალია აღნიშნული მიზენებლები, მით უფრო მაღალია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონე.

ქიმიკა და წარმოების ქიმიური მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მწარმოებლურ ძალთა განვითარებასა და კაცობრიობის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში, რაც განსაკუთრებით შესაძინევი გახდა XX საუკუნის დასაწყისიდან; რამდენადაც ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება (იქნება ეს კვების პროდუქტები, ტრანსპორტი, თუ ფეხსაცმელი...) მტკიცედ დაუკავშირდა ქიმიური მრეწველობის განვითარებას, ამასთან დიდად გაიზარდა ქიმიისა და ქიმიური ინდუსტრიის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა წარმოების ყველა დარგში განაპირობა ახალი თვისებების მქონე მასალების წარმოქმნა. ახალი ტექნიკის შესაქმნელად მეტად ვიწრო აღმოჩნდა ტრადიციული მასალების (მაგი და ფერადი ლითონები, მერქანი და მინა) წრე, საჭირო მასალები მხოლოდ ქიმიამ მოგვცა, თავდაპირველად ესენი იყო სინთეზური კაუჩუკი და რეზინა, შემდეგ კი პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები.

სოფლის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ანალიზმა ომისშემდგომ პერიოდში გამოავლინა ერთი საერთო ტენდენცია. მატერიალური წარმოების დარგების ტექნიკური დონის საერთო ამაღლებასთან ერთად სულ უფრო სწრაფად იზრდება მათი ქიმიზაციის ხარისხი. სავარაუდოა, რომ მომავალში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება, რასაც განაპირობებს რიგი მუდმივად მოქმედი ფაქტორები, რომელთაგან უმთავრესია:

1. ქიმიურ პროცესებზე დაფუძნებულ წარმოებათა მაღალი ეფექტურობა და ამ წარმოებებში შრომის მაღალი მწარმოებლურობა;
2. სახალხო მეურნეობისა და, განსაკუთრებით, მისი ახალი დარგების მოთხოვნათა განუხრელი ზრდა, ახალი თვისებების მქონე სხვადასხვა მასალებზე;
3. ქიმიის სულ უფრო მზარდი როლი სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაციაში, საკვები ნედლეულის გამოთავისუფლება ტექნიკური მიზნით ზარჯისაგან და სახალხო მოხმარების საქონელთა წარმოებისათვის სანედლეულო ბაზის გაფართოება;



4. ქიმიის მზარდი შესაძლებლობანი ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების ავადმყოფობებთან, აგრეთვე გარემოს გაჯანსაღებისათვის საბრძოლველად<sup>3</sup>.

რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება. მრეწველობის ახალი პროგრესული დარგების შექმნამ, რომლებიც განსაზღვრავენ მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონესა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, განაპირობა პროგრესული დარგების ზვედრითი წონის მნიშვნელოვანი ამაღლება მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში; ასე მაგალითად: თუ 1940 წელს ენერჯეტიკის, ქიმიურ და ნავთობქიმიური მრეწველობის, შავი მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის ზვედრითი წონა მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში 10 %-ს შეადგენდა, 1960 წელს — 20, 1 %-მდე, 1970 წელს — 26,5 %-მდე, 1975 წელს — 30,4 %-მდე გაიზარდა. აღნიშნული დარგებიდან თითქმის ყველაზე მეტად გაიზარდა ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობა: თუ 1940 წელს საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მასზე მხოლოდ 0,6 % მოდიოდა, 1960 წელს — 2,4 %, 1970 წელს — 4,7%-მდე, ხოლო 1975 წელს — 5,3 %.

თანამედროვე ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობა საქართველოში წარმოდგენილია 49 საწარმოთი (1975 წლის მონაცემებით), აქედან: 3 ეკუთვნის ქიმიურ-ფარმაცევტულ მრეწველობას, 5 — ნავთობქიმიურს, ხოლო 41 — საკუთრივ ქიმიურ მრეწველობას. ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ქიმიური მრეწველობის ზვედრითი წონა, ძირითადი წარმოებრივი ფონდების მიხედვით, 1975 წელს 93,4 %-ს შეადგენდა. ქიმიური მრეწველობა, თავის მხრივ, რამდენიმე ქვედარგისაგან შედგება, ესენია: სამთო ქიმია, ქიმიური ბოჭკო, სინთეზური ფისები და პლასტმასები, ლაქ-საღებავები, საყოფაცხოვრებო ქიმია და სხვ.

უნდა აღინიშნოს რომ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის დარგთა მრავალფეროვნება შედარებით აძნელებს მის შესწავლას, თანაც დარგები მეტად განსხვავებული ტექნოლოგიით ხასიათდებიან. ამიტომ, მდგომარეობის გამარტივების მიზნით, ჩვენ ვადაწვევით საერთო მსჯელობა წარემართოთ მთლიანად დარგის — ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობის — მიმართ, განსაკუთრებით კი ქიმიური მრეწველობის მიმართ, ხოლო აქედან ცალკე დავახასიათოთ ქვედარგები — სამთოქიმიური, ძირითადი ქიმიის, ქიმიური ბოჭკოსი და ლაქ-საღებავების მრეწველობისა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობის სწრაფ ზრდას, მაგალითად: 1960—1975 წლებში საქართველოს სსრ ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები 715,4 %-ით გაიზარდა; მათ შორის: ქიმიური მრეწველობისა — 662,4 %-ით. მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობა 1960—1965 წლებში, როცა მისა ძირითადი წარმოებრივი ფონდების

<sup>3</sup> В. М. Буш у е в. Химическая индустрия в свете решений XXIV съезда КПСС, М., 1973, стр. 14.

მოცულობა 209,9 %-ით გადიდდა შემდგომ 1965—1970 და 1970—1975 წლებში ზრდა შეადგენდა შესაბამისად 72,4 და 52,6 %-ს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა შენობა-ნაგებობების მოცულობა, რომელიც 15 წლის (1960—1975) განმავლობაში 793,7 %-ით გაიზარდა, ე. ი. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპს წინ უსწრებდა 78,3 %-ით. შენობა-ნაგებობების ზრდის ტემპი ყველაზე მაღალი 1960—1965 წლებში იყო — 212,2 %; მომდევნო ხუთწლეულში კი — 62,6 და 76,9 %; შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდა წარმოებრივი გაწყობილობა — თხუთმეტი წლის განმავლობაში — 654,4 %-ით, ხოლო ხუთწლეულების მიხედვით შესაბამისად 208,0; 80,1; 35,9 %-ით. როგორც ვხედავთ, წარმოებრივი გაწყობილობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენედა, ასევე შენედა მანქანა-გაწყობილობის ზრდის ტემპიც, რომელიც 1960—1965 წ. 220,9 %-დან, მერვე ხუთწლეულში — 80,4 %-მდე, ხოლო მეცხრე ხუთწლეულში 32,4 %-მდე შემცირდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ქიმიურ მრეწველობაშიც, 1960—1965 წლებში ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობის 177,6 %-ით გადიდების შემდეგ, მერვე და მეცხრე ხუთწლეულებში ზრდა მხოლოდ 79,6 და 47,4 % იყო; მათ შორის შენობა-ნაგებობების ზრდა, — შესაბამისად, — 164,7; 73,7 და 80,6%; წარმოებრივი გაწყობილობისა კი შესაბამისად, — 187,7; 83,9 და 34,1 %, როგორც ვხედავთ, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპის საერთო შემცირების პირობებში წარმოებრივი გაწყობილობისა და მანქანა-გაწყობილობის ზრდის ტემპის შემცირება უფრო მკვეთრად გამოისახა რამაც თავისი გამოხატულება ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურაშიც პოვა.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ ქიმიურ-ნავთობქიმიური და ქიმიური მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურა 1960—1975 წლებში<sup>4</sup> (%)

	წ ლ ე ბ ი			
	1960	1965	1970	1975
<b>I ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობა</b>				
1. შენობები და ნაგებობები	43,9	44,3	41,7	46,7
2. წარმოებრივი გაწყობილობა	56,1	55,7	58,2	53,3
მათ შორის:				
მანქანები და გაწყობილობა	42,9	44,4	46,6	38,9
<b>II ქიმიური მრეწველობა</b>				
1. შენობები და ნაგებობები	43,9	41,9	40,5	47,8
2. წარმოებრივი გაწყობილობა	56,1	58,1	59,5	52,2
მათ შორის:				
მანქანები და გაწყობილობა	42,9	45,5	47,3	38,0

<sup>4</sup> გაანგარიშებულია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.



როგორც ცნობილია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურის სრულყოფას, ამაღლებს ეფექტურობას. ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის — მანქანებისა და გაწყობილობის ხვედრითი წონის ზრდა, — აი რა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნას; საქართველოს სსრ ქიმიურ-ნავთობქიმიურ და საკუთრივ ქიმიურ მრეწველობაში ეს ტენდენცია დაირღვა, როგორც ეს პირველი ცხრილის მონაცემებით დასტურდება. საქართველოს სსრ ქიმიურ-ნავთობქიმიური მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურა 1960—1975 წლებში რიგი თავისებურებებით ხასიათდება: მცირდება წარმოებრივი გაწყობილობისა და მანქანა-გაწყობილობის ხვედრითი წონა, ხოლო იზრდება შენობა-ნაგებობების ხვედრითი წონა. 1960—1975 წლებში წარმოებრივი გაწყობილობის ხვედრითი წონა 2,8 პუნქტით შემცირდა, — მათ შორის, — მეცხრე ხუთწლეულში — 4,9 პუნქტით; მანქანა-გაწყობილობის კი, შესაბამისად — 4,0 და 7,7 პუნქტით; ეს მაშინ, როცა შენობებისა და ნაგებობების ხვედრითი წონა გაიზარდა თხუთმეტი წლის განმავლობაში 2,8 პუნქტით; უკანასკნელი ხუთწლეულის განმავლობაში კი — 5,0 პუნქტით. ანალოგიური მდგომარეობა იყო საკუთრივ ქიმიურ მრეწველობაშიც, წარმოებრივი გაწყობილობისა და მანქანა-გაწყობილობის 3,9 და 4,9 პუნქტით შემცირების პირობებში: 1960—1975 წლებში შენობა-ნაგებობების ხვედრითი წონა — 3,9 პუნქტით, ხოლო უკანასკნელი ხუთწლეულის განმავლობაში 7,3 პუნქტით გაიზარდა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მოვლენა უარყოფითია, ვინაიდან დაირღვა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერება — მანქანა-გაწყობილობის უპირატესი ტემპით ზრდა, შენობა ნაგებობათა ზრდის ტემპთან შედარებით. რა შეიძლებაოდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, ასეთი მდგომარეობა (განსაკუთრებით — მეცხრე ხუთწლეულში) შეიძლება ნაწილობრივ ავსხნათ მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში სამთო-ქიმიური მრეწველობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ამაღლებით: 1970 წლის 6,3%-დან 20,9%-მდე 1975 წელს, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო ამ დარგისათვის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის არასწორად მიყუთუნებით; ამ დარგში კი (გამომდინარე დარგობრივი სპეციფიკიდან) მართა ნაგებობების ხვედრითი წონა ძირითადი წარმოებრივი ფონდების 53,4 %-ს აღწევს, შენობებთან ერთად კი — 78,9%-ს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოების განვითარებისა და მისი ეფექტურობის ამაღლების მთავარი ფაქტორია. სოციალიზმის დროს მის საფუძველზე ხდება პროდუქციის გამოშვების ზრდა, წარმოების ინტენსიფიკაცია, პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურის შეცვლა, ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯთა შემცირება ერთეული პროდუქციის წარმოებაზე; შრომის პირობების გაუმჯობესება, მისი გაადვილება და შემოქმედებითი ხასიათის მიღება; დაბალკვალიფიციური შრომიდან მაღალკვალიფიციურ შრომაზე გადასვლა და სხვა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მეტად რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, ამდენად, მისი დახასიათება რომელიმე ერთი მაჩვენებლის მიხედვით



წეუძლებელია<sup>5</sup>. ამისათვის საჭიროა მაჩვენებელთა მთელი სისტემა. ცალკეულ მაჩვენებელს შეუძლია დაახასიათოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მხოლოდ ერთი რომელიმე მიმართულება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასახასიათებლად ძირითადად გამოიყენება ორი სახის მაჩვენებელი; მათ შორის პირველია ს ი ნ თ ე ზ უ რ ი მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი, რაც იძლევა წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონის დახასიათებას მთლიანად და აუცილებელია სახალხომეურნეობრივი გეგმებისა და მატერიალური წარმოების მსხვილი სფეროების გეგმების შედგენისას; მეორეა მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ტექნიკური პროგრესის ცალკეულ მიმართულებებს. ამათ ვარდა, საჭიროა ისეთი მაჩვენებლებიც, რომლებიც გამოხატავენ ტექნიკური პროგრესის სპეციფიკას სამრეწველო წარმოების ცალკეულ დარგებში (დარგობრივი და ქარხნული დაეგმვისათვის).

სამრეწველო წარმოების ტექნიკური ბაზის განვითარების დასახასიათებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები, ესენია: 1) შრომის ფონდალტურვილობა და ტექნიკური აღჭურვილობა, 2) ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების კოეფიციენტი.

1. შ რ ო მ ი ს ფ ო ნ დ ა ლ ტ უ რ ვ ი ლ ო ბ ა და ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ა ლ ტ უ რ ვ ი ლ ო ბ ა. შრომის ფონდალტურვილობა გაიანგარიშება ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო-წლიური ღირებულების შეფარდებით მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საშუალო-სიობრივ რიცხვთან, ხოლო ტექნიკური აღჭურვილობა გაიანგარიშება ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის შეფარდებით მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საშუალო-სიობრივ რიცხვთან, მათ შორის — მუშების რიცხვთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ავტორს შრომის ფონდალტურვილობა და ტექნიკური აღჭურვილობა გაიგივებული აქვს, არ ეთანხმება მათ, ვინც თვლის, რომ ფონდ-ან ტექნიკური აღჭურვილობა გაანგარიშებული იქნეს მთელი ფონდების შეფარდებით მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საშუალო-სიობრივ რიცხვთან, ვინაიდან მიჩნეულია რომ ეს მაჩვენებელი ხელოვნურად ზრდის ტექნიკური აღჭურვილობის დონეს მაშინ, როცა მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების 30 %-მდე ისეთი სახის ფონდებია, რომლებიც უშუალოდ არ მოქმედებენ შრომის ტექნიკურ აღჭურვილობაზე. ასეთ შეხედულებას ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ მხოლოდ ნაწილობრივ. ეს შეხედულება სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვანგარიშობთ შრომის ტექნიკურ აღჭურვილობას და არა ფონდალტურვილობას.

ჩვენი აზრით, გარკვეული განსხვავებაა ამ ორ ტერმინს შორის და მათი გაიგივება არ იქნება მიზანშეწონილი. თუ შრომის ტექნიკური აღჭურვილობის გაანგარიშების დროს მართლაც არ არის საჭირო ყველა სახის ძირითადი წარმოებრივი ფონდების მხედველობაში მიღება, აქ უნდა შემოვიფარგლოთ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მხოლოდ აქტიური ნაწილით. შრომის ფონდალტურვილობის გაანგარიშების დროს, ჩვენი აზრით, საჭიროა მთელი ძირითადი წარმოებრივი ფონდების შეფარდება მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საშუალო-სიობრივ რიცხვთან; ამასთან, გაანგარიშება უნდა ჩატარდეს ორივე მაჩვენებლის მიხედვით. მაგრამ მხოლოდ ფონდალტურვილობის გაანგარიშებაა შესაძლებელი ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო-წლიური მაჩვენებ-

<sup>5</sup> Экономика социалистической промышленности, под редакцией проф. Л. И. Итйна. М., 1974.



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
გამეცნიერებელი

ლის მიხედვით, რაც უფრო ზუსტ მაჩვენებლად მიგვაჩნია. ტექნიკური აღჭურვილობის განვარძლება კი შეუძლებელია ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო-წლიური მაჩვენებლის მიხედვით, ვინაიდან ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურის აღრიცხვა ხდება მხოლოდ წლის დასაწყისისა და წლის დასასრულისათვის. ამიტომ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მთელი მოცულობიდან აქტიური ნაწილის გამოყოფა მხოლოდ წლის დასაწყისში ან წლის დასასრულს არის შესაძლებელი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით, განვარძლება ვაწარმოოთ ორივე მაჩვენებლის მიხედვით.

2. ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების კოეფიციენტი. სოციალისტური მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდებით აღჭურვის სისტემატური ზრდის კვალობაზე სულ უფრო იზრდება მომუშავეთა შრომის ფონდობრივი და ტექნიკური აღჭურვილობის ტემპი მრეწველობის ცალკეულ დარგებში, ამასთან ფონდალტურვილობის ზრდის ტემპი განსხვავებულია მრეწველობის ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში.

ცხრილი 2

მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის ფონდალტურვის დინამიკა 1965—1975 წლებში\* (%)

დ ა რ გ ე ბ შ ი	წ ლ ე ბ ი						1975— 1970 წწ. მიმართ
	1970	1971	1972	1973	1974	1975	
ქიმიური მრეწველობა	105,7	114,5	115,9	123,6	137,3	147,1	147,6
მათ შორის:							
1. სამთო-ქიმიური მრეწველობა	122,2	137,3	131,3	151,1	452,7	548,8	439,8
2. ძირითადი ქიმიკ (რუსთავის ქიმიური კომბინატი)	155,4	169,9	188,6	197,9	220,7	229,7	134,2
3. ქიმიური ბოჭკო (რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა)	98,4	95,3	94,5	91,9	62,3	76,4	62,8
4. ლაქ-საღებავების მრეწველობა	133,5	138,5	161,2	179,4	180,8	187,1	148,6

როგორც ცხრილის (2) მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობაში მომუშავეთა ფონდალტურვილობის საერთო ზრდის პირობებში ცალკეულ ქვედარგებში ზრდის ტემპი განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდება. მათ შორის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით ხასიათდებოდა სამთო-ქიმიური მრეწველობა — თითქმის 5,5-ჯერ ათი წლის განმავლობაში და 4,4-ჯერ მეცხრე ხუთწლედში. რაც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამოქმედების შედეგად დიდი რაოდენობით ახალი ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამოქმედებამ გამოიწვია 1974—1975 წლებში. ამასთან მომუშავეთა ფონდალტურვა შემცირდა ქიმიური ბოჭკოების მრეწველობაში, ვინაიდან აქ ფონდების ზრდის ტემპი მომუშავეთა ზრდის ტემპს ბევრად ჩამორჩა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეფექტურად გამოყენებაზე შრომის ფონდალტურვილობის მაჩვენებ-

\* განვარძებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცსს შესაბამის წლებში მონაცემების საფუძველზე.

ლებზე მეტად ვლინდება შრომის ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებლებში, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტად აღებულ დარგში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის შრომის ტექნიკური აღჭურვილობის  
დინამიკა 1965—1975 წლებში\* (%)

და რ გ ე ბ ი	წ ლ ე ბ ი						1975—1970 წლის მიმართ
	1970	1971	1972	1973	1974	1975	
ქმიური მრეწველობა	102,7	104,3	103,7	114,2	124,8	127,4	122,2
მთ შორის:							
1. სამთო-ქიმიური მრეწველობა	122,1	141,5	145,3	162,1	330,6	458,9	324,3
2. ძირითადი ქიმიკა	163,7	165,9	175,2	200,0	207,5	216,4	216,5
3. ქიმიური ბოჭკო	71,1	67,3	63,8	60,3	63,0	62,8	93,4
4. ლაქ-საღებავების მრეწველობა	133,5	144,6	200,2	221,6	229,4	236,9	163,8

ცხრილის (3) მონაცემთა საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობასა და მის ქვედარგებში მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის შრომის ტექნიკური აღჭურვის ტემპის ზრდას, ცალკეული გამონაკლისის გარდა, სისტემატური ხასიათი აქვს, თუმცა რამდენადმე ჩამორჩება ფონდალტურის ზრდის ტემპს, რაც იმის მაჩვენებელია რომ დარგში შენობა-ნაგებობის ზრდის ტემპი ჭარბობს წარმოებრივი განწყობილობის ზრდის ტემპს, — ეს განსაკუთრებით ითქმის სამთო-ქიმიურ მრეწველობაზე. ლაქ-საღებავების მრეწველობაში საწინააღმდეგო ვითარებას აქვს ადგილი, 1965—1975 წლებში მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის შრომის ტექნიკური აღჭურვილობა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ფონდალტურვილობა, ე. ი. ამ დარგში წარმოებრივი განწყობილობის ზრდის ტემპი ჭარბობს მთლიანად ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპს.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, კონკრეტული ამოცანების შესაბამისად, წარმოებრივი აპარატის განახლება სხვადასხვა ტემპით წარმოებს. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპების პირობებში ახლად დანერგილი ტექნიკისა და განახლებული ძირითადი ფონდების როლი განსაკუთრებით დიდია. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მანქანათა სისტემების შექმნაზე. წარმოების ფართო ავტომატიზაციისათვის ახლად ამოქმედებული მანქანებისა და მოწყობილობის რაოდენობრივი ზრდის გარდა, აუცილებელია მათი ხარისხობრივი სრულყოფა, მოძველებული მოწყობილობის შეცვლა ახლით, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათლადაა მითითებული, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე „მეცნიერულ-ტექ-

\* განგარიშებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცსს შესაბამისი წლების მონაცემთა საფუძველზე.

ნიკური რევილუცია სახავს წარმოების მეთოდების რადიკალური გარდაქმნის, შრომის პრინციპულად ახალი, მაღალნაყოფიერი იარაღების, პროგრესული მასალების შექმნის შესაძლებლობებს, ქმნის ახალ დარგებს, უზრუნველყოფს მთელი საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობის გადიდების უმაგალითო შესაძლებლობებს<sup>8</sup>. იქვე მითითებულია სახელმწიფოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანებზეც, რომელთაგან პირველია შრომის თვისებრივად ახალი იარაღების, ახალი მასალებისა და უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის შექმნა მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშების დონეზე, ხოლო მეორე — მოძველებული ტექნიკის განახლებისა და შეცვლის ტემპი.

წარმოებრივი აპარატის განახლების აუცილებლობა, როგორც მთლიანად მრეწველობაში, ისე მის ცალკეულ დარგებში (მათ შორის ქიმიურ მრეწველობაში), გაპირობებულია ფიზიკურად და მორალურად მოძველებული შრომის საშუალებების არსებობით. იხილეთ მონაცემები ახლად ამოქმედებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების შესახებ (ცხრილი 4).

ცხრილი 4

ექსპლოატაციაში ახლად შესული ძირითადი წარმოებრივი ფონდები  
1966—1975 წლებში<sup>9</sup> (%)

დ ა რ გ ე ბ ი	წ ლ ე ბ ი						
	1966	1970	1971	1972	1973	1974	1975
ქიმიური მრეწველობა	20,6	13,4	8,2	5,9	9,5	20,8	8,2
მათ შორის;							
1. სამთო-ქიმიური მრეწველობა	5,4	3,4	12,5	16,9	23,8	183,9	19,9
2. ძირითადი ქიმია	4,4	21,6	4,6	3,9	11,1	6,2	4,6
3. ქიმიური ბოჭკო	48,4	1,4	1,5	1,3	0,5	4,1	2,3
4. ლაქ-საღებავების მრეწველობა	22,3	8,1	11,2	8,5	8,9	7,6	8,1

როგორც ცხრილით (4) ირკვევა, ექსპლოატაციაში ახლად შესული ძირითადი წარმოებრივი ფონდების მაჩვენებლები 1966—1976 წლებში გარკვეული ცვლილებებით ხასიათდება. ქიმიური მრეწველობისათვის 1966 და 1974 წლებში დამახასიათებელი იყო ახლად შესული ფონდების დიდი ხვედრითი წონა. 1974 წლის მაჩვენებლებზე ყველაზე მეტი გავლენა სამთო-ქიმიურმა მრეწველობამ იქონია, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამოქმედებამ გამოიწვია. აქ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა თითქმის 2-ჯერ ჭარბობს მთელი სამთო-ქიმიური მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ სამთო-ქიმიური მრეწველობისათვის ამის გარეშეც იყო დამახასიათებელი ახლად ამოქმედებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრითი წონის ზრდა, განსაკუთრებით — 1971—1974 წლებში. 1966 წლის მაჩვენებელზე კი იმოქმედა როგორც რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ახალ საამქროთა

<sup>8</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 174—175.

<sup>9</sup> გაანგარიშებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცეს მონაცემების მიხედვით.



ამოქმედებამ, ისე — წულუქიძის სინთეზური მასალების ქარხნის რეკონსტრუქციამ.

რუსთავეის ქიმიკომბინატში ახლად ამოქმედებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრითი წონა ყველაზე მაღალი 1970 წელს იყო, რაც განპირობა კარბამიდის წარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემამ. ცხრილის (4) მონაცემების თანახმად საყურადღებოა ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ახლად ამოქმედებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით — 1970—1975 წლებში, რაც, ჩვენი აზრით შეიძლება ნაწილობრივ ავსხნათ ქარხნის მცირე ხნოვანებით.

საინტერესოა ვნახოთ, რა ხვედრითი წონა აქვთ მთლიანად ახლად ამოქმედებულ ფონდებს 1966—1970 და 1971—1975 წლებში საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობასა და მის ქვედარეგებში, არსებული ფონდების მიმართ; მონაცემები ამის შესახებ მოტანილია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

1966—1975 წლებში ახლად ამოქმედებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრითი წონა ძირითადი წარმოებრივი ფონდების საერთო მოცულობაში<sup>10</sup> (%)

და რ გ ე ბ ი	1966—1970 წლებში ამოქმედებული ფონდები 1971 წელს არსებული ფონდების მიმართ	1971—1975 წლებში ამოქმედებული ფონდები, 1975 წლის ბოლოს არსებული ფონდების მიმართ
ქიმიური მრეწველობა	46,8	37,3
მათ შორის:		
1. სამთო-ქიმიური მრეწველობა	29,4	77,5
2. ძირითადი ქიმია	21,4	26,1
3. ქიმიური ბოჭკოს მრეწველობა	45,1	8,7
4. ლაქ-საღებავების მრეწველობა	44,6	30,8

ცხრილის (5) მონაცემთა საფუძველზე ირკვევა, რომ 1966—1970 წლებში, თითქმის სანახევროდ განახლდა ძირითადი წარმოებრივი ფონდები საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში, 1971—1975 წლებში კი განახლების პროცესი შენედა როგორც ქიმიურ მრეწველობაში მთლიანად, ისე მის ქვედარეგებში, გამონაკლისია მხოლოდ სამთო-ქიმიური მრეწველობა.

ახლად ამოქმედებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების მაჩვენებლებთან ერთად საინტერესოა ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოქმედებიდან გასვლის ანუ ლიკვიდაციის მაჩვენებელი, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტად აღებულ დარგში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 6).

როგორც ცხრილის (6) მონაცემებიდან ჩანს, ქიმიურ მრეწველობაში ლიკვიდირებული ფონდების ხვედრით წონას ზრდის ტენდენცია გააჩნია. ეს პროცესი ერთგვარად შენედა სამთო-ქიმიურ მრეწველობაში, რაც 1974 წლის ბოლოსათვის დარგში არსებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების დიდმა მოცულობამ განაპირობა. თუ ამ ფაქტორის გავლენას მხედველობაში არ მი-

<sup>10</sup> გაანგარიშებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცეს მონაცემების მიხედვით.



ქართული  
საბჭოთაო სსრ

ვიღებთ და გავიანგარიშებთ ლიკვიდაციის პროცენტს, მაშინ მიღებული ციფრი 31,1% ბევრად ჭარბობს მთელ წინა ხუთწლეულის მონაცემს.

ცხრილი 6

1966—1975 წლებში ლიკვიდირებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრიწონა ძირითადი წარმოებრივი ფონდების საერთო მოცულობაში<sup>11</sup> (%-ით)

დ ა რ ვ ე ბ ი	1966—1975 წლებში ლიკვიდირებული ფონდები 1/1—1971 წ. არსებული ფონდების მიმართ	1971—1975 წლებში ლიკვიდირებული ფონდები 1975 წლის ბოლოს არსებული ფონდების მიმართ
ქიმიური მრეწველობა	4,6	5,7
მათ შორის:		
1. სამთა-ქიმიური მრეწველობა	12,7	7,3
2. ძირითადი ქიმიკა	3,8	4,2
3. ქიმიური ბოქვო	3,3	7,4
4. ლაქ-საღებავების მრეწველობა	9,3	7,0

ახალი ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამოქმედებისა და ძველი ფონდების ლიკვიდაციის მონაცემებთან ერთად, ინტერესმოკლებულ არ იქნება, გავიანგარიშოთ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატების კოეფიციენტი, რომლის გაანგარიშებაც 1974 წელს გამოცემულ ეკონომისტის ცნობარში<sup>12</sup> შემდეგნაირად არის რეკომენდებული:

$$K \text{ მატ.} = \frac{\text{ფ ახლადამოქმედ.} - \text{ფ გასული}}{\text{ფ წლის ბოლოს}}$$

სადაც  $K$  მატ. — არის ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატების კოეფიციენტი,

ფ ახლადამოქმედ. — არის ახლად შემოსული ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა,

ფ გასული — არის გასული ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა,

ფ წლის ბოლოს — არის ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა წლის ბოლოს

ამ ფორმულის მიხედვით გაანგარიშებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატების კოეფიციენტი ჩვენი კვლევის ობიექტად აღებულ დარგში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 7):

ცხრილის (7) მონაცემთა თანახმად, ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატების კოეფიციენტს 1966—1975 წლებში საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში გააჩნია შემცირების ტენდენცია, რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატულა იყო 1970—1973 წლებში, 1974 წელს თითქმის შიალწია 1966 წლის დონეს. 1975 წელს კი ისევ შემცირდა. არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქიმიურ მრეწველობაში ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატე-

<sup>11</sup> გაანგარიშებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცს მონაცემების მიხედვით.

<sup>12</sup> იხ. Справочник экономиста промышленного производства, М., 1974, стр. 286.

ცხრილი 7

ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატების კოეფიციენტი 1966—1975 წლებში

დ ა რ ვ ე ბ ი	წ ლ ე ბ ი						
	1966	1970	1971	1972	1973	1974	1975
ჭიმიური მრეწველობა	15,9	10,9	3,6	4,5	7,7	15,6	8,9
მათ შორის:							
სამთო-ჭიმიური მრეწველობა	2,1	12,5	-2,6	10,2	16,2	59,2	20,4
ძირითადი ქიმიკა	2,0	8,6	3,2	2,7	8,7	5,0	3,6
ჭიმიური ბოჭკოს მრეწველობა	2,9	-0,2	-1,3	0,7	1,4	3,5	1,0
ლაქ-საღებავების მრეწველობა	17,0	5,6	8,8	6,4	6,5	2,3	9,1

ბის კოეფიციენტის ზრდის საფუძველი იყო სამთო-ჭიმიური მრეწველობა, კერძოდ — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. მომავალში კი ასეთი ზრდა მოსალოდნელი არ არის და, ამდენად, არც ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატების კოეფიციენტის გაზრდაა მოსალოდნელი. ამიტომ ქიმიურ მრეწველობაში ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპების საკითხი, ვფიქრობთ, სათანადო ყურადღებას საჭიროებს.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

## რეპეზენტაციური ფუნქციონირების

საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების  
აღწარმოების თანამართლებითა შესახებ

საზოგადოებრივი წარმოების პროცესში გამოიყენება შრომის განსაზღვრული საშუალებანი, რომლებიც განკუთვნილია, ერთი მხრივ, მატერიალურ დოვლათის წარმოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, შექმნილი მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე დაყვანისათვის, მისი რეალიზაციისა და საბოლოო მოხმარებისათვის. შრომის საშუალებანი ნივთის ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ზემოქმედებს შრომის საგნებზე, „შრომის საშუალება, — წერს კ. მარქსი, — არის ნივთი ან კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მეშა თავისა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომლებიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, შრომის საშუალებები და შრომის საგნები ერთად აღებული შეადგენენ წარმოების საშუალებებს, რომლებიც მონაწილეობს დებულობენ პროდუქტის სახმარი ღირებულებისა და ღირებულების შექმნაში — რამდენადაც წარმოების პროცესში მათ გადააქვთ თავიანთი ღირებულება შექმნილ პროდუქტზე. იხილავდა რა შექმნილ პროდუქტზე მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულების გადატანის პროცესს, კ. მარქსი წერდა: „რამდენადაც მანქანა ღირებულებას შეიცავს და ამიტომ მას ღირებულება პროდუქტზე გადააქვს, იმდენად იგი ამ უკანასკნელის ღირებულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს“<sup>2</sup> წარმოების საშუალებანი, გარდა თვით ბუნების მიერ შექმნილი საშუალებებისა (მიწა, წყალი, წიაღისეული სიმდიდრე და სხვა), რომლებიც მონაწილეობენ პროდუქტის სახმარი ღირებულებისა და ღირებულების შექმნაში შეადგენენ საწარმოო ფონდებს. წარმოების საშუალებები წარმოადგენენ შრომის პროცესის ნივთებრივ ელემენტებს, ხოლო საწარმოო ფონდები ეს ის წარმოების საშუალებებია, რომლებსაც ფლობენ სოციალისტური საწარმოები წარმოების პროცესის განხორციელების დროს.

საწარმოო ფონდები სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება მწარმოებლური კაპიტალისაგან, რამდენადაც საწარმოო ფონდები დაფუძნებულია საზოგადოებრივ საკუთრებაზე და არ გამოიყენებია მწარმოებლური დანიშნულებისათვის. იხილავდა რა მწარმოებლური კაპიტალის ფუნქციონალურ დანიშნულებას, კ. მარქსი მიუთითებდა, რომ იგი ფუნქციონირებს, როგორც ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების შემქმნელი კაპიტალი. სოციალიზმის დროს საწარმოო ფონდების სოციალურ-ეკონომიკური არსი ეღიწნება იმაში, რომ ისინი გვევლინებიან საზოგადოებრივი წარმოების მატერიალურ საფუძვლად, წარმოებისა, რომლის მი-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 229.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 490.

ზანს შეადგენს მშრომელთა მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული და ყოველმხრივი დაკმაყოფილება.

საწარმოო ფონდების ნიეთობრივ მატარებლებად სოციალიზმის დროს გვევლინებიან შრომის საშუალებები და შრომის საგნები. აქედან გამომდინარე, საწარმოო ფონდების ფუნქციონალური არსი მდგომარეობს იმაში, რომ შრომის პროცესში ისინი მონაწილეობენ საქონლის სახმარი ღირებულებისა და მიზი ღირებულების შექმნაში.

საწარმოო ფონდების განსაზღვრული ნაწილი, მატერიალური წარმოების სფეროსთან ერთად, გამოიყენება მიმოქცევის სფეროში, კერძოდ, ვაჭრობაში. საზოგადოებრივ კვებასა და მომსახურების სფეროს სხვა დარგებში. ამასთან ისინი ხასიათდებიან რიგი სპეციფიკური თავისებურებებითა და განმასხვავებელი ნიშნებით; კერძოდ, საზოგადოებრივ კვებაში გამოყენებული საწარმოო ფონდების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ასრულებენ არა ერთ რომელიმე ფუნქციას (წარმოება, რეალიზაცია), არამედ ფუნქციათა კომპლექსს. საზოგადოებრივ კვებაში გამოყენებული საწარმოო ფონდები ემსახურებიან როგორც საქონლის წარმოებას, ისე მათ რეალიზაციასა და მოხმარებას, რაც არსებითად განსაზღვრავს დარგის ძირითადი ფონდების სტრუქტურის, გამოყენებისა და აღწარმოების თავისებურებებს.

საზოგადოებრივი კვების საწარმოო ფონდები იყოფა ორ ნაწილად: ძირითად საწარმოო ფონდებად და საბრუნავ ფონდებად.

საზოგადოებრივი კვების ძირითადი საწარმოო ფონდები წარმოვლიდგება მატერიალურ-ნიეთობრივ ფასეულობათა ერთობლიობად — შრომის საშუალებები, რომლებიც პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების პროცესში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებენ თავიანთ ნატურალურ ფორმას და თანდათანობით, ცვეთის კვალობაზე, გადააქვთ თავიანთი ღირებულება მზა პროდუქციაზე. მათ მიეკუთვნება: შენობები, ნაგებობანი, სავაჭრო და ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარები, სტრანსპორტო და შრომის სხვა საშუალებები. პრაქტიკაში ძირითად საწარმოო ფონდებს მიაკუთვნებენ აგრეთვე მოწყობილობასა და ინვენტარს, რომელთა ღირებულება აღემატება 50 მანეთს და მომსახურების ვადა 1 წელს.

განსხვავებით ძირითადი ფონდებისაგან საზოგადოებრივი კვების საბრუნავი ფონდები საწარმოო ფონდების ის ნაწილია, რომელიც ყოველ მოცემულ საწარმოო ციკლში მთლიანად მოიხმარება, რის გამოც მათი ბრუნვის დროს ძირითადი ფონდების ბრუნვის დროსთან შედარებით უფრო ხანმოკლეა.

საზოგადოებრივი კვების ფონდები სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილია. რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა და რაც უფრო უკეთ არიან ისინი აღჭურვილნი მალაშწარმოებლური შრომის იარაღებით, მით უფრო მეტია შესაძლებლობანი მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის.

ძირითადი საწარმოო ფონდები თავიანთი ეკონომიკური დანიშნულებით არსებითად განსხვავდებიან ძირითადი არასაწარმოო (სამომხმარებლო დანიშნულების) ფონდებისაგან, რომელთა შემადგენლობაში შედის საცხოვრებელი სახლები, სკოლებისა და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი დაწესებულებების შენობები და მოწყობილობები და ა. შ., თუმცა ძირითადი საწარმოო ფონდები



გარეგნულად მსგავსია სამომხმარებლო დანიშნულების ძირითადი ფონდების (ორივე სახის ძირითადი ფონდები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირებენ, ცვლებიან თანდათანობით, საჭიროებენ ნაწილობრივ ანაზღაურებას და სხვ.), მათი ეკონომიკური ბუნება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულია.

სამომხმარებლო არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდები არ წარმოადგენენ შრომის საშუალებებს და ნივთობრივი ფაქტორის სახით არ მონაწილეობენ ახალი პროდუქტის შექმნაში. მათი ანაზღაურება ხორციელდება არა ამორტიზაციის, არამედ ნაციონალური შემოსავლის ხარჯზე შექმნილი სუბსიდიური ფონდიდან. „ძირითადი საწარმოო ფონდების მოხმარების პროცესი — ეს არის მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესი. არასაწარმოო სფეროს შენობებისა და მოწყობილობის მოხმარების პროცესი — ესაა ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესი“<sup>3</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივი კვების, როგორც დარგის, თავისებურება ისაა, რომ აქ ერთმანეთს ერწყმის სამი სხვადასხვა ფუნქცია — პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების ფუნქციები. ამ ფუნქციათა თანაფარდობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების მოცულობაზე, სტრუქტურასა და მათი გამოყენების ეფექტიანობაზე. საზოგადოებრივი კვების მთელი ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურა დაახლოებით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: წარმოებაზე მოდის 55 პროც. რეალიზაციაზე — 10 პროც. და მოხმარების ორგანიზაციაზე — 35 პროცენტი<sup>4</sup>.

ამრიგად, თავისი ხასიათის და შემადგენლობის მიხედვით საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები ახლოს დგანან კვების მრეწველობის ძირითად ფონდებთან და შედარებით ნაკლებად ემსგავსებიან ცალკობრივი ვაჭრობის ძირითად ფონდებს. ეს იმიტომაც დასტურდება, რომ საზოგადოებრივი კვების ბრუნვაში საკუთარი წარმოების პროდუქციას უჭირავს დაახლოებით 63 პროცენტი. ამასთან საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები განსხვავდება კვების მრეწველობის ძირითადი ფონდებისაგან, რამდენადაც პირველი მათგანი შეიცავს მოხმარების ორგანიზაციის ფონდებსაც (დაახლოებით 35 პროც.). საზოგადოებრივი კვების ეს სპეციფიკური ფუნქცია განსაზღვრავს მისი ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიკურ არსს, მათი გამოყენების განახლებისა და აღწარმოების ხასიათს.

საზოგადოებრივი კვების ძირითადი საწარმოო ფონდები თავიანთი ნივთობრივ-ნატურალური ფორმით ყოველთვის მთლიანად მონაწილეობენ პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების პროცესში. პროდუქციის ღირებულების შექმნაში კი ისინი ნაწილობრივ ღებულობენ მონაწილეობას, მათი ცვეთის ზომის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები ცვეთის პროცესში ყველა არ ზრდის საქონლის ღირებულების სიდიდეს.

საზოგადოებრივი კვებაში პროდუქციის ღირებულება იქმნება იმ ძირითად

<sup>3</sup> А. А. Араке́льян, В. А. Вороти́нов. Воспроизводство основных фондов в СССР, М., «Мысль», 1970 г., стр. 21.

<sup>4</sup> А. И. Кочерга. Повышение эффективности использования основных фондов общественного питания, «Экономика», М., 1974 г., стр. 10.

დი ფონდების ცვეთის ხარჯზე, რომლებიც პროდუქციის წარმოების პროცესებს ემსახურებიან. გარდა ამისა, ნივთობრივად ახალ ღირებულებას არ ქმნიან, მაგრამ საქონლის ღირებულების სიდიდის ზრდაში მონაწილეობს ძირითადი ფონდების ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებაზე, შენახვაზე, სორტირებაზე, დახარისხებაზე, დამუშავებაზე, შეფუთვასა და სხვა ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებრივი პროცესების ვაგრძელებასთან მიმოქცევის სფეროში.

საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების ის ნაწილი, რომელიც ემსახურება ყიდვა-გაყიდვის პროცესებს (სალარო აპარატები და მოწყობილობა, სარეკლამო საშუალებანი და სხვ.) არ ქმნიან არავითარ ახალ ღირებულებასა და არც მონაწილეობენ საქონლის ღირებულების ზრდაში. მათი ცვეთა ნაზღაურდება სოციალისტური საზოგადოების წმინდა შემოსავლების ხარჯზე.

საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები წარმოადგენენ სახელმწიფო და კოოპერაციულ საკუთრებას. ამასთან დარგის ძირითად ფონდებს ზშირად აოვიებენ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის ძირითად ფონდებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების საკუთრებაში მყოფი ძირითადი ფონდები ყოველთვის სრულად არ ასახავენ მათ მიერ გამოყენებული შრომის საშუალებების მთლიან რაოდენობას და, ამდენად, არ იძლევიან სრულ წარმოდგენას დარგის ძირითადი ფონდების ფაქტობრივი სიდიდის შესახებ. ასე, მაგალითად, სამარეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიაზე განლაგებულ სასადილოებსა და ბუფეტებს შენობები ეძლევათ უსასყიდლოდ და მათი ღირებულება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ბალანსზე არ ირიცხება. ასევე უსასყიდლოდ ეძლევათ შენობები სასკოლო და სხვა დაწესებულებებთან არსებულ სასადილოებსა და ბუფეტებს. გარდა ამისა, რესტორნების, კაფეების, სასადილოებისა და სხვა საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შენობების მნიშვნელოვანი ნაწილი იჯარითაა აღებული.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი კვების მთელი ძირითადი ფონდები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: საკუთარი ძირითადი ფონდები, რომლებიც ირიცხება საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის ან საწარმოს ბალანსზე და იჯარით აღებული ან უსასყიდლოდ მიცემული ძირითადი ფონდები. ეაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემების მიხედვით, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მხოლოდ 22 პროცენტია განლაგებული საკუთარ შენობებში. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ იჯარით აღებული შენობების ხვედრიწილი შეადგენს 28 პროც., ხოლო დანარჩენი 50 პროც. საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის უსასყიდლოდაა მიცემული სამრეწველო საწარმოების, სასკოლო და სხვა დაწესებულებების მიერ<sup>5</sup>. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამრეწველო, სამშენებლო, სტრანსპორტო საწარმოებთან არსებულ სასადილოებსა და ბუფეტებს ავეჯი, ტექნოლოგიური მოწყობილობა და სხვ. ეძლევათ უსასყიდლოდ. აგრეთვე, აღნიშნული საწარმოების ხარჯზე ბორცეიდება მათ ტერიტორიაზე განლაგებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

<sup>5</sup> А. И. Кочерга. Повышение эффективности использования основных фондов общественного питания, стр. 12.



ეკონომიკური რეფორმის პირობებში, როდესაც წინა პლანზეა მოსაწესრიგებელი სოციალისტური მეურნეობრიობის კანონის მთავარი მოთხოვნა — უმცირესი დანახარჯებით უდიდესი შედეგების მიღება, გამართლებულად არ მიგვაჩნია ის მდგომარეობა, როდესაც ძირითადი ფონდები ეკუთვნის ერთ საწარმოს, ხოლო მის ექსპლოატაციას სულ სხვა საწარმო ახორციელებს. ასეთი მდგომარეობა ფაქტიურად გამოირიცხავს საწარმოს, ორგანიზაციისა და მილიანად დარგის წასშტაბით ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების სფეროში ერთიანი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას. საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ახორციელებენ იჯარით აღებული ან უსასყიდლოდ მიცემული ძირითადი ფონდების ექსპლოატაციას, სათანადოდ არ არიან დაინტერესებულნი მათი მოვლა-პატრონობითა და მომსახურების ვადის ვადიდებით. ამ პირობებში ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები არაა დაკავშირებული მოცემული საწარმოს რენტაბელობასა და მუშაობის სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებთან.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე შენობებისა და მოწყობილობის უსასყიდლოდ გადაცემა აღნიშნული საშუალებების მფლობელებს არსებითად უსპობს მათი რაციონალური გამოყენების შესაძლებლობებს. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასაღილოებისა და ბუფეტების შენობები და მოწყობილობანი გადაცემული იქნას საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების ბალანსზე, ან ისინი მათ მიეცეთ იჯარით, რომელთაც დაეკისრებათ მათი ექსპლოატაციისა და ეფექტიანი გამოყენების მთელი პასუხისმგებლობა.

ვარდა ამისა, საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების ეფექტიანობის შეფასება ბევრადაა დამოკიდებული მათ სწორ აღრიცხვაზე. სადღეისოდ ძირითადი ფონდების აღრიცხვის მაჩვენებელთა არასაკმარისობა ან ნაკლებად სარწმუნოობა მნიშვნელოვნად აძწელებს მათი გამოყენების ეფექტიანობის სწორ შეფასებას და არ იძლევა ძირითადი ფონდების დინამიკის მაჩვენებლების საჭონელობის, საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოშვებისა და მოგების მაჩვენებლებთან სათანადო დაკავშირების შესაძლებლობას. ამქვეყნად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღრიცხვა-ანგარიშებით მასალებში საზოგადოებრივი კვების საკუთარი ძირითადი ფონდები ცალკეც კი არაა გამოყოფილი და ისინი აღირიცხება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ძირითად ფონდებთან ერთად.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების ეკონომიკური ბუნება ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ვაჭრობის ძირითადი ფონდები ასრულებენ საქონლის წარმოებიდან მომხმარებლამდე დაყვანის ფუნქციას. ე. ი. ემსახურებიან საქონლის მიმოქცევის პროცესს. ვაჭრობის ძირითადი ფონდების დიდი ნაწილი თავიანთი ფუნქციონირების პროცესში არ ზრდის საქონლის ღირებულების სიდიდეს, ხოლო მათი ცვეთა ნაზღაურდება სოციალისტური საზოგადოების წმინდა შემოსავლის ხარჯზე. ვაჭრობის ძირითადი ფონდების მხოლოდ ნაწილი ასრულებს საწარმოო ფუნქციებს (საქონლის ტრანსპორტირება, დამუშავება, დაფასობა, შენახვა და სხვ.), ძირითადი ფონდების ეს ნაწილი ზრდის საქონლის ღირებულების სიდიდეს, მაგრამ ნივთობრივად არ ქმნის ახალ სახმარ ღირებულებას.

საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები კი, ვაჭრობის ძირითადი

ფონდებისაგან განსხვავებით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ძირითადად ემსახურებიან პროდუქციის წარმოებისა და მისი მოხმარების ორგანიზაციის პროცესებს (ძირითადი ფონდების დაახლოებით 90 პროც.).

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი რენტაბელობის ამაღლებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების აღრიცხვისა და დაგეგმვის სწორი ორგანიზაცია. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მათი ანალიზისა და დაგეგმვის პრაქტიკაში ღირებულებითი მაჩვენებლების დანერგვა. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

— საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების მთლიანი ღირებულების მიხედვით შეფასება, რისთვისაც საკუთარი ძირითადი ფონდების ფაქტობრივი ღირებულების საბალანსო მონაცემების გარდა საჭიროა არსებობდეს იჯარით აღებული და უსასყიდლოდ მიცემული ფონდების შესახებ ანალოგიური მონაცემები;

— ძირითადი ფონდების ყოველ ათას მანეთზე საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის, მათ შორის საცალო და საკუთარი წარმოების პროდუქციის ბრუნვის მაჩვენებლები;

— ძირითადი ფონდების ყოველ ათას მანეთზე მოგების მოცულობა.

გარდა ღირებულებითი მაჩვენებლებისა ძირითადი ფონდების მდგომარეობისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა რაოდენობრივი მაჩვენებლებით სარგებლობა. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

— საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და მათი დასაჯდომი ადგილების რაოდენობა ყოველ 10 ათას კაცზე;

— საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მოცულობა ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე, ან ერთ დასაჯდომ ადგილზე, მათ შორის საკუთარი წარმოების პროდუქციის ბრუნვის მიხედვით;

როგორც უკვე აღინიშნა საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მისი ძირითადი ფონდების ნატურალურ-ნივთობრივი გამოხატულებაა. ამასთან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცნება უფრო ფართოა. მასში იგულისხმება როგორც საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საწარმოების ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდები, ისე სხვა ორგანიზაციებისაგან იჯარით აღებული და უსასყიდლოდ მიცემული შენობა-ნაგებობანი და მოწყობილობები.

საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, მისი შემდგომი სრულყოფა და რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც თვით დარგის, ისე მთელი სახალხო მეურნეობის უფერხებელ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ღონის ამაღლებას. ამიტომ საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარება და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება განხილულ უნდა იქნეს, როგორც მთლიანად კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საერთო ამოცანის შემადგენელი ნაწილი.

საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას თან უნდა სდევდეს პროდუქციის წარმოებისა და მოხმარებელთა მომსახურების ახალი, უფრო პროგრესული მეთოდების დანერგვა, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და მისი გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას.



საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს არა მხოლოდ ძირითადი ფონდების ეკონომიას, არამედ საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ერთეულის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების შემცირებასაც. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხი განხილულ უნდა იქნას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით. თუმცა, ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს უკანასკნელ პერიოდამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება მისი პროგრესული სტრუქტურა, ე. ი. მის ცალკეულ ელემენტებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება. ამასთან ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ძირითადი ფონდების დარგობრივი და სახეობრივი სტრუქტურა.

ძირითადი ფონდების დარგობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს ცალკეულ დარგთა ძირითადი ფონდების ზვედრითი წონას მთლიანად სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების მოცულობაში.

ძირითადი ფონდების სახეობრივი სტრუქტურა წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ მოცემული დარგის ძირითადი ფონდების მთლიან მოცულობაში როგორი ზვედრიწონითაა წარმოდგენილი მისი აქტიური (მუშა მანქანები და მოწყობილობა) და პასიური ნაწილები (შენობები, ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვ.). მთლიან ძირითად ფონდებში მისი აქტიური ნაწილის — მუშა მანქანებისა და მოწყობილობის სისტემატური ზრდა მიუთითებს ძირითადი ფონდების შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ზრდასა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გადიდებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმოქცევის სფეროს ძირითადი ფონდები მთელი სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების არც თუ ისე დიდ ნაწილს შეადგენს (3,8 პროც.). თუმცა, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, მიმოქცევის სფეროს დარგების ძირითადი ფონდების დიდი ნაწილი იჯარითაა აღებული ან უსასყიდლოდაა მათზე გადაცემული (საზოგადოებრივ კვებაში ასეთი ფონდების ზვედრიწილი შეადგენს 78 პროც.), რაც ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებში არაა ასახული. ე. ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ მომსახურების სფეროს, კერძოდ საზოგადოებრივი კვების განკარგულებაში ფაქტიურად არსებული ძირითადი ფონდები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ის ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებიდან ჩანს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების სტრუქტურა იცვლებოდა ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელ სახალხო მეურნეობის დარგთა უფრო დაჩქარებული განვითარების ხარჯზე. სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნებისა და საწარმოო და მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას შორის არსებული დისპროპორციის აღმოფხვრის გათვალისწინებით, უკანასკნელ პერიოდში უფრო დაჩქარებული ტემპებით ხორციელდებოდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და მომსახურების სფეროს სხვა დარგთა ძირითადი ფონდების აღწარმოება. ასე, მაგალითად, 1960—1976 წწ. მომსახურების სფეროს დარგთა ძირითადი ფონ-

დები თითქმის 7-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში მთლიანად სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები გადიოდა მხოლოდ 4,5-ჯერ. ყოველივე ამის გამო აღნიშნულ პერიოდში სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდებში მომსახურების სფეროს ძირითადი ფონდების ხვედრიწილი — 2,5 პროცენტიდან 3,8 პროცენტამდე ამაღლდა<sup>6</sup>.

ძირითადი ფონდების სახეობრივი სტრუქტურა დამოკიდებულია კაპიტალური დაბანდებების დინამიკასა და სტრუქტურაზე. როგორც უკვე აღინიშნა, მთლიან ძირითად ფონდებში გადამწყვეტი მნიშვნელობა მის აქტიურ ნაწილს — მანქანებსა და მოწყობილობას ენიჭება. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა: „თვით შრომის საშუალებებს შორის შრომის მექანიკური საშუალებანი, რომელთა ერთობლიობასაც შეიძლება ეწოდოს წარმოების ძვალ-კუნთოვანი სისტემა, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმოების ეპოქისათვის გაცილებით უფრო ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ, ვიდრე შრომის ისეთი საშუალებანი, რომლებიც მხოლოდ შრომის საგნის შენახვას ემსახურებიან და რომელთა ერთობლიობასაც ზოგადად წარმოების სისხლძარღვოვანი სისტემა შეიძლება ეწოდოს“<sup>7</sup>.

შრომის იარაღის წამყვანი როლი ეკუთვნით შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. ამიტომ საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და სრულყოფა უშუალოდ დაკავშირებულია ტექნიკურ პროგრესთან და ძირითადი ფონდების სტრუქტურის სრულყოფასთან. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებრივი კვების ძირითად ფონდებში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება მისი აქტიური ნაწილი (მანქანა-მოწყობილობანი), ხოლო მისი პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობანი) ხვედრი წილი შესაბამისად მცირდება. ეს სავსებით კანონზომიერი პროცესია, რომელიც მიუთითებს საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების სტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან, მანქანა-მოწყობილობანი როგორც ძირითადი ფონდების უფრო აქტიური ნაწილი უშუალოდ ზემოქმედებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, გამოშვებული კულინარული პროდუქციის მოცულობის ზრდასა და საერთოდ საზოგადოებრივი კვების მთლიანი საქონელბრუნვის გადიდებაზე.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, საზოგადოებრივი კვების ძირითად ფონდებში მანქანა-მოწყობილობის ხვედრიწილი საგრძნობლად დაბალია (17%). მაშინ, როდესაც მრეწველობაში ეს მაჩვენებელი 35 პროც. ხოლო მათ შორის კვების მრეწველობაში 40 პროცენტს აღემატება<sup>8</sup>. ასეთი მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტები საწარმოო საქმიანობასთან ერთად ასრულებენ სავაჭრო და მოხმარების ფუნქციებს.

საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდებისა და კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა მომავალში უნდა განხორციელდეს კაპიტალური დანახარჯების სტრუქტურის გაუმჯობესების — მათ მთლიან მოცულობაში მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრიწილის სისტემატური გადილების ხარჯზე.

<sup>6</sup> Народное хозяйство СССР за 60 лет, юбилейный статистический ежегодник, стр. 80.

<sup>7</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 230—231.

<sup>8</sup> Народное хозяйство СССР за 60 лет, стр. 186.



უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი კვების განვითარება დება დაჩქარებული ტექნიკური პროგრესის გზით. დაიწყო მოდულირებული სექციური მოწყობილობების სერიული წარმოება და მათი საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად (დაახლოებით 20 პროც.) ამცირებს საწარმოო დანიშნულების ფართობის საჭიროებას, უკეთესი სამუშაო პირობების შექმნის საფუძველზე 16—18 პროც. ზრდის საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას. ამასთან მუშაობის ასეთ პირობებში საგრძნობლად უმჯობესდება მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სანიტარული მდგომარეობა.

საზოგადოებრივ კვებაში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ინერგება სამაცივრო მოწყობილობა, თუმცა მათზე მოთხოვნა ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება. ასე, მაგალითად, 1976 წელს სსრკ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის საზოგადოებრივი კვების საწარმოები სამაცივრო მოწყობილობით აღჭურვილი იყო 91,7, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საზოგადოებრივი კვების საწარმოები — მხოლოდ 72 პროცენტით.

ამასთან, რესტორნებისა და სასადილოების სამაცივრო მოწყობილობით აღჭურვა აუცილებელია არა მხოლოდ ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზაროდუქციის ნორმალური შენახვისათვის, არამედ ჰაერის კონდიცირების გზით თვით საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მომუშავეთა და აგრეთვე მომხმარებლებისათვის სათანადო ტემპერატურის რეჟიმის დაცვისათვის.

საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა გულისხმობს შესაბამისი რაოდენობით მანქანების, მოწყობილობისა და მექანიზმების დანერგვას. მანქანებისა და მოწყობილობის შექმნაზე კაპიტალურ დაბანდებათა ვადიდებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებასა და საწარმოს რენტაბელობის ამაღლებას. ამასთან მანქანა-მოწყობილობისა და თვით საზოგადოებრივი კვების საწარმოს სიმძლავრეები ურთიერთ შესაბამისობაში უნდა იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ პრაქტიკაში ეს მოთხოვნა ყოველთვის სათანადოდ არაა გათვალისწინებული, რის გამოც მანქანა-მოწყობილობის გარკვეული ნაწილი სრულყოფილად არ გამოიყენება, ან დიდი ზნის მანძილზე საერთოდ არ ხდება მისი ექსპლუატაცია.

თანამედროვე პირობებში სწრაფი ტემპით ხორციელდება საზოგადოებრივი კვების ინდუსტრიულ საფუძველზე გადასვლა. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ნახევარფაბრიკატებით მომარაგებაზე გადაყვანა გულისხმობს ნახევარფაბრიკატების წარმოების ცენტრალიზაციას ფაბრიკა-დამამზადებელ საწარმოებში. ამის შედეგად სასადილოების, კაფეებისა და სასაუზმეებისათვის მექანიკური მოწყობილობის შექმნისათვის საჭირო ხარჯები საგრძნობლად მცირდება. რაც მაღალია წარმოების კონცენტრაციის გამო, მით უფრო უმჯობესდება ძირითადი ფონდების სტრუქტურა. ასეთი მდგომარეობა იმიტომ უნდა იხსნას, რომ საზოგადოებრივი კვების მსხვილ საწარმოებში მექანიზაციის ღონე, და შესაბამისად ენერგო-აღჭურვილობა, უფრო მაღალია. ამის გამო მსხვილ ფაბრიკა-დამამზადებლებში ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობილობების თავმოყრა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ნახევარფაბრიკატებით ცენტრალიზებულ მომარაგებაზე გადაყვანა ხელს უწყობს საზოგა-

<sup>9</sup> Народное хозяйство СССР в 1975 году, стр. 655—656.

დოებრივი კვების ძირითადი ფონდების მთლიან ღირებულებაში მანქანა-მოწყობილობის ხვედრიწონის ამაღლებას.

ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ზრდა წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობისა და შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლების მთავარ რეზერვს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ფონდების სტრუქტურაში ცალკეულ ელემენტთა ღირებულებითი თანაფარდობა ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას სრულად გამოვლინდეს და დადგინდეს მოცემულ დარგში ტექნიკური პროგრესის ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებანი. საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდების უფრო ღრმა ეკონომიკური ანალიზისათვის ღირებულებით მაჩვენებლებთან ერთად საჭიროა მათი ნატურალური (ფიზიკური) მაჩვენებლების არსებობა, ვინაიდან პრაქტიკაში ფიზიკურ ერთეულებში ძირითადი ფონდების შედგენილობის ცვლილებები ზოგჯერ არ შეესაბამება მათი ღირებულებითი სტრუქტურის ცვლილებებს. ძირითადი ფონდების გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლებით სარგებლობას აქვს დიდი მნიშვნელობა კაპიტალური დაბანდებების დაგეგმვისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მეურნეობრივი საქმიანობის ანალიზის პროცესში.

ამასთან საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები ფუნქციონირებენ სხვადასხვა ღირებულებით კატეგორიებთან მჭიდრო კავშირში (ფინანსები, ფასი, ხარჯები, მოგება და ა. შ). ამის გამო ძირითადი ფონდების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მეურნეობრივი საქმიანობის ანალიზისა და შეფასებისათვის მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება არაა საკმარისი. აქ საჭიროა ვისარგებლოთ ღირებულებითი მაჩვენებლებით, რომლებიც გეისახიათებენ მიღებული მოკვების სიდიდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აღნიშნულმა მაჩვენებლებმა უნდა დაგვანახონ თუ ძირითადი ფონდების გამოყენება რამდენად ზრდის საზოგადოებრივი კვების მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის თუ მთლიანად დარგის რენტაბელობას. ასეთ მაჩვენებლად მიჩნეულია ძირითადი ფონდების ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტის მაჩვენებელი:

$$K = \frac{\Pi}{\Phi},$$

სადაც  $K$  — არის ძირითადი ფონდების ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი,  $\Pi$  — მიღებული მოგების სიდიდე და  $\Phi$  — ძირითადი ფონდების ღირებულება.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს მათი ეკონომიკურად დასაბუთებული დაგეგმვა. ამისათვის საჭიროა დამუშავდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე მოთხოვნილების განსაზღვრის მეთოდები, რამდენადაც მასზე არსებითადაა დამოკიდებული ძირითადი ფონდების აღწარმოებისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებების მოცულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობაზე საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დასაჯდომი ადგილების რაოდენობის ნორმატიული მაჩვენებელი სათანადოდ არაა დაკავშირებული კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთან. ეკონომიკური რეფორმის პირობებში აღნიშნულ მაჩვენებელთან ერთად საჭი-



როა გამოყენებული იქნას ყოველ მილიონ მანეთ საქონელბრუნვაში დასაყდნად  
 დომი ადგილების რაოდენობის და სავაჭრო დარბაზის ფართობის სიდიდის  
 მაჩვენებელი. ერთიანობაში აღებული ეს მაჩვენებლები ზედს შეუწყობენ სა-  
 ზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაგეგმვის პროცესში  
 კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ეკონომიკურ დასაბუთებას.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ეკონომიკისა და სამართლის ინტუტმა



ციალა განსჯილი

ბითუმად ვაჭრობის ეფექტურობის განსაზღვრის  
საკითხისათვის

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ყურადღების ცენტრში სახალხო მეურნეობის რაციონალურად წარმართვის საკითხები. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის პრობლემები ფართოდ განიხილება კომუნისტური პარტიის ყრილობებზე; მათი თეორიული დასაბუთება მოცემულია სკკპ ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალებში და გვევლინება მეთოდოლოგიურ საფუძვლად ეფექტურობის პრობლემების დამუშავებისა და ღრმად შესწავლისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის — ვაჭრობაშიც. სკკპ XXV ყრილობამ, — კიდევ ერთხელ გაანალიზა რა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის შინაარსი და გვიჩვენა თანამედროვე ეტაპზე ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრის გზები და მიმართულებები, — მიმდინარე, მეთავე ზუთწლედს „ეფექტიანობისა და ზარისხის ზუთწლელი“ უწოდა. „მთელი ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ის, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ეფექტიანობას, და ამაზე ლაპარაკი გვიხდება კვლავ და კვლავ“, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი ყრილობაზე.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა ობიექტური ეკონომიკური კატეგორიაა და გვიჩვენებს, თუ რა შედეგები მიიღწევა, სახალხო მეურნეობის მასშტაბით, გაწეული მატერიალური და შრომითი დანახარჯების შედეგად ღრის განსაზღვრულ შუალედში. აღნიშნული კატეგორიის შინაარსი განისაზღვრება მოცემული საზოგადოების წარმოების წესით და ღებულობს დანახარჯებელ ნიშნებს იმის მიხედვით, თუ რომელ ეკონომიკურ ფორმაციასში მოქმედებს იგი. სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების მიზანია ხალხის მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება; აქედან გამომდინარე, სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა ნიშნავს: შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების სულ უფრო რაციონალურად გამოყენებას ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

სახალხო მეურნეობის ეფექტურობის ამაღლებაში მთავარ როლს მრეწველობა ასრულებს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ვაჭრობასაც. იზრდება რა წარმოების მასშტაბები და მეურნეობრივი კავშირები ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის, — სულ უფრო მაღლდება ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა. ეფექტურობა ვაჭრობაში თავისი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ვაჭრობის ეფექტურობის განსაზღვრა ნიშნავს გაწეული დანახარჯების შედარებას მუშაობის შედეგებთან და იმ შედეგის (დადებითის ან უარყოფითის) დადგენას, რომელსაც იღებს საზოგადოება ვაჭრობის დარგის არსებობისა და ფუნქციონირებისას.

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 58.



საქართველოს

წიგნების კავშირი

ნირების შედეგად. ვაჭრობის ეფექტურობის სპეციფიკურობას ფუნქციები განაპირობებენ. ვაჭრობის ეფექტურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ სახალხო მოხმარების საგნების რა რაოდენობას დაიყვანს იგი წარმოებიდან მოხმარებლამდე, რამდენად შეესაბამება ამ საქონლის ასორტიმენტული სტრუქტურა და ხარისხობრივი მაჩვენებლები მოსახლეობის მოთხოვნებს, რამდენად სწრაფად მოახდენს იგი სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციას და შეამცირებს მიმოქცევის დროს, რა მატერიალური და შრომითი დანახარჯებით განახორციელებს ვაჭრობა სახალხო მოხმარების საგნების მოსახლეობამდე დაყვანის მთელ პროცესს და სხვა.

შეფასების მასშტაბურობის მიხედვით, ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს მთელი სახალხო მეურნეობის, სახალხო მეურნეობის ერთი რომელიმე დარგისა და შიდადარგობრივი მასშტაბებით. ჩვენი კვლევის მიზანს არ შეადგენს ვაჭრობის როგორც სახალხო მეურნეობის დარგის ეფექტურობის ანალიზი. ჩვენ ვაანალიზებთ ვაჭრობას შიდადარგობრივი მასშტაბით, კერძოდ, ეახდენთ მისი ერთ-ერთი რგოლის — ბითუმად ვაჭრობის — ეფექტურობის შესწავლას. რა კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება ბითუმად ვაჭრობის ეფექტურობა? — პირველ რიგში, იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი ცალკობრივი ვაჭრობის მოთხოვნებს მოსახლეობისათვის საქირო მრავალფეროვანი საქონლით; გარდა ამისა, იმ დანახარჯების მიხედვით, რომელსაც ბითუმად ვაჭრობა ეწევა მრეწველობიდან საქონლის ცალკობრივ ვაჭრობამდე მისატანად, მის განკარგულებაში მყოფი სახსრების რაციონალური გამოყენების მიხედვით; დაბოლოს, მეურნეობრივი საქმიანობიდან მიღებული მოგების მიხედვით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბითუმად ვაჭრობის ეფექტურობის მაჩვენებელთა სწორად შერჩევას. ბითუმად ვაჭრობის ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება არა ერთი, არამედ რამდენიმე მაჩვენებელი ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაჩვენებელთა სისტემა. ვლადიმერ აკობთა რა მაჩვენებელთა სისტემის შესახებ, მხედველობაში გვაქვს სისტემაში შემავალი მაჩვენებლების ორგანული კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. დასაშვებია, რომ სისტემაში წინ წამოწეული იყოს ერთი რომელიმე მაჩვენებელი, რომელიც თავის თავში ასახავს სხვა მაჩვენებელთა მნიშვნელობების არსებითს მომენტებს; შესაძლოა, ასეთი წინ წამოწეული მაჩვენებელი დროთა განმავლობაში შეიცვალოს სხვა, იმ პერიოდისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე, მაჩვენებლით. ამგვარად, მაჩვენებელთა სისტემა უცვლელი კი არ არის, არამედ განიცდის განვითარებასა და სრულყოფას. მისი სრულყოფის ამოცანები მთელი სიმწვავეით დგას სადღეისო პრაქტიკაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „უნდა დაიხვეწოს იმ მაჩვენებელთა მთელი სისტემა, რომლებიც საფუძვლად უდევს საამინსტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობას და, უწინარეს ყოვლისა, მათი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შეფასებას“<sup>2</sup>.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის გადიდებასთან ერთად, საქიროა ამაღლდეს ვეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების როლი. სკკპ XXV ყრილობაზე ა. ნ. კოსიგინი მიუთითებდა ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფის ძირითად მიმართულებებზე, თუ რა კრიტერიუმებს მიხედვით

<sup>2</sup> სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 81.

უნდა გადაწყდეს მაჩვენებელთა სრულყოფის პრობლემები: „ბეჯითად უნდა ვეძიოთ ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც გააძლიერებენ გეგმის ზემოქმედებას პროდუქციის წარმოებისა და ხარისხის ტექნიკური დონის ამაღლებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებაზე, ძირითადი ფონდების, მატერიალური და ფინანსური რესურსების კიდევ უფრო მომჭირნეობით გამოყენებაზე“<sup>3</sup>.

როგორც პარტიის XXIV ყრილობაზე განისაზღვრა, მეცხრე ხუთწლედში პრაქტიკულად დამთავრდა მიმსახურების სფეროს ყველა დარგის მეურნეობრივ ანგარიშზე მყოფ საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანა დაგეგმიისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე, რომლის თანახმად, ბიულეტენი ევალება ფასდება ორი მაჩვენებლის — საქონელბრუნვისა და მოგების — მიხედვით. ბიულეტენი საქონელბრუნვის მოცულობა გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის საქონელი მიეყიდა ცალობრივ ქსელს და არასაბაზრო მომხმარებლებს; ამით იგი ახასიათებს ბიულეტენი ევალების მხოლოდ ერთ მხარეს და ვერ ასახავს ბიულეტენი რგოლის სამუშაოთა მოცულობას; საქონელური მარაგის შენახვის, მრეწველური ასორტიმენტის სავაჭრო ასორტიმენტად გარდაქმნის, საქონლის გასაყიდად მომზადების, ცალობრივ ქსელში მათი შეტანისა და სხვ. ცხადია, ბიულეტენი საქონელბრუნვის მოცულობა არ არის საკმარისი ბიულეტენი ევალების ეფექტურობის შეფასებისათვის.

მეურნეობრივი საქმიანობის შეფასების მეორე ძირითადი მაჩვენებელია მოგება. აბსოლუტური მოგება ანუ მოგების მოცულობა გვიჩვენებს სახსრების კონკრეტულ რაოდენობას, რომელიც მიიღება ავანსირებული ფონდების ფუნქციონირების შედეგად: იგი არის ბიულეტენი ევალების საქმიანობის განმარტავი, სინთეზური მაჩვენებელი. მასში როგორც ფოკუსში აისახება ბიულეტენი რგოლის მიმდინარე ზარჯებიც და მთელი დანახარჯიც, რაც დაკავშირებულია ძირითადი და საბრუნავი ფონდების ფუნქციონირებასთან. მოგებაში აისახებიან ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილებებიც, როგორცაა: ბიულეტენი საქონელბრუნვის მოცულობა და სტრუქტურა, მომუშავეთა რიცხოვნობა და სხვა. მოგება ახასიათებს ბიულეტენი ევალებზე საწარმოთა და ორგანიზაციათა მთელი მეურნეობრივი საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგებს, ამდენად, იგი შემაჯამებელი მაჩვენებელიცაა. მოგების აბსოლუტური თანხა ასახავს რესურსების მთლიან რაოდენობას — მიღებულს ბიულეტენი ევალების მეურნეობრივი საქმიანობის შედეგად და გამოყენებულს საზოგადოების მიერ; მაგრამ მეურნეობრივი საქმიანობის შეფასებისათვის ანდა მისი შედარებითი დახასიათებისათვის იგი არ არის საკმარისი, რამდენადაც, თავის მხრივ, მოგება დამოკიდებულია საქონელბრუნვის მოცულობაზე, მის სტრუქტურაზე, სავაჭრო დათმობათა სიდიდეზე, მიმოქცევის ზარჯებსა და სხვა ფაქტორებზე. აქედან გამომდინარე, თავისთავად, მოგების აბსოლუტური თანხაც არ გამოდგება ბიულეტენი ევალების ეფექტურობის დასახასიათებლად, საჭიროა შეფარდებითი მაჩვენებლის მოძებნა.

რა სიდიდეებს უნდა შევუფარდოთ (შევედაროთ) მოგება, რომ შესაძლებელი იყოს დავახასიათოთ საბიულეტენი ევალებაში დაზარალებული მატერიალური, შრომითი და

<sup>3</sup> სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 173.

ფულადი სახსრების გამოყენების ეფექტურობა? — ამ საკითხზე არსებობს სხვადასხვაგვარი შეხედულებები ეკონომისტთა შორის. სადღეისო პრაქტიკაში მოგებას უფარდებენ ბიუჯეტი საქონლებრუნვის მოცულობას (სახსრების დაბანდებით), გამოსახვევ პროცენტულად და მას რენტაბელობას უწოდებენ. ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული ტერმინი — „რენტაბელობის დონე“, იგი გვხვდება ვაჭრობის ეკონომიკის სახელმძღვანელოებშიც. ამის შესახებ სავსებით სამართლიანად შენიშნავს ქართველი ეკონომისტი ა. კობაიძე. „ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი „რენტაბელობის დონე“, ჩვენი აზრით, არაზუსტია, რადგან რენტაბელობა თვითონაა შეფარდებითი მაჩვენებელი და მომგებიანობას, სარფიანობას ნიშნავს. ამიტომ უფრო მართებული იქნება უშუალოდ რენტაბელობის ხმარება“<sup>4</sup>. მით უფრო გაუმართლებელია ტერმინის ასეთი სახით მოტანა სახელმძღვანელო ლიტერატურაში. ყველასათვის: ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დახვეწილი ეკონომიკური ტერმინოლოგიის ხმარებას სახელმძღვანელო (და არა მარტო სახელმძღვანელო) ლიტერატურაში. სტუდენტი ნათლად ამჩნევს განსხვავებას, მაგალითად, მიმოქცევის ხარჯებსა და მიმოქცევის ხარჯების დონეს შორის; იგი ანალოგიური შეფარდების მოძებნას ცდილობს „რენტაბელობასა“ და „რენტაბელობის დონეს“ შორის, მაგრამ ვერ პოულობს და იბნევა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამგვარი წესით (მოგება შეფარდებული საქონლებრუნვასთან — გამოსახული პროცენტულად) გამოთვლილ რენტაბელობას საქონლებრუნვის რენტაბელობას უწოდებენ. გარდა საქონლებრუნვის რენტაბელობისა არსებობს რენტაბელობის სხვა მაჩვენებლებიც, რომელთაც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად აფასებს.

ჩვენს ქვეყანაში რენტაბელობის მაჩვენებელთა გაანგარიშების სრულყოფის საკითხი წამოიჭრა ჯერ კიდევ მეურნეობრივი რეფორმის გატარებამდე და დღესაც გრძელდება. საკითხის განხილვაში მონაწილეობს ეკონომისტთა ფართო წრე. ეყრდნობიან რა სავაჭრო კაპიტალის შესახებ კ. მარქსის მოძღვრებას, ეკონომისტთა უმრავლესობას მიაჩნია რომ რენტაბელობა უნდა გამოითვალოს როგორც მოგების დამოკიდებულება ავანსებულ ხარჯებთან. მაგრამ ავანსებული ხარჯების განსაზღვრისას მათი შეხედულებები იყოფა; ასე, მაგალითად: ა. გრიგორიევის<sup>5</sup>, ი. ვილაკინის<sup>6</sup>, ვ. ნესტერენკოს<sup>7</sup> და სხვათა აზრით, რენტაბელობის გამოთვლა მიზანშეწონილია მოგების შეფარდებით საკუთარ ძირითად ფონდებთან და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებთან. გ. გოფმან<sup>8</sup>, ე. ფონარევი<sup>9</sup> და სხვანი გვთავაზობენ, რომ რენტაბელობა გამოითვალოს მოგების შეფარდებით მიმოქცევის ხარჯთან და ა. შ.

<sup>4</sup> ქურბ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1973 წ., № 8, გვ. 55.

<sup>5</sup> А. Григорьев. К вопросу о рентабельности предприятий и организаций государственной торговли, сборник трудов Ленинградского института советской торговли им. Ф. Энгельса, вып. XXV, Л., 1965, стр. 136.

<sup>6</sup> И. В я л к и н. Основные фонды торговли и проблемы их использования, сборник трудов заочного института советской торговли, М., 1968, вып. 1, стр. 41.

<sup>7</sup> В. Г. Нестеренко. Экономическая эффективность общественных затрат в советской торговле, М., 1965.

<sup>8</sup> Г. Гофман. Реформа и рентабельность, журн. «Советская торговля», 1968, № 5, стр. 20.

<sup>9</sup> Е. Фонарев, Финансовые проблемы государственной торговли М., 1972.



ჩვენი აზრით, რენტაბელობის დღეისათვის არსებულ მრავალრიცხოვან მაჩვენებელთა შორის საყურადღებოა შემდეგი მაჩვენებლები:

1. საქონელბრუნვის რენტაბელობა  $P_0 = \frac{\Pi}{O} \cdot 100$ ;
2. მიმოქცევის ხარჯების რენტაბელობა  $P_{\text{II}} = \frac{\Pi}{U} \cdot 100$ ;
3. ფონდების რენტაბელობა  $P_{\Phi} = \frac{\Pi}{\Phi_{\text{oc}} + \Phi_{\text{on}}} \cdot 1000$ .

სადაც P რენტაბელობაა, II—მოგება, U—მიმოქცევის ხარჯები, O—საქონელბრუნვა,  $\Phi_{\text{oc}}$ —ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო-წლიური ღირებულება,  $\Phi_{\text{on}}$ —საბრუნავი ფონდების საშუალო-წლიური ჯამი.

ეფექტურობის შესაფასებელი ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია საქონელბრუნვის რენტაბელობა ( $P_0$ ). ბითუმად ვაჭრობაში იგი გამოითვლება საბალანსო მოგების შეფარდებით საქონელბრუნვისასთან (სახსრების დაბანდებით). ეს რენტაბელობის გამოანგარიშების მეტად გავრცელებული წესია, მაგრამ არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს. ბითუმად ვაჭრობის რენტაბელობის საკითხთა კვლევის დროს ყოველთვის არ იღებენ მხედველობაში ბითუმი საქონელბრუნვის თავისებურებებს — ცალობრივ საქონელბრუნვისასთან შედარებით. ავტორები იძლევიან წინადადებებს ბითუმად ვაჭრობაში რენტაბელობა გამოვთვალოთ მოგების შეფარდებით საქონელბრუნვისასთან, მაგრამ არ მიუთითებენ, თუ კერძოდ — რომელ საქონელბრუნვისასთან. სახელმწიფო ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაციის მეურნეობრივი საქმიანობის დაეგმვის მეთოდოლოგიაში კი მითითებულია მხოლოდ ხარისხობრივ მაჩვენებელთა გამოთვლის ვარიანტები და არ არის მოცემული ბითუმი საქონელბრუნვის არც ერთი სახე.

როგორც ცნობილია, ბითუმი საქონელბრუნვა განსხვავდება საქონლური რესურსების მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, ანგარიშსწორების ფორმების მიხედვით, საქონელმოძრაობის გამოყენებული ფორმების მიხედვით და სხვა. ჩვენი აზრით, საქონელბრუნვის რენტაბელობის გამოთვლის დროს მოგება უნდა შეფუთვად ბითუმი საქონელბრუნვის იმ მაჩვენებელს, რომელთანაც დაკავშირებულია მოგების წარმოქმნა. ბითუმად ვაჭრობის ორგანიზაციათა შემოსავლების წარმოქმნის არსებული წესის პირობებში, რა თქმა უნდა, მიზანშეუწონელია მოგების შეფარდება მთლიან ბითუმ საქონელბრუნვისასთან.

დათმობათა მიღების წესის მოქმედი ინსტრუქცია არ ითვალისწინებს შემოსავლებს ორგანიზებული ბრუნვიდან. შემოსავლები მიიღება მხოლოდ სახსრების დაბანდებით განხორციელებული ბითუმი საქონელბრუნვიდან. მაგრამ სახსრების დაბანდებით წარმოებს არა მარტო რესპუბლიკის შიგნით განხორციელებული ბითუმი საქონელბრუნვა, არამედ — რესპუბლიკათაშორისი მიწოდებებიც, საიდანაც ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაციები აგრეთვე ღებულობენ შემოსავლებს. საქონელბრუნვის მოცულობის დადგენისას სტატისტიკური ორგანოების მიერ გამოირიცხება მთლიანად რესპუბლიკათაშორისი მიწოდებების ბითუმი საქონელბრუნვა და იგი არ მიიღება მხედველობაში რენტაბელობის გამოთვლის დროსაც, თუმცა რესპუბლიკათაშორისი მიწოდებების ორგანიზებისათვის სახსრების დაბანდებით ბითუმად ვაჭრობა ისეთსავე შრომითა და მატერიალურ დანახარჯებს ეწევა, როგორსაც რესპუბლიკის შიგ-



ნით სახსრების დაბანდებით განხორციელებულ ბითუმ საქონელბრუნვაზე გაგრძელება ამხინჯებს რენტაბელობის რეალურ სურათს. იგივე შეიძლება ითქვას ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოთვლაზე, როგორცაა მიმოქცევის ხარჯების დონე, საერთო შემოსავლის დონე და ა. შ.

ჩვენი რესპუბლიკის სურსათით ბითუმად მოვაჭრე ორი კანტორის საქმიანობის ხანგრძლივი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქონელკარაქთევზავარობის საბითუმო კანტორა ახორციელებს რესპუბლიკათაშორის მიწოდებებს სახსრების დაუბანდებლად და არ ღებულობს შემოსავლებს ამ საქმიანობიდან, მაგრამ საქბაკალეის საბითუმო კანტორა ყოველწლიურად აწარმოებს რესპუბლიკათაშორის ბრუნვას სახსრების დაბანდებით. მას ამ გზით ძირითადად გააქვს თამბაქოს ნაწარმი, რისთვისაც ღებულობს შემოსავალს ბრუნვიდან 0,03 %-ის ოდენობით. იგი, რა თქმა უნდა, შეტანილია საერთო შემოსავალში, მაგრამ საქონელბრუნვის მოცულობა, საიდანაც მიღებულია ეს შემოსავალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ფიგურირებს ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოთვლის დროს.

ამგვარად, საქონელბრუნვის რენტაბელობა — გამოთვლილი საბალანსო მოგების შეფარდებით რესპუბლიკის შიგნით განხორციელებული ბითუმი საქონელბრუნვის მოცულობასთან სახსრების დაბანდებით — ვერ ასახავს ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობას რესპუბლიკათაშორის მიწოდებებზე; აგრეთვე, ტრანზიტული ბრუნვის ორგანიზებაზე როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე რესპუბლიკათაშორისი მიწოდებების დროს.

საქონელბრუნვის რენტაბელობის მაჩვენებელი ბითუმად ვაჭრობაში ასახავს საბითუმო დათმობის ხვედრით წონას საქონლის ცალობრივ ფასში. იგი ერთმანეთს უდარებს ბითუმად ვაჭრობის ორ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს — მოგებასა და საქონელბრუნვას, რითაც ასახავს მიმოქცევის ხარჯებისა და რეალიზებული დათმობის რაოდენობას. მაგრამ მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული რენტაბელობის მაჩვენებლით ბითუმად ვაჭრობის მეურნეობრივი საქმიანობის ანალიზი ყოველთვის ვერ ასახავს რეალურ სურათს. ბითუმად მოვაჭრე ნაწარმის შეუძლია ადვილად მიიღოს მოგება ტრანზიტული ოპერაციების გაზრდის გზით და ამის შედეგად გააუარესოს, შეამციროს ცალობრივი ქსელის მომსახურება-მომარაგება. რადგან ტრანზიტული ბრუნვის დროს (სახსრების დაბანდებით) ბითუმად ვაჭრობის ორგანიზაციები გაიღებენ მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებს და კრედიტის პროცენტებს, საბითუმო დათმობას კი იღებენ იმავე რაოდენობით, როგორც ეს ხდება სასაწყობო ბრუნვის დროს; ამის შედეგად მაღლდება მოგება და იზრდება საქონელბრუნვის რენტაბელობის სიდიდეც. ამიტომაც ტრანზიტული ვაჭრები სახსრების დაბანდებით ბითუმად ვაჭრობისათვის „მომგებიან“ ოპერაციებად ითვლება, აქედან გამომდინარე, საქონელბრუნვის რენტაბელობის მაჩვენებელი არ შეიძლება ჩაითვალოს ბითუმად ვაჭრობის ეფექტურობის შესაფასებელ უნივერსალურ მაჩვენებლად.

რენტაბელობის შესაფასებელი მეორე საყურადღებო მაჩვენებელია მიმოქცევის ხარჯების რენტაბელობა, რომელიც გამოითვლება მოგების შეფარდებით მიმოქცევის ხარჯებთან და გამოისახება პროცენტულად; იგი გვიჩვენებს, თუ მოგების რა რაოდენობა მიღის ყოველ მანეთ გაწეულ დანახარჯზე. მიმოქცევის ხარჯების რენტაბელობა ასახავს ურთიერთდამოკიდებულებას სავაჭრო დათმობის ორ შემადგენელ ნაწილს შორის — მიმოქცევის ხარჯებსა და მოგე-



ბას შორის. იგი შეიძლება გამოთვლილი იქნეს როგორც მთლიანად ბიუჯეტულ ვაჭრობისათვის, ისე — ცალკეული საქონლის მიხედვითაც. არსებობს აზრი ამის შესახებ, რომ ბიუჯეტულ ვაჭრობის რენტაბელობის ამ მაჩვენებლის მიხედვით შეფასებას მივყავართ მაღალი ხარჯტევადობის მქონე საქონლით ვაჭრობის შეფერხებამდე. რა თქმა უნდა, დიდად ხარჯტევადი საქონლის მიმოქცევითი ხარჯების რენტაბელობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იქნება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მაჩვენებელი არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთი საქონლით ვაჭრობის შეფერხების საფუძვლად. დღეისათვის მოქმედი საბიუჯეტო დათმობების პირობებში, რომელნიც ჯერ კიდევ სრულად ვერ ასახავენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განლაგებული ბიუჯეტი ორგანიზაციების მიერ ცალკეული საქონლის რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს, შეზღუდულია აღნიშნული მაჩვენებლის გამოყენება ბიუჯეტულ ვაჭრობის ეფექტურობის შესაფასებლად; საპაიეთოდ მისი წარმატებით გამოყენება შეიძლება ცალკეულ საქონელზე საჯარო დათმობათა ოპტიმალურად დიფერენცირებული ნორმების შემუშავებისათვის, რომელნიც აანაზღაურებენ გაწეულ დანახარჯებს და უზრუნველყოფენ მოგების მიღებას (შესაბამისად ამალღდება რენტაბელობის მაჩვენებელიც). მიმოქცევის ხარჯების რენტაბელობას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც: იგი ვერ გვიხასიათებს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტურობას; ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები მასში აისახებიან მხოლოდ ამორტიზაციის ფონდისა და კრედიტის პროცენტების ფორმით, რომელთაც საკმაოდ მცირე ადგილი უკავიათ მიმოქცევის ხარჯებში. რა თქმა უნდა, ამის მიხედვით არ შეიძლება მსჯელობა ბიუჯეტულ ვაჭრობის ფონდების გამოყენების ეფექტურობაზე.

ვაჭრობის ფონდების გამოყენების შესაფასებლად შემოღებულია რენტაბელობის სპეციალური მაჩვენებელი — ფონდების რენტაბელობა. მისი გამოთვლის წესის თანახმად, ამ დროს მოგების რაოდენობას აფარდებენ საბრუნავი ფონდების ჯამთან და შედეგს გამოსახავენ პროცენტობით. რენტაბელობის ეს მაჩვენებელი ასახავს მოგების სიდიდეს ფონდების ყოველ მანეთზე; ფიჩქვანებს ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების ხარისხს; უფრო მეტი სისრულით განსაზღვრავს ბიუჯეტულ ვაჭრობის მეურნეობრივი საქმიანობის ეფექტურობას; ზრდის დანტერესებას არა მხოლოდ მიმოქცევის ხარჯების შემცირებისათვის, არამედ ძირითადი და საბრუნავი სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვისაც. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ძნელია რენტაბელობის გამოთვლა ამ მეთოდით. ბიუჯეტულ ვაჭრობაში გამოყენებული ძირითადი ფონდების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იჯარით აღებული შენობები. მრეწველობაში იჯარით გაცემული ძირითადი ფონდები აღირიცხება იჯარით გამცემი ორგანიზაციის ბალანსზე, ხოლო ამ სათავესთან იჯარით ამღები ორგანიზაცია მათ ბალანსგარეშე ანგარიშზე აღირიცხავს მათი თავდაპირველი ღირებულებით, რომელიც ნაჩვენებია საიჯარო ხელშეკრულებაშიც.

ვაჭრობაში იჯარით გაცემული ძირითადი ფონდები აისახება მხოლოდ იჯარით გამცემი ორგანიზაციის ბალანსზე და არ აღირიცხება ამ სათავესთან იჯარით ამღები ორგანიზაციის მიერ. მიზანშეწონილი იქნებოდა, მრეწველობის ანალოგიურად ასახულიყო იჯარით აღებული ძირითადი ფონდები ვაჭრობაშიც, ანდა ბორციელდებოდეს მისი პირობითი ასახვა მაინც, რასაც საფუძვლად დაედებოდა 1 მ<sup>2</sup> სავაჭრო ან სასაწყობო ფართობის ღირებულება. მეურნეობრივი საქ-



ვიანობის პროცესში ზომ იჯარით აღებული სათაგნოები ისეთსავე მოვალეობას ასრულებენ, როგორსაც — საკუთარი; გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ბითუმად ვაჭრობაში ძირითადი ფონდების თითქმის ნახევარს მანქანა-იარაღები და სატრანსპორტო საშუალებები შეადგენენ, რომლებიც, როგორც წესი, ეკუთვნის სავაჭრო ორგანიზაციას. ბითუმად მოვაჭრე სხვადასხვა ორგანიზაციის ტექნიკური შეიარაღების დონე განსხვავდება ერთმანეთისაგან: არის ბაზების საკმაო რაოდენობა, სადაც მალალი ჰვედრითი წონა უკავია ზელით შრომას. ამ მაჩვენებლით ეფექტურობის შეფასების დროს არასათანადო დონეზე აღმოჩნდებიან საწარმოები ტექნიკური შეიარაღების მალალი დონით და დაბალი იქნება მათი ფონდების რენტაბელობა. თუმცა გაძნელებულია იჯარით აღებული ძირითადი ფონდების ღირებულების განსაზღვრა, მაგრამ მოცემული ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაციისათვის მაინც შეიძლება საკმაო სისრულით განისაზღვროს ფონდების რენტაბელობის მაჩვენებელი. ჩვენთვის საინტერესოა ფონდების გამოყენების არა ნატურალური, არამედ — ღირებულებითი მაჩვენებელი. ჩვენ უნდა გავიგოთ თუ რა ეფექტს გვაძლევენ ის სახსრები, რომელნიც დაბანდებულია ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაციის ძირითადი ფონდების სახით. ძირითადი ფონდების იჯარით აღებისას, მოცემული ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაცია გაიღებს საამისოდ გარკვეულ თანხას (საიჯარო გადასახადს); ვიცით რა იჯარის ვადა და გადასახადის ღირებულება, გამოვითვლით თანხას, რომელსაც ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაცია აბანდებს ძირითადი ფონდების ამა თუ იმ სახის იჯარით ასაღებად, ვფიქრობთ, შეიძლება მისი გამოყენება ფონდების რენტაბელობის გაანგარიშების დროს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზეც, რომ ფონდების რენტაბელობა განისაზღვროს როგორც მოგების შეფარდება მთელ სახსრებთან, თუ საკმარისი იქნება მისი შეფარდება მხოლოდ ძირითად ან საბრუნავ სახსრებთან. ჩვენი აზრით, რენტაბელობის მაჩვენებელმა რომ ასახოს მთლიანად დარგის მეურნეობრივი საქმიანობის შედეგი, საჭიროა მოგება შეედაროს მთლიანად დაბანდებულ სახსრებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს დანარჩენ ორ მაჩვენებელს საერთოდ უგულებელვყოფთ. აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ცალკეული საკითხების გადაჭრისათვის.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ რენტაბელობის მაჩვენებლებში მთავარი ადგილი მოგებას უკავია. ვაჭრობაში მოგების ფორმირების პროცესის სრულყოფასა და მისი სიდიდის ზუსტ განსაზღვრაზეა დამოკიდებული რენტაბელობის მაჩვენებელთა სწორი გაანგარიშება. სავაჭრო მოგება სოციალისტური საქონლური წარმოებისა და მიმოქცევისათვის დამახასიათებელი ობიექტური ეკონომიკური კატეგორიაა. მისი ბუნება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წარმოქმნილი მოგების ერთობიურია. მოგება იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში და მის წყაროდ ზედმეტი შრომა გვევლინება, ზოლო მატერიალურ საფუძველად — ზედმეტი პროდუქტი.

იხილავდა რა სავაჭრო მოგების წყაროებს და მისი წარმოქმნის მექანიზმს, კ. მარქსი მიუთითებდა, რომ სავაჭრო კაპიტალი არ მონაწილეობს მოგების შექმნაში, მას არ უდევს წილი მოგებაში, მაგრამ დიდ როლს ასრულებს ზედმეტი ღირებულების საშუალო მოგებად გარდაქმნაში, ვაჭარი-კაპიტალისტი უნაღდებს მრეწველ-კაპიტალისტს ზედმეტი პროდუქტის არა მთელ ღირებუ-

ლებას, არამედ მხოლოდ მის გარკვეულ ნაწილს, დანარჩენს იტოვებს თვითონ და იღებს მოგებას. ამგვარად, სავაჭრო მოგება წარმოადგენს მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ზედმეტი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელსაც მწარმოებლები უთმობენ ვაჭრობას მის მიერ საქონლის რეალიზაციის ფუნქციის შესრულებისათვის. მოგების ამგვარი გადანაწილება ვაჭრობაში ხორციელდება ფასებისა და სავაჭრო დათმობათა რთული მექანიზმის საშუალებით. სავაჭრო მოგების გადანაწილებითი ხასიათი არ ამცირებს მის სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობას; პირიქით, ვაჭრობის სფეროს გამოცალკეებულობა, სახალხო მეურნეობის მასშტაბით, უზრუნველყოფს საქონლური მიმოქცევისათვის საჭირო დროისა და საშუალებების მნიშვნელოვან ეკონომიას; გარდა ამისა, საქონლური მიმოქცევის პროცესში ხორციელდება არა მარტო ღირებულების ფორმათა ცვლასთან დაკავშირებული ოპერაციები, არამედ წარმოებრივ პროცესთა მთელი ციკლიც (შენახვა, შეფუთვა, დაფასობა, დამუშავება და ა. შ.). — ამ ოპერაციებში გამოიყენება მწარმოებლური შრომა და იქმნება ზედმეტი პროდუქტი, აქედან გამომდინარე, სავაჭრო მოგების სიდიდის დახასიათებისას, მხედველობაში უნდა გვქონდეს დაგროვებაც, რომელიც მიიღება საწარმოო პროცესთა განგრძობის შედეგად მიმოქცევის სფეროში. სავაჭრო მოგების ეს ნაწილი არაფრით განსხვავდება უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი მოგებისაგან.

ფასები და სავაჭრო დათმობა ამა თუ იმ საქონელზე დადგენილია გეგმური წესით. დაგეგმვა ექვემდებარება, აგრეთვე, საქონელბრუნვის მოცულობას. აქედან ცხადია, რომ სავაჭრო მოგება გეგმურად წარმოქმნილი სიდიდეა სოციალისტურ საქონლურ მეურნეობაში და მისი ბუნება დიალექტურად განსხვავდება კაპიტალისტური ვაჭრობის მოგების ბუნებისაგან. მოგებას ჩვენში აქვს პრინციპულად სხვა ეკონომიკური შინაარსი: იგი არ წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა თვითმიზანს.

უკანასკნელ წლებში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმამ წინ წამოსწია მოგების მაჩვენებელი. ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა დაფუძნებულა მეურნეობრივი ანგარიშის მოგების როლის განმტკიცებაზე სახალხო მეურნეობაში. „მოგება და რენტაბელობა მიგვაჩნია წარმოების ეფექტიანობის დიდმნიშვნელოვან მაჩვენებლად, — აღნიშნავდა ა. ნ. კოსიგინი სკკპ XXIV ყრილობაზე, — მაგრამ ეს არ ქმნის საფუძველს, რომ გადაჭარბებულად იქნეს შეფასებული მოგების მნიშვნელობა და ვალიაროთ იგი მეურნეობრივი საქმიანობის შეფასების ერთადერთ მაჩვენებლად: „რა თქმა უნდა სოციალისტური საზოგადოებისათვის სულ ერთი არ არის, ვის ხარჯზე, რა გზით და რა პირობებში იზრდება მოგება“<sup>10</sup>. მაღალი მოგება კარგ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას თან სდევს ვაჭრობის კულტურის ამაღლებაც.

ცნობილია, რომ ვაჭრობაში ასხვავებენ მოგებას საქონლის რეალიზაციიდან ანუ ოპერაციულ მოგებას და საბალანსო ანუ წმინდა მოგებას. ბითუმად ვაჭრობის მოგება საქონლის რეალიზაციიდან გვევლინება როგორც სხვაობა რეალიზებულ საბითუმო დათმობებსა და მიმოქცევის ხარჯებს შორის: რაც დიდია აღნიშნული სხვაობა, მით მეტია მოგება. საბითუმო დათმობებმა უნდა დაფარონ გაწეული დანახარჯები და უზრუნველყონ ნორმალური რენტაბელობა,

<sup>10</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 211.

ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბითუმო დათმობათა ეკონომიკურ საფუძვლიანობას. სავაჭრო დათმობათა დახვეწისა და სრულყოფის საკითხი ვაჭრობის ეკონომიკის ერთი დიდი პრობლემათაგანია. ამ საკითხზე შრომატევად და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ცნობილი საბჭოთა ეკონომისტი მ. ი. ბაკანოვი, რომლის ხელმძღვანელობით მეცნიერთა და პრაქტიკოსთა დიდი კოლექტივი სწავლობს საქონლის რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს — საქონლური ჯგუფების, ქვეჯგუფებისა და შიდაასორტიმენტული სტრუქტურის მიხედვით — როგორც ცალობრივ, ისე ბითუმად ვაჭრობაში. ეს მეცნიერულად დასაბუთებული, ეკონომიკური საფუძვლის მქონე სავაჭრო დათმობათა დადგენის მთავარი პირობაა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ატარებენ რიგ ღონისძიებებს დათმობათა სრულყოფისათვის: იზრდება დათმობათა სიდიდე, მათი შემდგომი დიფერენციაცია და უნიფიკაცია. ასეთი ღონისძიებები განხორციელებულია 1954, 1963, 1966, 1967 წლებში.

ამრიგად, განხილული მაჩვენებლებით ბითუმად ვაჭრობის რენტაბელობის სწორი შეფასებისათვის საჭიროა ბევრი ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორცაა: სავაჭრო დათმობათა მოწვესრიგება, მოგების ფორმირების პროცესის სრულყოფა, ფონდების მოცულობის განსაზღვრის გაუმჯობესება და სხვა.

